საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

# არილი

ფასი 2 ლარი

1134/2
2018



18 / სექტემბერი
9 (275)

## დათო ქარდავა
## ჩემი გაბრძოლება

# სარჩევი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| პროზა | 1 | დათო ქარდავა \| ჩემი გაბრძოლება |
| | 9 | სოფო ბანძელაძე \| ცალთვალა |
| | 12 | თეონა დოლენჯაშვილი \| გზაზე |
| პოეზია | 20 | თემურ ჩხეტიანი |
| | 23 | ჯუანშერ ტიკარაძე |
| | 26 | ნიკა ლაშხია |
| თარგმანი | 28 | ისააკ ბეშევის ზინგერი \| მდგმური<br>*ინგლისურიდან თარგმნა ქეთი თევზაძემ* |
| | 32 | ზედი სმითი \| ნელი მდინარე<br>*ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ* |
| | 36 | აკირა მიკიტო \| ღრუბელი და ქალი და ქოლგა<br>*თარგმნა ბექა ბარქაიამ* |
| In Memoriam | 43 | იენ ბურუმა \| ვ.ს. ნაიპოლი - ემიგრანტთა პოეტი<br>*ინგლისურიდან თარგმნა თინათინ ფალიაშვილმა* |
| | 46 | ვ.ს. ნაიპოლი \| მწერლის არსის შესახებ<br>*ინგლისურიდან თარგმნა თინათინ ფალიაშვილმა* |

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
**მალხაზ ხარბედია**
**შადიმან შამანაძე**

მხატვარი **მამუკა ტყეშელაშვილი**

კორექტორი **ინა არჩუაშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თამაზ ჩხაიძე**

პროექტის მენეჯერი **ეკა ხარბედია**

სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე,
ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი,
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე,

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა

სულხან-საბ

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი

*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონ*

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის
მარილი

ბალბურ

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ჟურნალი გამოდის
საქართველოს კულტურისა
და სპორტის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით

ელიავათა
სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათო ქარდავა

# ჩემი გაბრძოლება



*За вашу родину, за нашу Грузию!*
*- ტურისტის სადღეგრძელო.*

*Товарищи грузины учитесь военному делу настоящим образом!!! Приедем -проверим!!! - 71 гв. Мсп.*
*- რუსი სამხედრო ტურისტების მიერ დატოვებული წარწერა ქართული სამხედრო ნაწილის კედლებზე.*

*Русский турист - оккупант в штатском!*
*- დ. ქარდავას სადავო სენტენცია.*

*Георгевская лента - гладкая колючая проволока!*
*- დ. ქარდავას ნაკლებადსადავო სენტენცია.*

უცნაური სიზმარი ვნახე. უფრო ზუსტად, უცნაურად ვნახე უცნაური სიზმარი. არ მძინებია, თვალი არ მომიხუჭავს, არ დავწოლილვარ, თავიც კი არსად მიმიდია, მაგრამ სიზმარი, უცნაური სიზმარი, მაინც ვნახე. შიშველი, დედიშობილა დავდიოდი თბილისის ქუჩებში, ხალხმრავალ ადგილებში - რუსთაველზე, პეკინზე, პლეხანოვზე, მეიდანზე. ხან მახათას მთიდან დავცქეროდი თბილისს, ხან - შურის ციხიდან, ხანაც პლატოდან და ხანაც ფუნიკულიორიდან. თანაც ერთდროულად ვიყავი ყველგან, დრო თითქოს არ არსებობდა, როგორც ხდება ხოლმე სიზმარში.

უბრალოდ შიშველი კი არ ვიყავი, არაესთეტურად შიშველი ვიყავი, ამაზრზენად შიშველი. ეს არ იყო არც ადამის, არც დავითის და არც მზეჭაბუკის სიშიშვლე. ხაზგასმულად და ამაზრზენად შიშველი ვიყავი, შეურაცხმყოფლად, აგრესიულად შიშველი. ჩემი სიშიშვლე ჰყვიროდა, თავს ესხმოდა, ყურადღებას იქცევდა, ერთგვარი ანტიქამელეონი ვიყავი, არაადაპტირების ეტალონი, კონტრასტული ნებისმიერ ფონზე. საერთოდ არაფერი მეცვა, არაფერი მიფარავდა სველ თმიან ლიპსა და მის კიდეებზე სავსე ხურჯინებივით დაკიდულ თეძოებს; სინქრონულად მოქანავე ძუძუებს - თავდაყირა მთვლემარე გიგანტურ ღამურებს ვარდისფერი პირებით; ხშირი ჯდომისგან გაპრიალებულ, ბრტყელ ტრაკს - გრანდ კანიონივით გაპობილს ღრმა, საზარელი ნაპრალით. ცხადია, არაფერი მეცვა ფეხზეც, რის გამო ცხელი ასფალტი ფეხისგულებს მიწვავდა და უშნოდ ვიმანჭებოდი, მაგრამ ვითმენდი სტოიკურად, დარწმუნებული ვიყავი, რომ ძალიან მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებდი და ამ ჩემი სიშიშვლით აგვისტოს მცხუნვარე მზეში ვეხმიანებოდი ცოტნე დადიანს - შიშველი თავგანწირივით რომ განაიარაღა გულქვა მონღოლი ნოინი. ზემოთ კი ვთქვი, დედიშობილაო, მაგრამ მთლად ასეც არ იყო. სხეულის ნაწილს მიფარავდა ხელოვნური ბამბის ჭრელი ნა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქერი... მიფარავდა ცოტა არაზუსტი ნათქვამია... ყ..-ზე მეკეთა „გეორგიევსკაია ლენტა" და ძალიან ამაყი ვიყავი ამ ლამაზად გამოკვანძული ბაფთით, ამაყი ვიყავი ჩემი საქციელით, გამბედაობით, სწორი სამოქალაქო პოზიციით და ვგრძნობდი თანამემამულეების ღია თუ ფარულ მხარდაჭერას, მათ გამამხნევებელ შეძახილებსა და ჟესტებს, ვხედავდი მოშვერილ ტელეფონებსა და კამერებს, მესმოდა ავტომობილების სიგნალები, შეძახილები ჯოს! ჯოს!.. მაგრამ ამ ერთი შეხედვით საყოველთაო ერთსულოვნებისა და დარაზმულობის მიუხედავად, უეცრად, არ ვიცი როგორ, აღმოვჩნდი აბსოლუტურად მტრულ გარემოში, პუშკინის სკვერში, აგრესიული რუსი ტურისტების გარემოცვაში. სულ რუსები იყვნენ, არავინ სხვა! არც არაბი, არც თურქი, არც სომეხი, არც აზერბაიჯანელი! ასევე არავინ იყო შტატებიდან, არავინ ევროკავშირიდან და კიდევ უფრო მეტად არავინ გაერთიანებული სამეფოდან! რუსთაველი ქცეულიყო რუსთა ველად! სულ რუსები იყვნენ, მხოლოდ რუსები - ქალები, კაცები, ბავშვები... არაბუნებრივად მოკლე, მოტკეცილი შორტები ეცვათ და გლუვ, ზომიერად გალუწულ, ბოტასებიან ფეხებს მიქნევდნენ შეძახილებით, Дави его на хуй-ო. მეც დიდ გულზე ვიყავი და უკან-უკან პანიკის გარეშე, ორგანიზებულად ვიხევდი, თან მთელ ხმაზე გავყვიროდი, Георгиевскую ленту в Грузию захотели? Вот вам георгиевская елда, вот вам-მეთქი და იმ ჩემ ბაფთიანს ვიქნევდი აქეთ-იქით, მაგრამ ტურისტი რა ტურისტი იქნებოდა ყ... -ს დანახვაზე რომ დამფრთხალიყო?! Не такое выдала-ო, იკივლა ენერგიულმა ქალმა, რომელსაც თეთრ მაისურზე მთავრული ასოებით ეწერა не то ПРАЧЕЧНАЯ не то ХУЯЧЕЧНАЯ, და მეტი სიცხარით მეკვეთა. საიდანღაც მეცნობოდა ეს ქალი. გამახსენდა საიდანაც. Ах это вы товарищ Фурцева? - ჩავილაპარაკე გაოცებულმა და უკან დახევა განვაგრძე. ამასობაში რაღაცნაირად გამრავლნენ, ბევრად მეტნი გახდნენ. ტაქტიკური მოსაზრების გამო იძულებული გავხდი პუშკინის ძეგლს მივყრდნობოდი ზურგით, მეგონა, ასე უფრო დაცული ვიქნებოდი, მაგრამ მოულოდნელად თავში მძიმე საგანი მომხვდა. მეტკინა, თუმცა გონება არ დამიკარგავს. მესმოდა, Бей бусурманина, бей голодранца-ო, რომ გაჰყვიროდა ალექსანდრ სერგეევიჩი და საზარელი ძალით იქნევდა ორივე ქვის ხელს, რომლებიც, ჩემდა გასაკვირად, ბიუსტს გამობმოდა. ერთ ხელში, საერთოდაც, მხრჩოლავი დამბაჩა ეჭირა, მასიური, ფოლადის გავარვარებული ლულით. „ნუთუ, მეც ამაცილა?" - გავიფიქრე, მაგრამ უფრო მეტად გამაოცა ხელების უეცარმა გამობმამ! მეთქი, საუკუნეზე მეტი კიდურების გარეშე იდგა და რაღა ახლა გამოავლინა რეგენერაციის საოცარი უნარი? გაოცება რომ შემატყო, მომაძახა, Ходорович был умён! Ходорович был хитёр-ო და უროსავით შემართა თავისი მძიმე, ბრინჯაოს ხელი, მაგრამ ასე შემართული დარჩა ერთხანს. Почему я тут стою? - იკითხა გაოცებულმა, ჰიპნოზიდან გამოსვლისას რომ სჩვევით ხოლმე მგრძნობიარე ადამიანებს, - Всё же без меня выступил драгунский полк! Ух, поскуда Паскевич, фельдмаршал хуя-ო...

ვიდრე პუშკინი მთავარმმართებელს აგინებდა, რაღაც მანქანებით, მისი დამბაჩა ჩემ ხელში აღმოჩნდა, დამფრთხალმა ბრბომ მცირე ხნით უკან დაიხია. იარაღით გულმოცემულმა, Рогоносец кучерявый-ო, მივაძახე და დამბაჩა დავახალე დიდ პოეტს. ვერ მოვარტყი, ავაცილე, უფრო ზუსტად, კვარცხლბეკს გავადინე ბოლი. ტანი რომ მქონოდა, მუცელში დამჭრიდი სასიკვდილოდ, შე ჩათლახოო, ჯერ ქართულად მომაძახა და მერე, იმ თავის ველიკი და მაგუჩიზე გადაიხარხარა, Ходорович был умён! Ходорович был хитёр-ო. ამასობაში, დრო ვიხელთე და ადგილიდან მოვწყდი, კიდევ უფრო დავშორდი ნატყვიარ კვარცხლბეკს, შესაბამისად პუშკინის მოქნეულმა ხელმა ტურისტი დასცა ძირს, რომელიც მალევე წამოდგა და მომაძახა, Чего стоишь? А ну ка давай отсюда быстро! Сказанно, бежали робкие грузины-ო. მიხაილ ლერმონტოვს რუსეთის ნაკრების მაიკა ეცვა, აი იმ არტიომ დზიუბასი, გოლები რომ გაჰქონდა და ჩესტს რომ ულებდა ტრენერს, ოღონდ მიხაილ იურევიჩი 22-ის ნაცვლად, 27 ნომრით ასპარეზობდა და Хуй - вам, лента - нам-ო, გაჰყვიროდა. თავს ვუშველე, გავიქეცი მუზეუმისკენ, ვიფიქრე, თუ შევასწარი, ყლენტას ვერ მომჭამენ-მეთქი, მაგრამ ზედ წინკართან ხატ-ჯვრიანი თანამამულეები გადამეღობნენ და შენობაში შესვლის საშუალება არ მომცეს. А хули вы не вернули Хахули? - ნიშნისმოგებით მომაძახა მდიდრული მიტრით თავდამშვენებულმა მკვირცხლმა სასულიერო პირმა და კვერთხი დამცხო. მოვასწარი თავის გაწევა, მხარი ვიბრუნე და გუდიაშვილისკენ დავეღერე. თან გავრბივარ, თან საგონებელში ჩავარდნილი ვფიქრობ, მეთქი, ამას აქ რა უნდა, ეს ხომ რუსეთის პატრიარქი კირილეა-მეთქი. ამის გაფიქრება და პასუხის დაბრუნება ერთი იყო, Да это Я патриарх всея Г-руси-и Кир-Илия второй-ო და მერე ისევ ხახულის ხატზე აყვირდა, ოღონდ ამჯერად იმერული აქცენტით: დაგვიბრუნე ხახული, ჩვენი გადანახული! რასაც რუსი ტურისტების ქორო მოჰყვა: А хули, А хули!

ამასობაში აღმოვაჩინე, რომ გუდიაშვილის ქუჩა გაუვალია, უზარმაზარი სარკეებიანი შენობაა აშენებული. ხან რომელ უჯრედს მივაწყდი და ხან რომელს, მაგრამ ზღაპრებში როგორც არის, ვერსად ვერ ვუპოვე კარი. რა ჯანდაბააო, გავიფიქრე, ველარ გადავურჩები-მეთქი ამ მხეცებს, მაგრამ ბედად კრიშნაიტების ჯგუფმა ჩამოიარა სიმღერით, ჰარე კრიშნა, პანო რამა... შევერიე მათ რიგებს და მივყევი დინებას, ერთი ხანობა მიშველა ამან, სული მოვითქვი, მაგრამ თურმე ეს კრიშნაიტებიც სულაც არ ყოფილან კრიშნაიტები, არამედ ყოფილან, კრიშНАШИსტები, რომლებმაც მალევე აღმომაჩინეს და დამცხეს. ორმა ხელები გამიკავა, მესამემ კი სახე სახესთან მომიტანა და მითხრა: Так смотрят негостеприимно, что могут вместе с шапкой сьесть, попавший словно в костеломню вздохну легко, когда я вспомню, что Грузия на свете есть.

ბოლო სიტყვები ისე ახლოდან და ისეთი ვნებიანი თრთოლვით მითხრა, რომ თავი ვერ შევიკავე და მის სველ ლაშებს ჩემი ცვრიანი ტუჩები მივაგე-

პროზა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბე. Женя, осторожно! შესძახეს კრიმНАШИსტებმა, მაგრამ ჟენიამ ხელით ანიშნა, არ ჩარეულიყვნენ.

ახალი ნაჭამი ჰქონდა მჟავე კომბოსტო, ხინკალი და რძიანი ხაში... „არაყიც?" - გავიფიქრე დაეჭვებულმა. „არაყიც!" - ფიქრებშივე შემომეხმიანა ტურისტი ჟენია, - „ხაში ჭამო და არაყი არ დააყოლო? გამოდის, ხაში კი არა დედიშენისა გიჭამიაო", - ჩამესმა თელავური აქცენტით, თან ეზასაობდით ვნებიანად. არ მახსოვს ეს ჩვენი ზასაობა რამდენ ხანს გაგრძელდა, მაგრამ დასრულდა მოულოდნელად - მაკარონიეით გადამეყლაპა ჟენია თავის ტილოს შარვალ-კოსტუმით, ჭრელი ჰალსტუხითა და გვერდზე მოქცეული კეპით, თითქოს სასულეში გადამცდა. მოვლენების ამგვარმა განვითარებამ სულ რაღაც წამით დააბნია კრიმНАШИსტები, რითაც ვისარგებლე, თავი გავითავისუფლე და თავისუფლების ქანდაკებისკენ გავიქეცი. გზად კვლავ პუშკინს ჩავუქროლე შორიახლოს. კვლავ მომოენია ის თავის მადლიანი ხელი, ჩემ დანახვაზე რომ გამოესხა, მაგრამ ვერ მომწვდა. გამწარებულმა მომაძახა, Зря прозаик, ты хлопочешь-ო. არ გავჩერებულვარ, გავრბოდი გადაყლაპულით დამძიმებული, მაგრამ სიმძიმეზე მეტად მანუხებდა ჟენიას ფიქრები, რომლებიც ჩემსაში იხლართებოდა. ხან Про Грузию забыв неосторожно, поэтом быть в России невозможно-ამ, ხანაც Земля грузин, ты так мала, но штатам всё равно дала-ო. ამასობაში მივაღწიე თავისუფლების მოედნის შუაგულამდე. სულის მოსათქმელად გავჩერდი და მიმოვიხედე. ალყაში ვიყავი. ვისაც კი ოდესმე ფეხი ჩამოედგა თბილისში, ყველა აქ იყო - დერჟავნიკები, ფუტურისტები, სიმბოლისტები, მოდერნისტები, აკმეისტები, ნაროდნიკები, პოჩვენიკები და ა.შ. მეტიც, აქ იყვნენ მათი შთამომავლებიც, ერთიასად ქცეულები, რომლებიც ახალამოფრქვეულ ლავასავით მოედინებოდნენ ყველა მხრიდან და თავს იყრიდნენ თავისუფლების მოედანზე. ცოტაც და ისევ დამცხებდნენ. სხვა გზა არ მქონდა, სვეტზე უნდა ავბობღებულიყავი. დავიფურთხე ხელებზე, ფეხის გულები ერთმანეთს გაეუსვი და როგორც დაფეთებული ხვლიკი, მარჯვედ გავსრიალდი უზარმაზარ სვეტზე. სულაც არ ყოფილა ძნელი, გავიფიქრე გახარებულმა და მეტი ენერგიით შევუტიე სიმაღლეს, თან მალიმალ უკან ვიხედებოდი და ის გარემოება, რომ ქვემოდან შემომცქეროდნენ გაოცებულები და აღარავინ მომდევდა, ძალას მმატებდა, რატომღაც ჩემდაუნებურად ხრინწიანი ხმით ვღიღინებდი Отвесные стены... А ну - не зевай! Ты здесь на везение не уповай - ო და სწაფად მივიწევდი წინ. ამასობაში გამოჩნდა კიდეც ცხენის ოქროსფერი ფლოქვები, ოქროს ყვერები, გველეშაპის ოქროს ქერცლი და ოქროს კუდი, რომელსაც მოვეჭიდე ორივე ხელით, ავიზიდე და ზურგზე გადავაჯექი. ქვემოთ ჩავიხედე, ჭიანჭველებივით ირეოდნენ ადამიანები. მარტო თავისუფლების მოედანი კი არა, მთელი რუსთაველის გამზირი, პუშკინის ქუჩა ბარათაშვილის ხიდამდე, ლეონიძის, დადიანის და კოტე აფხაზის ქუჩები სავსე იყო სამოქალაქო ფორმებში ჩაცმული ტურისტებით, რომლებიც აგრესიულად მიყვიროდნენ, მისტვენდნენ, მიქნევდნენ ხელებს, როგორც ჩანს, მემუქრებოდნენ. ცოტა დავმშვიდდი. მივხვდი, რომ უსაფრთხო ადგილზე ვიყავი და იოლად ვერ მომწვდებოდნენ. ამასობაში სიცხემ დააჭირა და ოქროსფერი კომპოზიცია - წმ. გიორგი, მისი ცხენი და გველეშაპი - მზეს გაუჯიბრა მცხუნვარებაში. დამცხა, ოფლმა დამასხა, მერე ოფლი სრულად გამიშრა და კანკალი ამივარდა. ცოტაც და გონებას დავკარგავდი, ძირს დავეცემოდი ტუნგუსკის მეტეორივით, მაგრამ უეცრად, როგორც სიზმარში ხდება ხოლმე, წმინდა გიორგიმ ჩემკენ მოაბრუნა სახე და მითხრა: რაო, ძნელი ყოფილა გმირობა?

ხმაც ნაცნობი ჰქონდა და - სახეც. თვალები ხელის მტევნით მოვიჩრდილე და კარგად დავაკვირდი. გიგი? - ამოვილუღლუღე გაოცებულმა.

გიგიმ გამიცინა და თვალი ჩამიკრა.

მიშველეო, ვიყვირე, შენი მახვილის მადლმა, ნუ იქნები, გიგი, უგულო, მომაშორე ეს გამხეცებული ბრბო-მეთქი.

პასუხის მოლოდინში თვალებში შევციცინებდი და მისი ამ ახალი იერით აღფრთოვანებული ვფიქრობდი, აი, თურმე ვინ შეისმინა ბრძენი კაცის შეგონება, განყიდენ სამოსელი და იყიდენ მახვილიო.

კი, მაგრამ, მითხრა წმინდა გიგიორგიმ, შენ რომ ჩემთვის ყვავი არ მოგიშორებიაო?

მეგონა მომესმა, მომეჩვენა! დავფიქრდი, ამხელა წმინდანი, ამხელა ქალაქის თავი (თუ ქალაქის ამხელა თავი), ამხელა მახვილის პატრონი „რწყილი და ჭიანჭველის" ციტატებით რატომ უნდა მელაპარაკებოდეს-მეთქი? იმან კიდევ, მარტო ყვავი კი არა, მტრედებიცო, გადაიჯვეს თავზე და გადამაჯვეს მეცო, მოსვენება არ მაქვს ჩემ გველეშაპიან-ცხენიანადო.

ვაჰ, ეს რა მესმის-მეთქი, პირი გავაღე. იმან კიდევ, მე აქ ბოროტებას და ურჩხულებს ვებრძოლო თუ წითელ-ფეხება მტრედებსო?

მოვიწყინე, რა შემეძლო, რომელი ყლაპი მიმინო მე ვიყავი, მტრედებს რომ დავდევნებოდი, იმან კიდევ, ჰო, კაი, კაი, გეხუმრე, რა მოგივიდაო და წაილიღინა, ამბავს წაუღებთ ვის, თქვენ, ფრინველებო ღვთიის... ისევ გამოვცოცხლდი, დამეხმარე, ტურისტებისგან მიხსენი-მეთქი, ვუთხარი. ტურისტებისგანო? - კითხვა შემომიბრუნა შეწუხებულმა. რა იყო, წმინდა გიგიორგი არ ხარ? ტურისტების დაფრთხობას რა უნდა-მეთქი. ეგრე მარტივად არ არის საქმეო, მითხრა, აბა, კარგად დამაკვირდი, არაფერს ამჩნევო? დავაკვირდი. რა უნდა შეგამჩნიო-მეთქი, ავიჩეჩე მხრები. რა და, თავი ჩემია, მაგრამ ტანი ჩემი არ არისო. მეტი ყურადღებით დავაკვირდი. სახე ყმაწვილკაცურად მშვენიერი ჰქონდა, უმანკო, კეთილი, სხივჩამდგარი თვალებით, სავსე წითელი ტუჩებით და ხშირი, დატალღული თმით. რაც შეეხება

ტანს, აშკარად ბერიკაცისა იყო. გაოცებულმა შევუთვალიერე გაბერილი მუცელი, ბოძებივით მსხვილი ფეხები, ბებრული ნვრილი მკლავები, ვიწრო ჩამოყრილი მხრები. Да-да, это я градоначальник великого города Москвы-ო, მითხრა ტანმა (უფრო სწორად, უკანა ტანმა) და აღიღინდა, А я иду шагаю по Ваке, И я ещё пройти смогу, Весёлый шумный Авлабар и Вере и Тайгууу... ეს როგორ-მეთქი, აღმომხდა. А так, сначала пили ркацители, потом лепил Церетели, получился на половину святой Гиги, на поливину святой Юрий-ო... ვაჰ, ტანი როგორ მელაპარაკება-მეთქი, გადავირიე, რა ჯანდაბაა-მეთქი. А что это за повязка у тебя на хуй намотано-ო, დაინტერესდა ბებერი ტანი და მახეილი მომიშვირა. Вот она, вот она, на хую намотана - აგუგუნდა სვეტის ძირში დარჩენილი ბრბო დაძაბულობის გასამძაფრებლად. მივხვდი, იოლად ვერ გადავრჩებოდი. ხელები, მოგეხსენებათ, ტანზეა გამოსხმული და არა თავზე. რაღაცის თქმა დავაპირე, მაგრამ ვერ მოვასწარი, Ах ты паскуда неблагодарная-ო, იყვირა და ღია პირში მატაკა ის თავის მახეილი შეცდომით გიგისად რომ მიეიჩნია. მეგონა, ვერ გადავრჩებოდი, მაგრამ მართლა წმინდა გიორგი ხომ არ იყო? არაფერი მომსვლია, მხოლოდ გული ამერია და იმ ჩემმა გადაყლაპულმა ქენიამ სვეტის ძირში მოადინა ზღართანი. გონება არ დაუკარგავს, ბარბაცით წამოდგა და არარიტორიკულად იკითხა, Хотят ли русские войны? პასუხად, Хотят! Хотят!-ო, ერთხმად იხუვლა ბრბომ და მისკენ გაქანდა. ვისარგებლე მტრის დაბნეულობით და ძირს დავეშვი, გზად გიგის თავმა მომაძახა, აჰა, შენ ეს სანთელი, სტიქარონსნობიდან შემომრჩა, გველეშაპს გადავაყლაპებ მზეს, დღე განიმოსება სინათლისგან და შეიმოსება წყვდიადით, მაგრამ შენ ნუ შეშინდები, სანთელი აინთება და გზას ადვილად გაიკვლევ, მხოლოდ შენ გაგინათებსო...

მიწაზე დაშვებული არ ვიყავი, რომ დაბნელდა, საგნების გარჩევა შეუძლებელი გახდა, მაგრამ მალევე აინთო ნაჩუქარი სანთელი და იოლად გავძვერი მძვინვარე სხეულებს შორის. გავცდი თავისუფლების მოედანს, უკან დამრჩა მეფისნაცვლის შენობა. მგონია სამშვიდობოს გავედი, რომ სადღაც გრიბოედოვის ქუჩის მხრიდან, მთაწმინდიდან მონაბერმა ნიავმა მოიტანა ტირილისპირას მისული, ავადმყოფურად მგრძნობიარე კაცის ხმა: Свеча горела на столе, Свеча горела...

დავპანიკდი, მეგონა ამ ხმაზე ყველა მოიხედავდა, ყველა დაინახავდა, რომ Свеча горела не на столе, а в моих руках და მოვკურცხლე მართლა რობკი გრუზინივით. ისეთი სისწრაფით გავიქეცი, რომ ქარმა წმინდა სანთელი ჩამიქრო. როგორც კი სანთელი ჩაქრა, მაშინვე განათდა არემარე, ცეცხლის მზე აენთო, აცურდა თბილისის ცაზე და კვლავ მთელი დიდებულებით გამოვჩნდი. Лови поскорее, იყვირა ვიღაცამ ბრბოდან, Лови пескарей-ო. გამოვხედე, შორს იყო, მაგრამ მაინც გავარჩიე ბრბოში მისი აჭარხლებული, ღაჟღაჟა სახე, ნათელი შუბლი და უკან, ტალღებად გადაყრილი ვერცხლისფერი თმა. სულ მინდოდა მეკითხა, აი, მაინც რა ჯამში ჩაგიჯვა ბატონმა ოტიამ, რომ ეგეთი სირობა დაწერა ამხელა კაცმა-მეთქი, მაგრამ ახლა ამის დრო არ იყო და თან „ჯამში ჩაჯმის“ ზუსტი შესატყვისის მოძებნაც გამიჭირდებოდა. ამასობაში, Rabbit, Run! Rabbit, Run!-ო შორიდან მომაძახა წმინდა გიორგის თავმა, რომლის დადუმებასაც ხელების ფათურითა და დამუნათებით ცდილობდა ოქროცურვილი პერანგით შემოსილი გაბერილი ტანი. Я, бля, всё скажу, бля, Зурабу, бля, Константиновичу и он, бля, всё основательно, бля, передалет на хуй-ო, ბუყბუყებდა ის, მე კიდევ გაქცეულზე, Run rabbit - run rabbit - Run! Run! Run!-ო ნავიმღერე ისტერიულად და მეტი გულმოდგინებით გავტანტალდი ცხელ ასფალტზე, თან გამახსენდა, რომ სადღაც მახლობლად იყო მხატვრის სახლი და სახელოსნო, სადაც ჯონ აპდაიკს უყვარდა ობლად სიარული... აქ, მხატვრის ბინაში, მზის თვალი ტრიალებს, აქ, მხატვრის ბინაში, ბალია მოშრიალე... ამასობაში ქაშვეთთან ჩავირბინე იმის იმედად, რომ სანაპირომდე ჩავასწრებდი მდევარს, გადავეშვებოდი მტკვრის მღვრიე ტალღებში და თავს ვუშველიდი. ქაშუეთს რომ გავუსწორდი, ვხედავ, საფლავის რამდენიმე ქვა გასკდა, უშნოდ ამოიხორხლა და გაჩენილი ნაპრალებიდან კურკა ამოხტა, რომელიც თვალსა და ხელს შუა იქცა ნარმოსადეგ, დიდებულ კაცად სამხედრო ფორმაში - ფართე წითელი ლამპასებით შარვალის ტოტების გასწვრივ, აქსელბანდებით, მედლებით, ოქროსფერი სამხრეებით, ჭაღარა ქილვაშებით და ლამის გულისპირში ჩაგრეხილი სქელი ულვაშებით...

თითქოს დრო გაჩერდაო, გავრბოდი, მდევნელი ვერ მეწეოდა, მაგრამ თვალსაწიერიდან არ ვკარგავდი შთამბეჭდავ სახეს დიდებული მოხუცისას, რომელიც მამაშვილური საყვედურით მავსებდა, ვეჟოო, რაღა შენ და რაღა ახმედხანის ნაჩუქარი ყაითალის ცხენი, ცხრა მინუტს ექუსი ვერსტი რომ არბენინა ჩემმა ნინიკამო. მშობლიურ ენაზე ნათქვამმა გული ამიჩუყა, ერთი ხანობა გავიფიქრე, ხო არ გავჩერდე და მის ფართე ზურგს ხომ არ ამოვეფარო-მეთქი, მაგრამ კიდევ კარგი გადავიფიქრე და დრო არ დავკარგე. მახლასო, ფოლადი გამოურია ხმაში, ბედი შენი, რომ ჩემი ნამესტნიკობა დასრულდა, თორემა სულ ქობაჩის დანბაჩებით დაგიხვრიტანდი კოჭებსაო. ვაჰმე, მუხამბოზობა ასეთი უნდა-მეთქი, შევყვირე და გავაგრძელე მტკვრისკენ სწრაფვა ისე როგორც ნავკისისწყალს სჩვევია ივნისის თავსხმა წვიმაში. გამოცდილი თარჯიმრბენივით გადავახტი სოსიკო მერკვილაძის წიგნებით სავსე დახლებს და სწორედ აქ დამკრა თავში, აკაკი მაინც გამომექომაგოს-მეთქი, სოსიკოს მარადი სტუმარი, თავისი მყრალი ყიათი, კვიმატი ენით და წრფელი გულით შემეწიოს-მეთქი, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ფუჭი იმედი იყო, სხვებივით ისიც მთაწმინდაზე იყო მიჯაჭვული ამირანივით და ვერ ჰხედავდა, რა უბედურება ტრიალებდა ქვემოთ, ქალაქში. ამასობაში გავცდი ორბელიანთ უბანს, გადავკვეთე ყაბახის მოედანი და ვოდოვოზნის ქუჩით ჩავედი სანაპიროზე, სადაც ადრე მადათოვის კუნძული ტივტივებდა. სირბილით გავიარე დედაენის ბაღი, შევახტი გრანიტის მოაჯირს და... სახტად დავრჩი:

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყველაფერს ველოდი - ჩარხიან წისქვილებს, ირთაყვირიან ბორანს, ნავტიკებს, რუმბებზე შემომსხდარ მეთევზეებს, გადაბმულ ტივებს, მაგრამ, როგორც ცხონებული ყასაბი მიხუა იტყოდა, კუნძუას ძნაი, ნურასუკაცრავად! მტკვრის ტალღებზე, არც მეტი, არც ნაკლები, თუთიის კუბოსავით საზარელი, ფოლადის კრეისერი ირწეოდა!

გამოვჩნდი თუ არა, გემბანზე ჩამწკრივებულმა ერთნაირ, ცისფერ მატროსკებში გამოწყობილმა ბიჭუნებმა მოაღეს თავიანთი ლამაზი პირები და ამღერდნენ: Дремлет притихший южный город, Низкое небо над головой, Что тебе снится, крейсер „Аврора", В час, когда утро встаёт над Курой.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ჯანდაბაა, გავიფიქრე დამფრთხალმა, რა იუჟნი გოროდ, რა ნად კუროი-მეთქი? მოულოდნელობისგან თითქოს დავბრმავდი, შიშისგან თითქოს დავყრუვდი, მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგლა ალვიქვი, რომ არაფერი მეჩვენებოდა. უკან მოვიხედე, მდევარი აღარ იყო, მაგრამ მატროსკიანი ლაწირაკები არ ჩერდებოდნენ, მღეროდნენ და ისე მაჯადოებდნენ, როგორც ხმაწკრიალა სირინოზები მამაც არგონავტებს.

არ მახსოვს, რა დრო გავიდა, რამდენ ხანს ვუგდებდი ყურს მეზღვაურ ბიჭუნათა გუნდის სიმღერას, რომელიც დროთა განმავლობაში ერთ ფრაზამდე დასულიყო და ამ ერთ ფრაზას, ჩტო ტებე სნიცაო, ისე იმეორებდნენ, თითქოს მოშლილი პატეფონის დეტალები ყოფილიყვნენ (აი, ისეთისა, სულ ნემსი რომ ეჭედება ხოლმე ფირფიტებზე), ჰოდა, გაჰკიოდნენ ეს გადამწიფებული ოქტომბრელები, ჩტო ტებე სნიცა, ჩტო ტებე სნიცაო, დაუსრულებლად, ტვინის გახვრეტამდე, ვიდრე არ მივხვდი, რომ ამ სიტყვების ადრესატად მე ვქცეულვარ და, რომ დუყმორეული ბავშვების ქორო მე მომმართავდა. თავი მისკდებოდა, არ ვიცოდი რა უნდა მეპასუხა, სიზმარში რა შეიძლება ესიზმრებოდეს ადამიანს? არანაირი პასუხი არ მაქვს, მაგრამ უპასუხოდ რომ დავტოვო ასე ათასჯერ გამეორებული კითხვა, თავი გამისკდება, ველარ გავუძლებ, ჰოდა, მექანიკურად ვაღებ პირს და ჩემდაუნებურად ვამბობ, ჩტო სნიცა და... Мне Тифлис горбатый снится, Сазандарей стон звенит, На мосту народ толпится, Вся ковровая столица, А внизу Кура шумит... - დავიწყე და აღარ გავჩერდი, ოღონდ დავიწყე აშკარად სხვა ადამიანის ხმით, მაგრამ არაფერი შემეძლო, ველარ ვჩერდებოდი, ველარ ვუბრუნდებოდი, ჩემ ხმას, ჩემ თავს და მოვთქვამდი უარყოფილი საყვარელივით, ძველი თბილისის ნანგრევებში დამარხულ ბრმა აშუღივით... ამასობაში სადღაც გაღმიდან ზურნა-დუდუკიც შემომეშველა, ზანმაც მალევე გაავსო მტკვრის კალაპოტი... ჰოდა მივნაბე თვალები და მივენდე იმ ჩემი ცოდვით სავსე ებრაელის სიზმარს, რომელიც ჩემი პირიდან ამოდიოდა და არემარეს სევდიანი ქეიფის ხმებით, დასაკლავად გამზადებული ბაფთიანი ბატკნის ჩივილითა და მაყალიდან ავარდნილი მადისაღმძვრელი ნისლით ავსებდა.

ის იყო, ვიფიქრე, ჩემმა თუ არა, სხვისმა სიზმარმა მაინც ხომ გაამართლა-მეთქი, მაგრამ ამ დროს მოხდა ის, რასაც ვერც თავის სიზმარში ნახავს ადამიანი და ვერც - სხვისაში. ჯერ მომესმა საზარელი გუგუნის ხმა, მიწისძვრას რომ ახლავს ხოლმე ისეთი, მერე ყველაფერი დაზანზარდა და დავინახე, როგორ გაიხსნა მიწა და როგორ ამოიჭრა რაღაც მასიური საგანი დედამიწის სიღრმიდან ისე, როგორც საბჭოთა ბალისტიკური რაკეტები ამოიჭრებოდნენ ხოლმე ღრმა შახტებიდან სამყაროს შესაშინებლად უხარისხო ფირებზე გადაღებულ, შავ-თეთრ დოკუმენტურ ფილმებში.

ვხედავ, ამოდის და ამოდის, დასასრული არ აქვს ამ ამოსვლას. მასიურია, მკვრივია, მონოლითურია, უფრო ბრინჯაოა, ვიდრე სპილენძი, მაღალია, ფართოა, დიდებულია, ბრწყინვალეა, შესანიშნავია, გენიალურია, ყოვლისმომცველია როგორც ამხანაგი სტაა... ლიი... ნიი... ღმერთო ჩემო, გული შემეკუმშა, ნამდვილად ისაა: სტალინი იოსებ ბესარიონის ძე! უფრო სწორად სტალინის ძეგლია, უზარმაზარი, თვალუწვდენელი. ამასობაში ამოვიდა ცხვირამდე, ამოვიდა ულვაშებამდე, ამოვიდა მხრებამდე, ამოვიდა წელამდე, ამოვიდა ჩექმების ყელამდე, ამოვიდა ქუსლებამდე, ამოვიდა ლანჩებამდე, მაგრამ ამოსვლა ამით არ დამთავრებულა, მალე გამოჩნდა კვარცხლბეკის თხემი, რომელზეც მისი უსტალინესობა შემდგარიყო თავისი მძლავრი ფეხებით და მასთან (კვარცხლბეკთან) ერთად გამოჩნდნენ სხვადასხვა ჯურის საბჭოთა ადამიანები, მეტწილად ინტელიგენტები: ლენინ-სტალინისა და სხვა სახელმწიფო პრემიების ლაურეატიები - აკადემიკოსები, პროფესორები, არქიტექტორები, დელეგატ-დეპუტატები, ინჟინრები, მხატვრები, მოქანდაკეები, მწერლები... ყველაზე მეტნი მაინც ესენი იყვნენ, საბჭოთა სულის ინჟინრები დაწყებული პირველ, პროლეტარ მწერალთა გაერთიანებების წევრებიდან, დამთავრებული მწერალთა საკავშირო თუ რესპუბლიკური კავშირების მდივნებითა და თავმჯდომარეებით, მრავალიუბილეგადახდილებით, მოთვინიერებულებით, გორკის ლიტ. ინსტიტუტში გადამზადებულებით, აგარაკიანებით, მდივნიანებით, ასიათასტირაჟიანებით, პანთეონებში საფლავგარანტირებულებით და ა.შ. აი, ეს ხალხი ამოჰყვა ბელადის ძეგლს ისე, როგორც სარეველა ბალახის მოთხრისას ფესვებს ამოჰყვება ხოლმე ქვიშა და წვრილი მიწა.

ვხედავ, დგას თვალუწვდენელი სტალინი მედიდურად და მიწიდან ჩექმების ყელამდე ჭიანჭველებივით ახვევია ხალხი (როგორც მარტის იმ სისხლიან დღეებში), ოღონდ ამათ კალმები და ფანქრები აქვთ ჩემთვის მოღერებული ისეთი დაძაბული მზერით, თითქოს მაუზერებსა და ბრაუნინგებს მიმიზნებდნენ. ვგრძნობ, ერთი სული აქვთ როდის მორწყავენ აგვისტოს ხვატით გამოფიტულ თბილისს თავიანთი შხამიანი მელნებითა და ჩემი უმანკო სისხლით.

სტალინიც მე მომჩერებია და მკვლელების მთელი ეს ხროვაც. კანკალი მივარდება, ერთი პატარა ნიშანი, წარბის შერხევა, ნეკზე წამოზრდილი ფრჩხილის ულვაშზე გასმა და დამადუღებენ ადგილზე. ამასობაში, რაღაც უცნაურად ებერება ბელადს მარცხენა ჩექმა, ებერება, ებერება და ბოლოს, მაკე კამეჩი რომ გამოაგდებს ხოლმე სველ ზაქს ათი თვის თავზე, ეგრე გამოისროლა რაღაც არსება და ჩემ წინ დასცა. ამ სანახაობამ წამით გაამხიარულა სტალინი. А кто сказал, что рожденный ползать летать не может? - ჩაიქირქილა. ამასობაში ეს ჩექმიდან გაგდებული წამოხტა და ბელადის გასაგონად დაიყვირა, Мы ему покажем, как бить русских писателей-ო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავაკვირდი. მაღალი, ბეჭებში მოხრილი, შუბლშეჭმუხნილი, ნარბებდაფანჩული, წვრილთვალება კაცია, თვალებით ლენინს ჰგავს, ულვაშებით - სტალინს... **Максим Горький, мать твою!** - მეგონა ჩემთვის ჩავილაპარაკე, თურმე მთელ ხმაზე მითქვამს. ვცადე მდგომარეობის გამოსწორება, თავის მართლება, **То есть хотел сказать,** я читал вашу **Мать-** то есть читал Мать вашу - მეთქი! მერე სტალინს მივუბრუნდი და რატომღაც რუსულად მივმართე, **Вы меня не за того приняли, товарищ** Коба- მეთქი. აქ სტალინმა კითხვა შემომიბრუნა და ქართულად მკითხა, შენ თვითონ ვინ გგონივარო.

აი, აქ კი გავიფიქრე, მომეცა ბელადის გულის მოგების შანსი და ავჭყლოპინდებდი მშობლიურ ენაზე-მეთქი.

*ვინც გულს ახალი მისცა ნათება,*
*ვისი ხელითაც უნდა მოთავდეს*
*ახალი ქვეყნის მოგუშბათება.*
*ვინც დღეს ყველაზე დღევანდელია*
*და მომავალში - მარადიული -*
*ხალხის მწვერვალი მაღალმთიური...*

ამას რომ მოვრჩები, აზრზე მოსვლას არ ვაცლი და ეგრევე მივაყოლებ-მეთქი:

*...За древней каменной стеной*
*живет не человек, - деянье:*
*Поступок, ростом с шар земной.*

აი, ამ ყველაფრის თქმა მინდოდა, სიტყვების, ფრაზების ფოლადივით გამოჭედვა, მაგრამ მტკვარი, მთაწმინდა და არსენალის მთა მოწმე გახდნენ სულ სხვა სიტყვებისა:

*Его толстые пальцы, как черви жирны,*
*А слова, как пудовые гири верны.*
*Тараканьи смеются усища,*
*И сияют его голенища...*

და წავიდა და წავიდა, ველარ გაჩერდა ეს ჩემი პირი, ვერაფრით მოვთოკე იმ უბედური ებრაელის ენა, რომელიც გველივით შემომძრომოდა დაფჩენილ პირში. არა და, რა გასაკვირია ძველმა სემინარიელმა, რომ იფიქროს, პირი გულში მოჭარბებულს ლაპარაკობსო. ...**Что ни казнь у него, - то малина И широкая грудь осетина** - ეს ბოლო სიტყვებიც გადმოვაფურთხე და უბედურების მოლიდინში გავჩუმდი. ამასობაში ვხედავ, სტალინის მეორე ჩექმასაც იგივე დაემართა, რაც პირველს - გაიბერა, გაიბერა და რაღაც სველი მასა გამოისროლა. ოღონდ ამჯერად ჩემ წინ ტყავისქურთუკიანი, Pince-nez-იანი ქაჩალი კაცი დაეცა. **А кто сказал, что Лаврентий Павлович Берия** потерял **доверие?** თქვა სტალინმა და ზურგი შემაქცია ღიღინით, **Цветет в Тбилиси алыча** и для **Лаврентий Палыча.** ამასობაში ლავრენტი პავლოვიჩი მომიახლოვდა, იარაღი შემართა და ფეხების შესაყართან დამიმიზნა. არ ვიცი, საიდან, მაგრამ, მოულოდნელად, ჩემ ხელში გაჩნდა უცნაური ფაქტურის მძიმე საგანი, ღრმა შავი სიცარიელით გულში რომ[illegible] ხუფივით დავიმხე მიზანში ამოღებულ ადგილზე. მეგონა, საიმედოდ დავიცავი თავი (თავი როგორც ნაცვალსახელი), მაგრამ ლავრენტი პავლოვიჩმა ახლა ჩემი თავი (ანატომიური თავი) ამოიღო სამიზნეში. Pince-nez-ის მარცხენა ოვალიდან არეკლილმა სინათლემ თვალი მომჭრა, თუმცა გასროლის წინ მაინც შევნიშნე, ბერიას ნაგანს უცნაური, ერთმანეთზე პერპენდიკულარულად გადაჯვარედინებული ორი ლულა ჰქონდა, რის გამოც ერთი გასროლით ოთხი ხვრელი გამიჩნდა თავში: შუბლზე, კეფაზე, მარცხენა და მარჯვენა საფეთქლებზე, საიდანაც მსხვილ ჭავლებად იფეთქა სიშავემდე მუქწითელმა თხევადმა სუბსტანციამ, რომლის გასინჯვისა და შესმის მსურველების რიგმა მტკვრის ორივე სანაპირო გაავსო მიხეილის ხიდიდან მუხრანის ხიდამდე. ამასობაში თვალებში დამიბნელდა და, როგორც კლასიკოსი იტყოდა, მეხსიერების ძაფი გამიწყდა...

რუსთაველის მოედანზე ვდგავარ გაქვავებული, იქ, სადაც ადრე ქვის ლომების თავებზე წყალი გადადიოდა, ახლა წყლის მაგივრად ჩემი თავიდან გადმოღვრილი სითხე მიედინება ხმაურით. ტურისტების საყვარელი ადგილია. ბევრს გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ **Церетели**-ს მიერ განახლებული შოთა რუსთაველის სამმაგი სახის სანახავად მოდიან ტურისტები, მაგრამ ცდებიან... არა, იმის თქმა კი არ მინდა, რომ რეკონსტრუირებულ შოთას მნახველი არა ჰყავს, რომ მისი მარცხენა პროფილი პეტრენკოსი, მარჯვენა პროფილი ზაბოლოცკისა და ტანი ნუცუბიძისა არავის აინტერესებს-მეთქი, არა, ცხადია, არა, მაგრამ, ყოველგვარი ყალბი მოკრძალების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ მოედნის მთავარი სანახაობა და, შეიძლება ითქვას, პურიც მე ვარ.

თავში, როგორც უკვე ვთქვი, ოთხი ნახვრეტი მაქვს, საიდანაც სქელ ჭავლად გადმოსჩქეფს დევის სისხლივით მუქი საფერავი. **Словно дэви истекает кровю... Что такое дэви? Дэеви это** - და ყველა ეს წიაღსვლა მთავრდება **А вы знаете как будет по грузински двадцать пять чорный дэви? А нука повтори, оцдахути шави дэви- Ха, ха, ха- это значит- Ха, ха, ха-** და ამას მოჰყვება **вахтангури** და ბოლოს შეიძლება საქმე **баткани-моткани**-თაც დასრულდეს, ასეთია ეს ჩემი საფერავი, რომელიც ტურისტებისთვის ხან ხვანჩკარაა, ხან - კინძმარაული და ხანაც - ხვანჩკარაული. შეხედავენ შოთას ჯერ აქედან, მერე იქიდან, ერთი ხელფისაც მისცხებენ ნაჩქარევად და ჩემკენ გამოიქცევიან პლასტიკატის ერთჯერადი კრუშკა-ყანწებით. ჰო, ასე შადრევანივით ვდგავარ რუსთაველის ძეგლის წინ (მოქანდაკე გ. მხვაცაბია, არქიტექტორი ვ. დავითაია. მასალა: ქვა. ბრინჯაო), ვდგავარ დედიშობილა, ოღონდ წინ ჩამოცმული მაქვს ყანწი ვითარცა ახალი გვინეის აბორიგენ მკვიდრს პენისის მკვრივი შალითა, ერთგვარი ფალოკრიპტი.

ტურისტებში პოპულარული ურბანული ლე-

გენდის მიხედვით, ეს ჩემი ყანწი წიქარა, შვინდა თუ ნიკორა ხარისაა და რაღაც ჩახლართული გზებით ენათესავება ამალთეას მოტეხილ რქას და სიუხვის თუ ხვავრიელობის თვისებებიც აქვს, თუმცა ამ თვისებების გამოსავლენად რომელიმე хитрожопый ტურისტმა ყანწის სხეულიდან მოგლეჯვა და თავზემოთ შემართვა უნდა შეძლოს. იმავე ურბანული ლეგენდის მიხედვით, გამოთავისუფლებული ადგილიდან იფეთქებს ზედაშის ჩანჩქერი, რომელიც ხარჯით მტკვარს გაეჯიბრება. კიდევ ერთი ურბანული ლეგენდა გვეუბნება, რომ ყანწი გადავა მხოლოდ გამორჩეული ადამიანის ხელში მას შემდეგ, რაც წარმოთქვამს ორი ერის ღვთიური ძმობისა და სამარადჟამო ერთობის სადღეგრძელოს ისე, როგორც აქამდე არავის უთქვამს. უფრო სწორად ისე, როგორც იტყოდა რუსთაველი, ტურისტი რომ ყოფილიყო, როგორც იტყოდა ზეადამიანი აწყობილი მრავალი ტურისტჰომუნკულუსისგან, რომელთაგან ერთს ექნებოდა მაიაკოვსკის ენერგია, მეორეს პასტერნაკის სევდა, მესამეს მანდელშტამის ინტელექტი, მეოთხეს - ლერმონტოვის თავხედობა, მეხუთეს პუშკინის მასშტაბი, მეხუთეს - ახმადულინას ტანკენარობა, მეექვსეს - ევტუშენკოს მადა და ასე შემდეგ დაუსრულებლად, საქართველოზე გულშეყვარდნილი ტურისტების სახელი ხომ ლეგიონია, ყველა ამ ჰომოუნკულუსს გენიოსი თამადის მონუმენტურ სხეულად კი შეაწებებდა, შეადუღაბებდა საქართველოს დაუსრულებელი ფლობის წყურვილი, ისეთივე ძლიერი და ნაყოფიერი, როგორიცა რომა ჰქონდა პეტრედან მოყოლებულ ყველა იმპერატორს ყოვლისა ტურისტისა და პროჩიათა, პროჩიათა და პროჩიათა, როცა კახეტიისგან, კარტლიისგან, ადჟარისტანისგან, მინგრელიისგან, იმერეეტიისგან და ახალციხის ხანსტვოდან ტურისტულ სამოთხეს ძერწავდა. ჰოდა, ამ ჩემი ყანწის წინ სიტყვაც ბევრი ილვრება და ოფლიც. არის ერთი ამბავი, ჯაჯგური, თავ-პირის მტვრევა და დიდი ტალკატნია, არადა, მართლა არაფერს არ უკავია, არც მიდუღებულია და არც ჩახრახნილი, მხოლოდ ჩემი სხეულის უცნაური ჰიდრავლიკური მექანიზმი იმაგრებს. როგორც კი ღვინო გაშრება, როგორც კი ზიარჭურჭელში სითხე გაქრება, ბერნულისა და პასკალის კანონების შესაბამისად, დამპალი მსხალივით მომძვრება ჩვენი ეროვნული ფალოკრიპტი და საქვეყნოდ გამოჩნდება ის, ვისიც არ ითქმის სახელი და ყველა ნახავს, რომ არ მომკვდარა, რომ მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს! მაგრამ ეს დრო ჯერ არ დამდგარა, ჯერ ყანწმა უნდა ივარგოს ამდგარმა, უნდა მოიზიდოს, უნდა მოქანცოს ურიცხვი ტურისტი... ისე, ამ ამდგარი ყანწის გამო Отец - Грузия-საც მეძახიან და უნიჭოდაც დამცინიან ხოლმე, может быть не отец, а мать-ო, მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარი ისაა, რომ ეს ლეგენდებიც ყალბია! მთავრი ისაა, რომ ვერანაირი ძალა და ვერანაიარი სიტყვა ვერ დაძრავს ამ ჩემს ყანწს ჩემი ნების გარეშე! ეს ყანწი ჩემთვის იგივეა, რაც კუსთვის ბაკანი, რაც სპარტელისთვის ფარი. „ყანწით, ან ყანწზე!" - მართალია ჯერ არის aut cum scuto, aut in scuto-ის ზუსტი შესატყვისი, მაგრამ მაინც... თან აღარავის ახსოვს, რომ ის ზოლებიანი ლენტა ისევ მიკეთია, რომ ისევ მზად ვარ ამბოხისათვის, ქალაქში გიჟური გასეირნებისთვის, ეს ყანწიც მანამდე ვერ მომძვრება და, შესაბამისად, ვერც ამბოხება დაიწყება, ვიდრე ჩემს თავში თუ გახვრეტილ ტვინში ამოხეთქილ ღვინის წყაროს მევე არ დავაშრობ, არ გადავყლაპავ, ოღონდ არ ვიცი როგორ გავაკეთო ეს, თითქოს ვიცოდი, მაგრამ მერე ათასი სისულელით გამოვიტენე (თუ გამომიტენეს) თავი და დამავიწყდა, ხელახლა მიწევს ველოსიპედის გამოგონება... არადა, სულ ცოტა, ერთხელ (იქნებ, ორჯერ ან სამჯერაც) ხომ მოვახერხე? რაღაცნაირად ხომ მოვიგლიჯე ეს საზარელი ყანწი და ხომ დავანახვე, რა მემეტებოდა მათთვის?! როგორ და რანაირად, არ ვიცი, თუმცა იმედს მაინც არ ვკარგავ, რომ ბრძოლის უნარი, მხედრული სული დამიბრუნდება. აკი ნათქვამია, რაც ერთხელ მოხდა, ის აუცილებლად განმეორდებაო... ისე, ტყუილი რომ არ ვთქვა, არც ისე ძნელი და მტანჯველია Отец - Грузия-დ - ღვინის შადრევნად ყოფნა, რაღაცნაირად შევეჩვიე კიდეც, თან ამ ასპარეზზეც შეიძლება თავის გამოჩენა, წინააღმდეგობის ფრონტის გახსნა, მურისძიება... როგორ? როგორ და ჩაჯმამდე დაათრო ხარბი ტურისტი, სახე დააკარგვინო, თავის ნარწყევში დაახრჩო და ასე აზიარო მორალურ მარცხს, მორალურ სიკვდილს. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ მთელი ჩემი ფიზიკური და სულიერი ენერგია ახლა იხარჯება იმაზე, Чтоб вином наполнялся бокааал... მაგრამ გულში, ცხადია, სულ სხვა სიმღერებს ვღიღინებ... სიმღერებს რა, ერთ სიმღერას, უფრო სწორად სიმღერას კი არა, ჰიმნს. ვცდილობ, ტექსტი მაინც არ დამავიწყდეს. ან კი როგორ უნდა დამავიწყდეს?! ჰმმ, ჰმმ... ჩემიი ხაატიააა ბუნიათიიშვილიი... არა! ასე არაა! მგონი, სამშობლო უნდა იყოს... კი, კი, სამშობლოა! ჰმმ... სამშობლოო, სამშობლოო, შენი დიდება ბრუნდებააა... ჯანდაბა! არც ეს არაა!.. არადა კარგად მახსოვდა... ერთი რომ გავიხსენო, მერე წავა და წავა, წაიღებს, გენი თავისას იტყვის, ისტორიული მეხსიერება თავისას იზამს... ჩემი ხატია სამშობლო, სხვასახეეე... არა, დახატეეე... იქნებ, სახატეეე... კი, სახატე! სახატე! მოკლედ, ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყაანა, განათებული მთა-ბარი, წილნაყარია ღმერთთანა... მერე ცა, ზღვა, ვარსკვლავები და დიდება თავისუფლებას, თავისუფლეეებას დიიიდებააააააააააა...

...ხო, კიდევ, არ უნდა დამავიწყდეს ვისი გორისა ვარ, საიდან მოვდივარ, რა მქვია და რა გვარის ვარ... გვარი ძალიან მნიშვნელოვანია... ჩემი გვარი... ჩემი გვარიი.... რა გვარი ვარ? რა და... მოიცა... გოლ... არა გელ... მოიცა... ცნობილი გვარის წარმომადგენელი ვარ... კარგად მახსოვს, ჩემი მოგვარის ქუჩაც არის თბილისში... არის? თუ იყო? გელოვანის გამზირი? იქნებ გოლოვინის? ღმერთო ჩემო!..

ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სოფო ბანძელაძე

# ცალთვალა



## 1

ქუჩაში გაზრდილი ბავშვები ვიყავით. უპატრონოები არ ვყოფილვართ, მშობლები გვყავდა. უბრალოდ, ჩვენ ქუჩაში ყოფნა გვიყვარდა. დილიდან-საღამომდე იქ ვიყავით. ბევრ რამეს ვთამაშობდით. ძირითადად ბურთით. ბურთი თუ არ გვქონდა, დავრბოდით. თუ არ დავრბოდით, ვისხედით და ვიკბინებოდით. ვიკბინებოდით გაუთავებლად, იქამდე, სანამ საბოლოოდ თმებით არ ვითრევდით ერთმანეთს. მერე მშობლები სახლებში მიგვათრევდნენ. დილით კი, ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ბურთი, სირბილი, კბენა. ბურთი, სირბილი, კბენა...

ერთმანეთის ეზოებშიც დავდიოდით. ეზოში ომობანას ვთამაშობდით, გუგას თოფებით. გუგას ბევრი თოფი ჰქონდა. ყველაზე ბევრი. ყველა თოფს სჭირდა რაღაც, მხოლოდ გუგას თოფი იყო კარგი და მთელი. გუგა „ქმოტი" არ იყო, მაგრამ საუკეთესო მაინც თავისთვის უნდოდა. ჩვენც გვინდოდა ყველაზე კარგი თოფი. პრეტენზიას რომ გამოვთქვამდით, გუგა მოკლედ მოგვიჭრიდა: „ჩემია და მორჩა!". პირველ ჯერზე ამას ვერ ვეგუებოდით, შემდეგ მივეჩვიეთ და ყველანი უსიტყვოდ ვიღებდით გუგას შემოთავაზებულ თოფებს.

ყველას გვქონდა ჩვენი ეზო.

არდადეგებზე ბავშვები აღარ ჩანდნენ. თავიდან მეგონა, რომ სადღაც ქრებოდნენ, მიფრინავდნენ და დაბრუნება არ ეწერათ. მაგრამ ერთი-ორჯერ რომ დაბრუნდნენ, დავრწმუნდი, რომ მათ არ ჰქონიათ ფრთები და ვერასოდეს გაფრინდებოდნენ ძალიან შორს. მე არასოდეს ვქრებოდი. ყოველთვის ჩემს ეზოში ვიყავი. მე და ჩემი ცალთვალა თოჯინა.

## 2

როგორც კი შებინდდებოდა, ქუჩაში „გრუზავიკი" ჩამოივლიდა ხოლმე. მას უკან დიდი, უშველებელი საბარგული ჰქონდა. მას შემდეგ რაც ბუცამ ერთი შემზარავი ისტორია მოგვიყვა, ყველას გვეშინოდა ამ რვაბორბლიანი მონსტრის გამოჩენის.

ერთ საღამოს, როცა „გრუზავიკმა" ჩამოიარა, და ღობესთან, ჭუჭყიან ასფალტზე ვისხედით, ბუცამ დაიწყო:

იცით ამხელა საბარგული რატომ აქვს?

მამაჩემმა მითხრა, რო მაგით ტვირთი გადააქვთ. - უპასუხა ანუკამ და სათამაშო მანქანაში ჯოხის ჩხიკინი განაგრძო.

აუფ! არააა, ტვირთის გამო არ აქვს.

აბა რის გამო აქვს? - თვალები მოჭუტა ანუკამ.

აუუ, ეგ თუ გითხარით... - მრავალმნიშვნელოვნად თქვა ბუცამ და ღობეზე განვა.

ეე, თქვი რა. თუ დაიწყე დაამთავრე! - შეუღრინა დათუნამ.

მოკლედ, მისმინეთ და რასაც გეტყვით, არავის უთხრათ. გაიგეთ?! - „გავიგეთ" ერთხმად შევყვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთ და ყურები ვცქვიტეთ. ბუცამ კი დაიწყო.

გუშინწინ, გვიან ღამით ქუჩაში გამოვედი, მაინტერესებდა რა, რა ხდებოდა გარეთ, ხოდა, გამოვედი და ვხედავ, ეს გრუზავიკი, ზუსტად ეს, გაჩერებულია გიჟი ზაურა ბიძიას ღობესთან. ხოდა ვიფიქრე, ამ შუაღამით აქ რა უნდა-მეთქი და სახლში შევედი, დურბინდი გამოვიტანე, კარგად რო დამენახა, რა. ხოდა, ვხედავ, საბარგულიდან ვიღაცა კაცს ცელოფნებში შეხვეული რაღაცეები გადმოაქ და გიჟი ზაურა ბიძიას ეზოში შეაქ. გიჟი ზაურაც ეხმარებოდა. ბევრი უგეთი რაღაც გადმოიღეს. დურბინდით კი ვიყურებოდი, მარა შიგნით რა იყო როგორ დავინახავდი, ხოდა დაველოდე ეს კაცი როდის წავიდოდა და გიჟი ზაურა ბიძიაც როდის დაიძინებდა. ველოდე რა დიდი ხანი, და ბოლოს როგორც იქნა წავიდა, გიჟი ზაურა ბიძიაც შევიდა სახლში და მე ჩუმად ...

ეეე, იტყვი თუ არა რა იყო იმ ცელოფანში?! - ისევ შეუღრინა დათუნამ.

დამაცადე ბიჭო, ვყვები. ვა! ხოდა - განაგრძო ბუცამ - მივდივარ და მივედი გიჟი ზაურა ბიძიას ჭიშკართან. ჩუმად შევალე. ბიჭოო, ეზოში არაფერი არ დევს. ხოდა ვიფიქრე, პადვალში ხო არ შეიპაროთქო. არ შემშინებია, ისე შევედი პადვალში და ვხედავ, ეს ცელოფნებში გახვეული რაღაცეები ერთმანეთზე დევს. მეთქი რა არი, ხოდა, მივედი. არ შემშინებია, ავიღე და ასე, მიშველი ხელებით, ჩუმად გავხიე ცელოფანი და შიგნით იცით რა ვნახე?

- არა, საიდან უნდა ვიცოდეთ? რა ნახე? - იკივლა ნინუცამ.

- რა და მკვდარი ბავშვები.

- აუუ, შენ იცი ვის მოატყუე ბიჭო?! - ისევ შეუღრინა დათუნამ.

- გინდ დაიჯერე, გინდ არა. მე ვნახე და...

- კაი, წამოდი მაშინ ამ საღამოს და ენახოთ ერთად!

- არ დამიმთავრებია ჯერ რა! გუშინაც ვიყავი და აღარ იყო და გუშინ რო ვიყავი, გიჟმა ზაურა ბიძიამ დამიჭირა და აქ შემოსული აღარ დაგინახო, თორე შენც და შენს მეგობრებსაც ნახავთ რასაც გიზამთო! ხოდა არ უნდა შეხვიდეთ, არც თქვენ და არც მე. იმიტო გეუბნებით ზუსტად, რო მერე რო შეხვიდეთ ...ეგრე იზამს... მოგვკლავს!

- იტყუები!

- არ ვიტყუები!

- კი!

- არა! აუ, მე გაგაფრთხილე დათუნა, რა, და შენ რაც გინდა ის ქენი!

- რათ უნდა ის ბავშვები?! - იკითხა შეშინებულმა ანუკამ.

- თოჯინებს აკეთებს მერე მაგისგან.

- შენ რა იცი, რას აკეთებს?! - არ უთმობდა დათუნა.

- რა ვიცი და, გიჟმა ზაურა ბიძიამ რო დამიჭირა, ხელში თოჯინა ეჭირა.

- იქნებ, სხვა თოჯინა იყო, მაღაზიაში ნაყიდი?

- ნტ, არა. - თავდაჯერებულად თქვა ბუცამ და თავი გააქნია.

- მე არ მჯერა რა! მატყუარა ხარ! წავედი სახლში! - დათუნა წავიდა.

- თქვენ ხო გჯერათ? - გვკითხა ბუცამ.

კი, ჩვენ გვჯეროდა. გვჯეროდა, რომ გიჟი ზაურა ბიძიასთვის „გრუზავიკით" მოჰქონდათ მკვდარი ბავშვები და მერე ამ ბავშვებისგან ის თოჯინებს აკეთებდა. თოჯინებს, რომლითაც მერე ვთამაშობდით და ჩვენ ამ თოჯინების არ გვეშინოდა. არ ვიცი რატომ. აი, ასე - არ გვეშინოდა.

## 3

ბუცა ჩემს გვერდზე ცხოვრობდა. ასე ჩვენ შევარქვით. უფრო სწორად, დათუნამ შეარქვა და მერე ყველამ აეიტაცეთ, მშობლებიც ასე ეძახდნენ და ყველა. ბუცას იმიტომ ვეძახდით, რომ ბუსავით თავი ჰქონდა. მრგვალი, ფუმფულა და როდესაც თამაშით დაიღლებოდა ან ყველანი მოვბეზრდებოდით, ხეზე ძვრებოდა. ხის ტოტები ქუჩას დასცქეროდნენ და ბუცაც იქიდან დაგვცქეროდა ჩვენ. დათუნამაც იფიქრა: ხე ხომ ცასთან ახლოს არისო, თან ბუსავით თავიც აქვსო და მოდი „ბუცა" შევარქვათო. ხოდა ასე. დათუნას ამბიცია ჰქონდა, რომ თითოეული ჩვენგანისთვის გადაერქმია სახელი. უნიჭოდ გამოსდიოდა, მაგრამ „ბუცა"-ზე კარგად გამოუვიდა.

ბუცას მაინც და მაინც, არ უყვარდა ლაპარაკი. მხოლოდ მაშინ ამოიღებდა ხმას, როცა რამე ჰქონდა მოსაყოლი. განსაკუთრებით კი, როცა საქმე გიჟი ზაურა ბიძიას თოჯინებს და მკვდარ ბავშვებს ეხებოდა. ბუცა გვიყვებოდა, როგორ მოჰქონდა „გრუზავიკს" კვირაში ერთხელ, გვიან ღამით, გიჟი ზაურა ბიძიასთვის მკვდარი ბავშვები. ჩვენც გვინდოდა ამის ნახვა, თუმცა ბუცა გვარწმუნებდა რომ არ ღირდა, რადგან მძიმე სანახაობა იყო. ჩვენ მაინც გვინდოდა და ბუცას ვთხოვდით, როცა „გრუზავიკი" ჩამოივლიდა გაგვეღვიძებინეთ. ის წინააღმდეგობას გვიწევდა: „როგორ გაგაღვიძოთ, ერთ სახლში ხომ არ ვცხოვრობთ ყველანი"-ო. ჩვენც აღარაფერს ვეუბნებოდით და მხოლოდ ბუცას მონათხრობებს ვჯერდებოდით. დათუნა კი ერთადერთი იყო, რომელიც არასოდეს უსმენდა მას და თუ რაიმე ისეთს გაიგონებდა, რაც მის ყურს ცუდად მოხვდებოდა, მაშინვე მუშტი-კრივზე გადადიოდა. თან ბუცას გაღიზიანებული და ანერვიულებული ეძახდა „მატყყყყყუარა! მატყყყყუარა"-ს. ბუცას კი დათუნას წინააღმდეგობა არ აშინებდა. მას ჩვენ ვყავდით. ბავშვები, რომლებიც მის მონათხრობებს (როცა ამას თავად მოისურვებდა) ყოველთვის გულის კანკალით ვუსმენდით. ცალცალკე არასოდეს, არავის გველაპარაკებოდა ამის შესახებ. სულ იძახდა „ეს ისეთი ამბავია, ყოველ წამს ამაზე ლაპარაკი არ შეიძლებაო".

ორი-სამი დღე ისე გავიდოდა ხოლმე, ბუცა სახლიდან არ გამოდიოდა. არც ხეზე ძვრებოდა და არც ეზოში ეთამაშებოდა თავის უშველებელ ძაღლს. მისი სახლიდანაც მხოლოდ სიჩუმის ხმა ისმოდა. ბუცას არყოფნით, მაინც და მაინც დიდ დანაკლისს არ განვიცდიდით, რადგან საკმარისად ბევრნი ვიყავით და თავი მის გარეშეც გაგვქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 4

ეზოში ვთამაშობდი, როცა თავსხმა წვიმა წამოვიდა, ზაფხულის წვიმა იყო, მაგრამ დედამ მაინც დამიძახა, „სახლში შემოდიო". ამას უკვე დედაჩემის თქმის გარეშეც ვხვდებოდი, ამიტომ სახლში დაუყოვნებლივ შევედი. სათამაშოები გარეთ, აივნის კიბეზე დაყრილი დავტოვე. რამოდენიმე წუთის შემდეგ, სახლში შესულს გამახსენდა, რომ აივანზე, ნაჭრის მუცლიანი და პლასტმასის ხელ-ფეხ-თავიანი, ცალთვალა თოჯინაც დამეტოვებინა და იმის შიშით რომ ჩემს თოჯინას წვიმა დაალპობდა, გულგახეთქილი გავვარდი გარეთ.

„ვიცი, ვიცი რომ აქ დავტოვე. წვიმა როგორც კი წამოვიდა და დედამ დამიძახა, თოჯინას ხელი გავუშვი და სახლში შევედი. ოოო, მომეკიდებინა ხელი და წამომეყვანა! ახლა სად ვიპოვო, სად ვიპოვო ამ წვიმაში?! იქნებ დედამ აიღო? ან იქნებ... გიჟი ზაურა... ვაიმე! გიჟი ზაურა ბიძია! იმან წაიყვანა! ხო, აბა სხვა ვინ წაიყვანდა. ახლა რა ვქნა? რა გავაკეთო? იქ რომ მივიდე, დამინახოს და მომკლას? ბუცას ვეტყვი, გამომყვება. მაგას ხო არაფრის ეშინია. მაგრამ ბუცას საიდან ეცოდინება სად ექნება ჩემი თოჯინა იმას? მაგრამ რათ უნდა თოჯინები გიჟ ზაურა ბიძიას?"

თავიდან ფეხებამდე დასველებულმა, სახლში ტრაგიკული ხმით განვაცხადე, რომ ცალთვალა დავკარგე და თან ჟღვლინტებს სვიტერის სახელოთი ვიწმენდდი. გაუთავებლად ვტიროდი. მინდოდა, თოჯინის ქურდი ისე მეცემა, როგორც დათუნა სცემდა ხოლმე ბუცას.

დედამ მითხრა, რომ როგორც კი წვიმა გადაიღებდა მაშინვე დაიწყებდა თოჯინის ძებნას. მამა კი დამპირდა: „თუ ვერ ვიპოვით, ახალს გიყიდი, ოღონდ მაგის გამო ნუ მოთქვამო". არადა მე თოჯინას კი არა, ჩემს შელახულ ღირსებას მივტიროდი. იმას, თუ როგორ გამიბედეს ასეთი რამ. თან ცნობისმოყვარეობა მკლავდა: „ნეტა მართლა იმან წაიღო?"

წვიმას ორი დღე არ გადაუღია. მესამე დღეს კი, რომ გამოიდარა, დედა თოჯინის ძებნას შეუდგა, მაგრამ ვერ იპოვა. ჩემი თოჯინის დაკარგვის შესახებ სამეზობლოში ყველამ შეიტყო. დიდი არაფერი თოჯინა იყო. მეტიც, ცალი თვალი ამოვარდნილი ჰქონდა. მეზობლებს კი, ჩემი არ იყოს, თოჯინის დაბრუნება კი არა, ქურდის ვინაობა აინტერესებდათ, ამიტომ მას ყველა ეძებდა.

თოჯინის ძებნა გაჭიანურდა. ამას ისიც დაემატა, რომ ჩვენი მეზობელი, ბუდუ ბაბუა მოკვდა. ასე რომ, არავის სცხელოდა არც ჩემთვის და მით უმეტეს ჩემი ცალთვალა თოჯინისთვის.

## 5

თოვლი იყო. იმ ზამთარს იმდენი ხანი თოვდა, რომ ყველას მოგვბეზრდა და ქუჩაში აღარ გავდიოდით. ან ერთმანეთის სახლებში ვთამაშობდით, ყველა ერთად. ან ჩვენს სახლებში, ცალ-ცალკე. მაშინაც სახლში ვიყავი. მაგიდაზე დიდი თხელი საბანი მქონდა გადაფარებული და მის ქვეშ ვიყავი შემძვრალი. თავს უჩვეულოდ, მყუდროდ ვგრძნობდი და იქიდან გამოსვლას არც ვაპირებდი. უცებ ხმა მომესმა:

-ბუცა! შემოდი!

ჩემი სამფლობელოდან გავიჭყიტე. სახლის კარი ნინოს შემოეღო. ნინო, ბუცას დედა იყო.

- შემოდი-მეთქი, ბუცა, თორემ არ ვიცი რას გიზამ. შემოდი და ბოდიში მოიხადე!

ბუცა აბუზული იდგა და ხელში ჩემი ცალთვალა ეჭირა. თავს მაღლა არ სწევდა. უფრო სწორად, თვალებს. დაბლა, ერთი წერტილისთვის მიეშტერებინა. ამ სურათით გაკვირვებულმა, ჩემი მოწყობილი სახლიდან, ნელ-ნელა, ჯერ თავი გამოვყავი, მერე ტანი, მერე ფეხები და ბოლოს წამოვდექი. ნინომ კი ბუცა ძალით შემოაგდო სახლში და კიდევ ერთხელ უთხრა, რომ ბოდიში მოეხადა ჩადენილი საქციელის გამო.

ბუცა ჩემ წინ იდგა. არ მიყურებდა და მაშინ მომეჩვენა, რომ თავი უფრო მეტად გადიდებოდა. ხალიჩაზე ჯერ ერთი წვეთი დაეცა, მერე მეორე, მესამე, მეოთხე ... მეტი ველარ დავითვალე. ბუცა ტიროდა. ამომხედა და თვალებით მთხოვა, რომ თოჯინა მისთვის დამეტოვებინა.

ნინომ ბუცას ცალთვალა ხელიდან გამოგლიჯა და მომაჩეჩა. მერე ყველას მის ნაცვლად მოგვიხადა ბოდიში, ბუცას ხელი მოჰკიდა და ისევ ძალდატანებით გაიყვანა სახლიდან. ბუცა ტიროდა, ახლა უკვე ხმამაღლა. მე თოჯინა აღარ მინდოდა. არც ბოდიში მინდოდა. არც ქურდის ცემა მინდოდა. მინდოდა, რომ ამ თოჯინით ისევ ეთამაშა ბუცას. რაც მოუნდებოდა ის გაეკეთებინა მისთვის; მეორე თვალიც ამოეთხარა, ფეხიც მოეძრო, ხელიც, თავიც... არაფერი დაეტოვებინა. საერთოდ არაფერი. ბუცა შემეცოდა და მეც ავტირდი.

* * *

დიდი ხნის შემდეგ, როდესაც გიჟი ზაურა ბიძია გარდაიცვალა, ჩვენც გავიზარდეთ და „გრუზავიკმაც" ჩვეულ დროს ჩამოიარა, მივხვდით, რომ არც მკვდარი ბავშვები არსებობდნენ და არც მათგან გაკეთებული თოჯინები. იმასაც მივხვდით, რომ ეს ყველაფერი ბუცამ გამოიგონა.

ბუცას თოჯინებით თამაში უყვარდა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თეონა დოლენჯაშვილი

# გზაზე

***ნაწარმოებს საფუძვლად უდევს აფხაზეთიდან დევნილთა რეალური ისტორიები***



ქალაქიდან გამომავალი გზა დევნილების გრძელი, მწუხარე ქარავანითაა ჩახერგილი, ქალაქისკენ მიმავალი კი - უკაცური და ცარიელი. გული მეკუმშება. წამით მეჩვენება, რომ ახლა სხვის უცნობ და ომის ქარცეცხლში გახვეულ ქალაქში კი არ მივდივარ, არამედ უკან, საკუთარ ბავშვობაში, საკუთარ დევნილობაში ვბრუნდები. ვბრუნდები ქალაქში, რომელიც 25 წლის წინ დედ-მამასა და ტყუპისცალ დასთან ერთად დავტოვე. ზუსტად ამ დევნილებივით, ერთად-ერთ ჩანთააკიდებულმა, სადაც დედას ტანსაცმლის, საოჯახო ალბომის, ნათლობის ჯვრებისა და ნიშნობის ბეჭდების ჩადება მოესწრო.

ალბომი ერთადერთია, რაც იქიდან გადარჩა. ბავშვობაში საათობით ვუყურებდი იმ ფოტოებს და თითოეული მათგანი ისე მახსოვს, როგორც წარსულის ერთ უსასრულოდ გრძელ დღეს გადამხდარი და მერე ყოველდღე, ერთსა და იმავე სიზუსტით გამეორებული ამბავი. ფოტოებზე არიან: ახალგაზრდა და ბედნიერი დედ-მამა ზღვაზე; მე და ჩემი და სანაპიროზე; მე და ჩემი და პარკის კარუსელებზე; ბებია-ბაბუა ჩვენი სახლის ეზოში; ყველანი ერთად მისაღები ოთახის ცენტრში, საიდანაც ჩანს ჩვენი სახლის აივნის კონტურები, ბაღის იასამანი...

დრო რომ გავიდა, ის ფოტოები, ის გახუნებული და გაცრეცილი ფოტოქაღალდი ისეთივე ვნებით შემძულდა, როგორითაც იქამდე მიყვარდა. შემძულდა, რადგან საბოლოოდ გავაცნობიერე და შევურიგდი იმ აზრს, რომ იმ დიდი და ფერადი ცხოვრებისგან მხოლოდ ეს ორგანზომილებიანი, გაქვავებული გამოსახულებები დამრჩა. ფოტოები - ყველაზე სასტიკი მტკიცებულება, რომ ის ყველაფერი იყო და აღარასდროს იქნება.

ფოტოგრაფის პროფესიაც ალბათ ამიტომ ავირჩიე. საკუთარი წარსულის დასამარცხებლად. იმ შესაძლებლობის შესაძენად, დროში გავყინო და მარადისობის შანსი მივცე წარმავალს, გამოსახულების ტყვეობაში გამოვკეტო რეალობა. ის, რაც ნამდვილია და ცოცხალი. თუმცა კადრები, რომლებიც რეალურ გამოსახულებებად არ ქცეულა და მხოლოდ ჩემს მოგონებებში არსებობს, მაინც ყველაზე მკვეთრია და დაუვიწყარი.

### კადრი 1

***ჩვენ***

ეს ჩემი ყველაზე ცხადი სურათია. კადრი, რომელიც მარადიულ ფონად ადევს ჩემს წარსულს, აწმყოს და ალბათ მომავალსაც: მტვრიან მიწაზე ქალი ზის. მის გვერდით ორი პატარა გოგოა. ერთს თავი დედის კალთაში ჩაუდევს და სძინავს, მხოლოდ ნაზი, ქერა თმა უჩანს. მეორე ფეხზე დგას. გულზე მიკრული ჭუჭყიანი დათუნიათი. გვერდით

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი დგას. კაცი ზურგითაა. შავი ქურთუკი აცვია და ალბათ სიგარეტს ეწევა, რადგან მის წინ გაშლილი თამბაქოს კვამლი და ნისლი უცნაურად ერწყმის ერთმანეთს. ქალი დედაჩემია. ჩემი სევდიანი და ლამაზი აფხაზი დედა. მძინარე გოგო ჩემი დაა - ნინო. ნინო ავადაა. ფეხზე მდგომი გოგო კი - მე ვარ, ექვსი წლის მე ბავშვობის მამას პირდაპირ ვუყურებ, რომელიც ახლანდელი მესგან ზურგითაა. მამის სახე ჩემთვის იმეთივე მყარი და სტატიკური არ არის, როგორც დედის. ის მუდმივად იცვლება და იდღაბნება - განვლილი დროის, ადგილის და მოვლენების მიხედვით და ჩემი ქვეცნობიერიც იოლ გამოსავალს ეძებს. მამას სახე არ უჩანს. ის ჩემგან ზურგითაა.

ეს ჩვენ ვართ. სოხუმი სამი დღის წინ დავტოვეთ. სოხუმის დატოვებაც ცალკეულ კადრებად მილაგდება: მამა საგულდაგულოდ კეტავს სახლის კარს. დედა ტირის და ეზოში დარგულ ფორთოხლის ხეს ტოტს ატეხს. „გაეახმობ და სულ თან მექნება, ვიდრე არ დავბრუნდებით," - ბუტბუტებს თავისთვის. რაღაც აბსურდულ პირობას აძლევს თავის თავს, ჩვენ, თუ ხეს. მე საყვარელი სათამაშოებიდან ორ თოჯინას და დათუნიას ვირჩევ, ჩემი და კი ჩანთას სათამაშოებთან ერთად უამრავი ხარახურით - ფერადი ფანქრებისა და პლასტელინის კოლოფებით, ზღვის კენჭებით და ნიჟარებით ავსებს. ვერც ქუჩაში ნაპოვნ ტყვიის გილზებისგან აკინძულ სარაჩხუნოს ელევა.

რამდენიმე მეტრით დაშორებული ზღვა სექტემბრის მზის სხივებზე ოქროსფრად ელავს. ქუჩიდან დროდადრო ავტომატის სროლის ხმა ისმის, ამ ხმას შეჩვეულს შიშის გრძნობა მოჩლუნგებული მაქვს, მაგრამ ახლა მშობლების შეშფოთებული სახეებით ვხვდები, რომ რაც შეიძლება მალე უნდა გავეცალოთ აქაურობას. ამას ემატება შეძახილები, ყოველი მხრიდან რომ ისმის: „მალე შემოვლენ! წადით!"

მიედივართ. ქუჩებზე ალაგ-ალაგ ანთებული კელაპტრებივით იწვიან სახლები. გასაქცევად გამზადებული ადამიანები საკუთარ სახლებს ნავთს ასხამენ და მერე გამეტებით ესვრიან ცეცხლმოდებულ კვარს. სწორედ ამ სასიკვდილო ფეიერვერკის შუქზე ვტოვებთ სოხუმს, რომლის ცაც ახლა, განშორებისას, განსაკუთრებულად ლურჯად კრიალებს. და სადღაც ქვემოთ მზის სხივებზე მშვიდად ლივლივებს უზარმაზარი ზღვაც, რომელიც მალე გაწითლდება. ზღვაში ჩახოცილი ადამიანების სისხლისგან.

სამანქანო გზა ბუნდოვნად მახსოვს. მივდივართ. მერე ვდგავართ. სულ სადღაც ვდგავართ. ვიცდით. ველით. მამას საჭმელი მოაქვს. დედა გვაჭმევს. მანქანაში ერთმანეთზე მიკრულებს და ოფლიანებს გვძინავს. ნინო ტირის. მამა ეწევა და ისე დადის, თითქოს მხრებით რაღაც ძალიან მძიმე დააქვს. დედა ხელ-პირს ბოთლიდან გადმოსხმული წყლიდან გვაბანინებს, ან წყალში დასველებული დოლბანდით გვწმენდს, ტანსაცმელს გვიცვლის...

ყველაზე მეტად ღამით მიჭირს. ან დის ტირილი მაღვიძებს, ან მოუხერხებელი ძილისგან ატკიებული კისერი. წყაროს წყალს ვითხოვ, მაგრამ ბოთლი ნინოს მიუსაკუთრებია, დედის კალთაში ადგილისთვის ვიბრძვი, მაგრამ ამ ბრძოლაშიც მუდმივად ნინო გამოდის გამარჯვებული. რადგან შეუსვენებლად ტირის და „სან* ცუდად ვარო", - იძახის. ვბრაზობ, ვიბუტები, შუბლს მანქანის ცივ მინას ვაყრდნობ, რომლის მიღმაც ჩაბნელებული ველები და შორეულ სოფლებში ალაგ-ალაგ ანთებული სინათლე ჩანს და გულიც აქამდე უცნობ, ბნელ და მძიმე ღრუბელში მეძირება. გულზე ახლა სხვაგვარი შიში მაწევს. მაშინ სახელს ვერ ვარქმევდი იმ გრძნობას, მაგრამ შემდეგ მისი მრავალჯერ განმეორადობის გამო, ზუსტად ვიცი რაც ქვია - ადამიანური არსებობის და არჩევანის არარსებობის აბსურდი. გარღვევის და ვითარების შეცვლის შეუძლებლობის, გამოუვალობის ყრუ, დაუსრულებელი ტკივილი...

## კადრი 2

### *ნავსადგური*

არასდროს დამავიწყდება სოხუმის ნავსადგური. მშვიდი ზღვა და აღუღებული სანაპირო. ამდენი ადამიანი ნავსადგურზე არასდროს მინახავს. ნემსის ჩასაგდები ადგილი არ არის და ყველა იმ ერთადერთ გემზე ცდილობს ასვლას, რომლის გემბანიც ასევე გაძეძგილია ხალხით.

- აქ უნდა ახვიდეთ, - ამბობს მამა.

- აქ როგორ? წარმოუდგენელია, - აზრების მოკრება უჭირს დედას.

- უნდა ეცადოთ! შენ და ბავშვები მაინც უნდა გაგამგზავროთ,- მამა ჩვენს წინ დგება და თვალებში გვიყურებს, - ბავშვებო, შეძლებთ?

ჩვენ მონდომებით ვუქნევთ თავს და გემისკენ მივდივართ. დედა უკან მოგვყვება. პატარები ვართ, სხარტები და მოქნილები და ამის ხარჯზე ვცდილობთ მღელვარე ხალხში გზა როგორმე გავიკვლიოთ. ჯიქურ მივიწევთ წინ, ვილაცების ფეხებში მივძვრებით, ბარგზე გადავდივართ, ჩაჭიდილ სხეულებს შორის ჭუჭრუტანებს ვპოულობთ და როგორც ნემსის ყუნწში, ისე ვძვრებით. უკვე გემის კიბესთან ვართ და ისევ ისე შეუპოვრად, მინდვრის თაგვებივით ვაგრძელებთ ხალხის მჭიდრო კედლის ღრღნას და გარღვევას. როგორც იქნა, გემზეც ავდივართ! ქანცგაცლილები, თმაგაწეწილები, ტანსაცმელმორღვეულები. ბრძოლისა და დაღლილობისგან თავბრუდახვეულს გული მერევა, მაგრამ მამის დავალება შესრულებულია. საოცრება შევძელით და გემზე საკუთარი პატარა ფეხების დასადგმელი ადგილი მოვიპოვეთ. ნინოს ვეხვევი, მაგრამ გარს უცხო სხეულების მყარი კედელი გვაკრავს და დედას ვერსად ვხედავთ. ნაცნობ კაბას და ხელებს ამაოდ ვეძებთ. ახლა გემბანის ნაპირისკენ ვიწყებთ მოძრაობას. ნინო უკან მომყვება. გემის კიჩოსთან ვდგები და ფეხისწვერებზე ვიწევი. აქედან ხალხით სავსე ნაპირი კიდევ უფრო საშიში ჩანს. გემის დიდ, თეთრ ტანს ჭიანჭველებით შესეული ადამიანები ყვირიან, ერთმანეთს ეძახიან, ერთმანეთზე აბიჯებენ და გემზე ამოსვლას ცდილობენ. დედ-მამას ვერც გემბანზე ვხედავთ, ვერც კიბეზე მუჯლუგუნებით ამომსვლელთა შორის. ბოლოს, როგორც იქნა დედის ღია მწვანე ფერის კაბას ვლანდავ. ქვემოთ, ნაპირზე დგას, ხალხის ტალღის გარღვევას და ნაბიჯის წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოდგას ცდილობს, მაგრამ ამაოდ.

- დედააა! - ვკივით ბოლო ხმაზე. მამაა! - ვიძახით სიმწრისგან გონდაკარგულები. ჩვენი არ ესმით და ვერც გვხედავენ. ჩვენი ხმა ნიავს და სხვა ათას ხმას მიაქვს. საერთო აურზაურში ჩაკარგულებს ყურადღებასაც არავინ გვაქცევს. ნინო მწარედ ტირის. გემზე ავედით, მაგრამ მარტო ვართ. მშობლები ქვემოთ დარჩნენ და ვერც ვერასდროს ამოვლენ. მათ გარეშე გამგზავრება მოგვიწევს, მაგრამ სად? ვისთან? გემის გასვლის მაუწყებელი საყვირი ისმის. ჭიანჭველა ადამიანების ბრბო კიდევ უფრო გამეტებით ესევა გემს, კიდევ უფრო იგლისება ერთმანეთში, კიდევ უფრო დაუნდობელი და სასტიკი ხდება.

- დედასთან მინდა! ამოუშვან, უთხარი! - წივის ნინო.

- არ ამოუშვებენ. ვერ ამოვლენ. ჩვენ უნდა ჩავიდეთ! - დას ხელს ვკიდებ და ახლა საპირისპირო მიმართულებით ვიწყებთ ხემსის ყუნწში გაძვრომას. ეს კიდევ უფრო ძნელია, რადგან ხალხის ნაკადი საწინააღმდეგო მიმართულებით მოდის და ხამდვილ ნალეკვას, გადაჯეგვას გვიქადის. ეს გადარჩენისთვის მებრძოლი დიდი და ძლიერი დინებაა, რომელსაც ახლა სიკვდილის სანაპიროზე დარჩენილი მშობლებისკენ მცურავი ორი ლიფსიტა უნდა დაუპირისპირდეს. გემი ნაპირის დატოვების მანიშნებელ საყვირს გაჰკივის, ნინო - დედის სახელს. მგონია, რომ უკვე აღარ ვარსებობთ, რადგან ადამიანები ვერ გვამჩნევენ, ფეხს გვაბიჯებენ, ზედ გვივლიან. თანდათან თვალს მიბნელდება. გემი კი ცოტაც და ნაპირს დატოვებს. ცოტაც და კიბეს აკეცავენ. ზედ უკვე ბოლო მგზავრებია ჩამოკიდებული ყურძნის მტევანს შერჩენილი მარცვლებივით. ველარც ტკივილს ვგრძნობ, ველარც წყენას, მხოლოდ ნინოს პატარა გაოფლილ ხელს ხელისგულში. მერე მასაც ვკარგავ... ჰაერი აღარ მყოფნის და თვალები ვხუჭავ. ჩამონოლილ ბინდში ჯერ დედის ღია მწვანე ფერის კაბა კრთება, ბოლოს კი სრული სიბნელე ისადგურებს. ვიდრე გონს საბოლოოდ დავკარგავ, სადღაც შორიდან კაცის ხმა ჩამესმის: აქ ბავშვია! რას აკეთებთ, ხალხნო?! არ გადაუაროთ!

## კადრი 3

### *აეროპორტი*

ის კაცი ჩვენი მშველელია. ის, ვინც ჩვენზე შემდგარი, დაბმავებული ბრბოსგან გამოგვიხსნა და გემიდან საკუთარი ხელით ჩამოგვიყვანა. ჩვენს გამო თვითონაც ნაპირზე დარჩა. თვალს რომ ვახელ, მამის შეშლილ სახეს ვხედავ. სახეზე წყალს მასხამს და ყურებს მიზელს. ღრმად ვსუნთქავ და მამას ვუყურებ. პირველად ვხედავ მის თვალზე ცრემლს და ეს იმდენად უჩვეულო რამაა, ვიღაცის ფეხებისგან დაბეგვილ პატარა ხელს გაჭირვებით ვწევ და მამას სახეზე ვახებ. მამა მოცახცახე მხრებში რგავს თავს და ქვითინებს. მამა ტირის! ჩამდვილად ტირის და ამას ვერ მალავს. ეს კი იმაზე უფრო დიდი საშინელებაა, ვიდრე უჩვენოდ წასული გემი, მიტოვებული სახლი, დახოცილი ახლობლები, სიკვდილის შიში, მთელი ეს სასტიკი და უაზრო ომი...

მაგრამ ჩვენ ისევ ერთად ვართ და ეს მთავარია. დედა მზეზე შემთბარი წყლით გვბანს ჭრილობებს. მამა მანქანაში გვსვამს. ხმას არ იღებენ. დამნაშავეებივით თავჩაქინდრულები უსიტყვოდ გვიხდიან ბოდიშს - როგორ მოხდა, რომ მარტო ნასვლის უფლება მოგვეცეს, როგორ მოხდა, რომ უკან ვერ გამოგვყვნენ, სხვებივით არ გადაჯეგეს სხვები და ამგვარად, მათგან მიტოვებულები და განწირულები აღმოვჩნდით.

გზები გადაკეტილია, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს ქალაქიდან გაღწევის იმედი. ამჯერად აეროპორტისკენ მივდივართ. ამ გზასაც უამრავი ადამიანი ადგას. თვითმფრინავით აქამდე არ მიმგზავრია და ამიტომ არც საკონტროლო პუნქტის არარსებობა მიკვირს, არც ასაფრენ ბილიკზე გაშლილი და თვითმფრინავზე გარშემორტყმული ხალხის ნაკადი. მას შემდეგ, არ არსებობს ჩემი მრავალრიცხოვანი ფრენების დროს არცერთი წამი, ის დღე რომ არ გამახსენდეს და ყოველთვის, როდესაც თვითმფრინავის ბორტს მივუახლოვდები, თვალწინ ის სურათი არ დამიდგეს - ხალხით სავსე ასაფრენი ბილიკი, ბორტზე დაკიდებული ქალები და ბავშვები, ფეხზე მდგომი მგზავრებით გატენილი სალონი, ადამიანების სახეები ილუმინატორების ფანჯრებში, მაშინ განსაკუთრებით იღბლიანები და ბედნიერები რომ მეჩვენებოდნენ... უკვე გაუქმებულ აეროპორტში სადისპეტჩეროსთან შეუთანხმებელი და თვითნებურად შესრულებული უკანასკნელი რეისია, ბოლო თვითმფრინავი, რომელიც ბაბუშერას აეროპორტიდან აფრინდება და ცეცხლმოკიდებული ქალაქიდან დევნილების კიდევ ერთ ნაკადს სამშვიდობოს გაიყვანს.

აქაც აუტსაიდერები ვართ. ამჯერად თვითმფრინავში ასვლას არც ვცდილობთ, არავითარი აზრი არ აქვს. მორჩილად ვიხევთ უკან, ისევე როგორც ბევრი სხვა, ჩვენსავით მიწაზე დარჩენილი ადამიანი და ხელს ვუქნევთ ილუმინატორის ფანჯრებიდან მომზირალ სახეებს, რომლებიც ასევე მონდომებით გვიქნევენ ხელს. თვითმფრინავიც ღმუის, გრიალებს და გუგუნებს. მისგან მონაბერი ძლიერი ქარი თმას და ტანსაცმელს გვიფრიალებს. „მოშორდით! უკან წადით!" - ყვირის ვიღაც. ალბათ გაუქმებული აეროპორტის თანამშრომელი. მაგრამ ჩვენ ისევ ისე უძრავად ვდგავართ. ცაში აფრენილ ჩვენს უკანასკნელ და საერთო იმედს ვაცილებთ. ალბათ არასდროს მიგრძვნია ადამიანებთან ისეთი მჭიდრო ერთობა, როგორიც მაშინ, ექვსი წლის ასაკში, აეროდრომზე შეკრებილი, ათასამდე შეუმდგარი მგზავრის გვერდით. უჩვეულოდ გულაჩუყებულმა აღარ ვიცი ვის და რას ვუყურო - ახლობლებად ქცეულ, ცაში მოცქირალ სევდიან სახეებს თუ თვითმფრინავს, რომელიც ჩიტივით ლამაზად კრავს კამარას და ზემოთ და ზემოთ, უკვე ზღვის თავზე მიფრინავს.

სწორედ ამ დროს ვხედავ ზღვიდან წამოსულ მოელვარე სხივს, რომელიც მზის მკვეთრ ნათებას ჰგავს და ვიღაცის სისხლის გამყინავი ღრიალიც მესმის: „ესროლეს! ესროლეს!!!" თვითმფრინავის ცალი ფრთა შავ კვამლში ეხვევა და უზარმაზარი რკინის ჩიტი გვერდზე იხრება, წონასწორობას კარგავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანების სასოწარკვეთილი ყვირილისგან თითქოს მინა იძვრის და იმ მტკივნეული ხმის დასახშობად ყურებზე ხელს ვიფარებ. მათ თვალწინ ის თვითმფრინავი იღუპება, რომელშიც ცოტა ხნის წინ საკუთარი ცოლ-შვილი, დედ-მამა, ახლობლები ჩასვეს... ბედისწერა თავის ყველაზე ულმობელ თამაშს გვეთამაშება, ყველაზე მუხთალსა და საზარელს. დღემდე ვერ ვიგებ რა კანონები აქვს ომს და რატომ იკვებება მისი ბნელი და გაუმაძღარი სხეული უმწეო და უდანაშაულო ადამიანების სისხლით. რა ჯოჯოხეთური სიძულვილის მანქანა ქმნის ომის მონსტრს, რომელიც გაზის კამერაში ხუთავს ათი ათასობით ბავშვსა და ქალს; განსაკუთრებული სიამოვნებითა და სასტიკი წამებით ხდის სულს მათ, ვისაც არასდროს სჭერია ხელში იარაღი; ატომურ ბომბს ესვრის მშვიდობიან ქალაქებს...

ის სითბური რაკეტაც იმავე ომის მანქანისგანაა ნასროლი. კადრი, როდესაც თვითმფრინავმა აალება და ქვემოთ ვარდნა დაიწყო, საომარ ფილმებში ნანახ „ტრიუკს" ჰგავს. ვერ ვიჯერებ, რომ თვითმფრინავი იღუპება, რომ ის ზღვაზე რბილად არ დაჯდება და ის ადამიანებიც, რამდენიმე წუთის წინ ხელს რომ გვიქნევდნენ, იქიდან სალსალამათები არ გადმოვლენ. მაგრამ თვითმფრინავი ზღვაში ვარდება და მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ შორსაა, ამდენი სულის დაღუპვის ხმა ჩვენამდეც აღწევს, სიკვდილის უზარმაზარი ტალღა გვირტყამს და თვითმფრინავსაც თვალისდახამხამებაში ყლაპავს ზღვა. ცოტა ხნის შემდეგ კი წყლის ზედაპირზე დამსხვრეული თვითმფრინავისა და დასახიჩრებული ადამიანების სხეულის ნაწილები ამოდის.

## კადრი 4

### *მანქანაში*

ბევრი საზარელი სურათი და სასოწარკვეთილი ადამიანი მინახავს. ის მამები, დაღუპული თვითმფრინავის შემხედვარე მუხლებზე დაცემულები თავს მიწას რომ ურტყამდნენ, ის შეშლილი დედები, უსულო შვილები რომ ეწვინათ მუხლებზე. ყველაზე გაუსაძლისი და მტკივნეული სურათები, რომელზე თვალის გასწორებაც ბავშვობიდან ესინავლე. მაშინ ამასთან დასაპირისპირებლად ჩვენს, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ბავშვურ სამყაროში არაფერი გვქონდა. საერთოდ არაფერი. ამიტომ მგონია, რომ ნინოს ავადმყოფობა სრულიად კანონზომიერად აღმოცენდა და გამწვავდა. ნინომ უბრალოდ უარი თქვა ამის ცქერაზე, თვალის გასწორებას მისი დახუჭვა და ძილი არჩია, თავი დედის კალთაში ჩადო და ავად გახდა.

ნინო ავადაა, ქალაქები და სოფლები იბომბება, აფხაზეთიდან გასავლელი ყველა გზა ჩაკეტილია, მათ შორის, ზუგდიდიც და ერთადერთი - ჭუბერზე გადამავალი ვიწრო ბილიკიღა რჩება. თუ აქამდე ვერ გამეგო რატომ ხოცავდნენ აფხაზები და ქართველები ერთმანეთს ან რატომ გვესროდნენ რუსები გემებიდან სითბურ რაკეტებს და აფეთქებდნენ თვითმფრინავში მსხდომ დევნილებს, ახლა კიდევ უფრო დიდი თავსატეხი გამიჩნდა - ვერაფრით გამიგია რატომ ჩაუკეტავს ქართველებისთვის გზა ისევ ქართველებს. წლები რომ გავიდა და ამ ომზე ყველა შესაძლო ინფორმაცია მივიღე, მაინც ვერ გავიგე რა დაპირისპირების, რის ფასად და რატომ გაგვწირეს ასე. ალბათ „ყველა ყველას წინააღმდეგ" გაჩაღებული ომის მთელი სიმართლეც ესაა - მიზეზებში ჩაწვდომის შეუძლებლობა.

ყველაზე რთული ნინოსთვის საჭირო წამლების მოპოვებაა. სახლიდან წამოღებული ასთმისა თუ სიცხის საწინააღმდეგო აბებს ეფექტი დაუკარგავს. დედა ამბობს, რომ რაღაც ახალი და უფრო ძლიერია საჭირო. თუ რა, ეს ექიმმა უნდა თქვას. ამიტომ ბავშვთა პოლიკლინიკის ძებნას პირველივე ქალაქში - ოჩამჩირეში ვიწყებთ. ყველგან დენთის სუნი დგას და სახლებს ფეხი აუდგამთ. სადგურის გვერდით კი დახოცილი ადამიანების გვამები აწყვია. ერთმანეთის თანმიმდევრობით. მატარებლის ვაგონებივით მწყობრად.

ამდენი გარდაცვლილი ერთად არასდროს მინახავს. თავს მანქანის ფანჯრიდან ვყოფ. მინდა კარგად დავინახო. მაგრამ დედა მიყვირის. მათკენ გახედვას მიკრძალავს. მეუბნება, რომ ეს მკვდარი კი არა, მძინარე ხალხია, მუშამბა კი იმიტომ ახურავთ, რომ დაღლილებს ქუჩაში ჩაეძინათ და ასე არ შესცივდებათ. მათზე მიშტერება კი არ შეიძლება. უხერხულია. მერე ვიღაცას ბავშვთა პოლიკლინის მისამართს ეკითხება. პოლიკლინა ორიოდ კილომეტრშია და მუშაობს, მაგრამ ექიმი არ გვიღებს, ნინოს ნახვაზე უარს ამბობს, რადგან ჩვენ მტრები ვართ.

პოლიკლინიკიდან გამოსული დედა ერთიანად კანკალებს,თუმცა მანქანაში მომლოდინე მამას მაინც ძალიან მშვიდი ხმით ეუბნება, - „ექიმი არ იყო. სხვაგან წავიდეთ." მამა, რა თქმა უნდა, ყველაფერს ხვდება. მას ესმის ომის. ეგ კი არა, ისიც უკვირს, რაღაც მანქანების წყალობით ისევ რომ ვახერხებთ უსაფრთხოდ გადაადგილებას. სიკვდილი კვალდაკვალ მოგვდევს და თუკი ჩვენს სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება, თუკი ვინმე იარაღს მოგვიშვერს, მანქანის საბარგულში მამასაც აქვს იარაღი და ისიც აუცილებლად ისვრის.

ეს დედამაც იცის, მაგრამ სიმართლეზე თვალის არიდება და მისი შელამაზება დედის მთავარი ომია. რეალობის წინააღმდეგ გამართული მისი პირადი ომი. დედა ვერაფრით იჯერებს, გუშინდელი ნათესავები, მეგობრები და მეზობლები ასე უცებ, ასე უაზროდ მტრებად როგორ იქცნენ. ჩემი აფხაზი დედის ძარღვებში ახლა მისი ორი - ქართული და აფხაზური სიყვარული იბრძვის და ისიც ორივე ცეცხლის ხაზზე დგას, ორივეს მხარეს. და საჭირო დროს ხან ერთს, ხან მეორეს იცავს.

ექიმს კარგა ხნის შემდეგ ვპოულობთ. ტყვარჩელში. პედიატრის სახლს იოლად ვაგნებთ. სიმწვანეში ჩაძირული სახლის წინ მაგნოლიებითა და ჩაის ვარდებით სავსე ეზოა. სახლის უკან კი მანდარინის ჯერ ისევ მწვანე ნაყოფით დახუნძლული ხეები. იქაურობა ჩვენი სახლის ეზოს მაგონებს და ეს ჩემი, კიდევ ერთი ცხადად შემონახული სურათია. ერთ-ერთ ხეზე საქანელაც ჰკიდია და ოდნავ არხევს საღამოს თბილი ნიავი. კარს ასაკოვანი კაცი გვიღებს და სახლში გვიწვევს, სადაც ძველი ხის ავეჯის, ყვავილების და ციტრუსის სუნი დგას. სახლს დიდი ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თელი ფანჯრები აქვს, სამზარეულოში ჩაიდანი შიშინებს. საიდანაც ფუმფულა ქალი გამოდის და ლიმონიანი ჩაი და ორცხობილა გამოაქვს.

ექიმი ნინოს სინჯავს. ჩუმად, დაკვირვებით. ნელა ადებს ფონეიდოსკოპს გამხდარ ზურგზე. მე რბილ ტახტზე ვზივარ. ასეთი ზღაპრული სიმშვიდე იშვიათად მწვევია. საერთოდ, ყველაფერი, რაც დევნილობის რთულ გზაზე გამოვიარე - ცუდიც და კარგიც, განცდის ხარისხით ყველაზე მძაფრია და შთამბეჭდავი. მეძინება. იმ დღეების მანძილზე ყველაზე ღრმად და ტკბილად. იმდენად ღრმად, რომ ვერაფრით მაღვიძებენ და მანქანამდე დედას ხელში აყვანილი მივყავარ.

მანქანაში კი მალევე ვფხიზლდები და ვტირი. თითქოს სამოთხიდან გამომაგდეს. ყურადღებას არ მაქცევენ. დედა ნინოს ექიმის მიერ მიცემულ წამალს ასმევს, მამა საჭეს ატრიალებს და ექიმის სამზარეულოში გამომცხვარ ლვეზელს ჭამს. „გვთხოვდნენ, ლამის გასათევად დარჩითო. ორცხობილებს საგზლადაც მატანდნენ, მაგრამ არაფრით გამოვართვი, მომერიდა“, - ამბობს დედა, - „ჩემი არ შევჭამე და ის წამოვიღე,“ - საჭმლის საგზლად წამოღების შანსი რომ გაუშვა, თითქოს ამის გამოც ბოდიშობს. მაგრამ ძალიან ბედნიერია. ამჯერად სიმართლის შელამაზება არ სჭირდება. უხარია მისი აფხაზები რომ დაგვეხმარნენ, რომ ექიმმა ნინო გასინჯა და წამალი მოგვცა. უკვე ვიცი: სამყარო კონტრასტებისაა - ერთნი უმიზეზოდ გვხოცავენ, მეორენი საკუთარ უკანასკნელ ლუკმას გვაჭმევენ. ასეთი რამ შემდგომშიც არაერთხელ ვნახე: ბოროტების და სიკეთის დღეღამესავით მონაცვლეობა.

## კადრი 5

### *ყაჩაღები*

ნინოს წამალი რამდენიმე დღე შველის. მაგრამ მგზავრობას ცუდად იტანს. იცრიცება, სიცხე ისევ მაღლა უწევს და ახველებს. გზას ვაგრძელებთ. რთულად სავალი გზაა. ვიწრო, ოღროჩოღრო. ალბათ აქამდე არც არსებული და ჩვენს მიერ - დამარცხებული ჯარის ნარჩენებისა და დევნილების მიერ გაკვალული. ახალგაზრდა ქალს ვიმგზავრებთ. ჩვილი ბავშვით. ბავშვს ღრმად სძინავს და ცვილის თოჯინას ჰგავს. ქალი ათას მადლობას იხდის, მერე მასაც მკვდარივით ეძინება. მამა ჯერ კვალში მიყვება რომელიღაც ტალახიან ვილისს. მაგრამ მალე ბნელდება და ნისლი წვება. ისიც ტალახში აზელილ სამანქანო კვალიდან უხვევს და მანქანას ხეების ქვეშ აჩერებს. „სხვა გზა არ არის, - ოხრავს და დამნაშავესავით უყურებს ლოყებზე ალმურმოდებულ ნინოს, - გზის გაგრძელებას ვერ შევძლებთ. ღამე აქ გავათიოთ და როგორც კი ინათებს...“

მანქანაში უკეთ რომ მოვთავსდეთ, მამა თავის დაბამბულ ქურთუკს იღებს და მანქანიდან გადადის. სადღაც იქვე, ხეებთან წვება და დაღლილობისა და დარდისგან გათანგული ითიშება. ძილში სანახევროდ წასულს მესმის ნინოს ხველა, კვნესა და დედის ჩურჩული. დედა ბებიებისგან ნასწავლ ლოცვებს ჩურჩულებს. ხურვების, ჭლექისა და ავადმყოფობის საწინააღმდეგო შელოცვებს, მაგიურ სიტყვებს. საუკუნეებიდან წამოსულს და ჩვენამდე დედების მიერ ასე ჩურჩულით მოტანილს. მე ვიცი როგორი ძალა აქვს დედის ამ ლოცვებს, მისი გუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის სიღრმიდან წამოსულ სიყვარულის ენერგიას. რამდენჯერ გაუყუჩებია ჩვენთვის მის ტკბილ, ჯადოსნურ ხმას კბილისა და ყურის აუტანელი ტკივილი, ჩაუქრია სიცხე და დაუვიწყებია ყველა განსაცდელი.

„ელი ელობდა,
მელი მელობდა,
ზღვა ფოფინებდა.
ნითელ ხუცესსა ხარი გაება,
ზღვას ხვნიდა,
ქვიშას თესვიდა...
ვინ გაიგონა
ზღვა ხნული,
ქვიშა თესული.
ან ავადობა ნინოსი!
შენი ტკივილი
წამს იქით
დამწვარი
ზღვას გატნეული!"

ჩურჩულებს დედა და ნინოც იძინებს. მეც. გვძინავს ყველას, დედის გარდა. ის ისევ ისე ზის გაუნძრევლად, ნინოს შუბლზე ტუჩდადებული, მის სუნთქვაზე მიყურადებული, ჩვენს სიცოცხლეზე მოდარაჯე... იქამდე, ვიდრე მანქანის ფანჯარაზე ვიღაც თოფის ლულით არ გვიკაკუნებს. დედა თავს ნაღლა სწევს და მათ ხედავს. ოთხნი არიან. ორს ხაკისფერი სამხედრო „ბუშლატი" აცვია. ორს - ტყავის ქურთუკი. ოთხივეს წელზე ტყვია- წამლის მასრები აუსხამს, ქამრებში რევოლვერები გაუჩრიათ.

- ღამე მშვიდობისა, ლამაზო, - ამბობს ერთი და მანქანის კარი აღებს, - ბოდიში მომითხოვია, მაგრამ მანქანიდან უნდა გადმობრძანდეთ.

დედა ვერაფერს ხვდება, რადგან ამ დროს თვალს ვახელ და ვხედავ, როგორ უყურებს იარაღიანს და ტუჩზე თითს იდებს, „ბავშვი არ გამიღვიძოთო,"- სთხოვს.

- ვერ გაიგე ქალო, რა გითხარი? გადმოეთრიე მანქანიდან! - ახლა კი ღრიალებს წამის წინ ვითომ თავაზიანად მოლაპარაკე, დედას მკლავში ხელი ავლებს და მანქანიდან აგდებს. დედის კალთაში თავჩადებულ ნინოს ეღვიძება და ტირის. დას ხელი ვკიდებ და ვიდრე ჩვენც გადმოგვაგდებენ, სალონიდან ვხტებით. უცნაურია, მაგრამ დამგზავრებულ ქალს და ბავშვს ამ ღრიალ-ტირილშიც კი ისევ ისე მკვდრებივით სძინავთ. კაცები მათაც უხეშად ყრიან და უკვე მიწაზე გონმოსულ ქალს ბავშვის საბანს ფანჯრიდან ესვრიან. მერე მანქანის სათავსოებს ატრიალებენ. საჭმელს და მამას იარაღს პოულობენ.

- ვა, ნახე, რა ბრაუნინგი ჰქონია! - იარაღს ხელში ატრიალებს ერთი.

ჩვენ მათ წინ ვდგავართ და ვუყურებთ. ის პატარა ბავშვი დედის კისერს ჩაფრენილი ღნავის. სნრაფი ნაბიჯის ხმა მესმის და ვხვდები, რომ ჩვენკენ მამა მორბის. კიდევ უფრო მეშინია.

- რას აკეთებთ? ვინ ხართ? რა გინდათ? - ყვირის.

- მანქანა მიგვყავს, - პასუხობს მშვიდად ის, რომელიც ახლა მამას ადგილზე ზის.

- რატომ? - რაღაცნაირად გულუბრყვილოდ და საცოდავად კითხულობს მამა.

- იმიტომ რომ გვჭირდება , - ცინიკურად ეღიმება მეორეს და მამას იარაღს ტენის, - ეს მაგარი რამეა, ჯიგარო!

- რას აკეთებთ, ბიჭებო? ქართველები არ ხართ? უმწეო ქალებს და ბავშვებს ყრით მანქანიდან?

ყურსაც არ იბერტყავენ. ჩვენს ბარგს და ნივთებს ათვალიერებენ და რაც არ მოსწონთ, ძალლებივით ძირს გვიყრიან.

- ავადმყოფი ბავშვი მყავს, ფილტვების ანთებით. ვერ ჩავაღწევინებ ცოცხალს. ეს არ გააკეთოთ, გთხოვთ, - ხვეწნა-მუდარაზე გადადის მამა.

- ჩახვალ. ღმერთი შეგეწევა, - ამბობს რომელიღაც ღრეჭით და მამას მთელი დაგროვილი სიმწარე, ბოღმა და ტკივილი ერთად ასხამს, კარს აღებს და სიტყვების მთქმელს ყელში სწვდება.

- ეე, აბა ახლა სპაკოინად, ბიჭო! ერთი ამ ახვარს უყურე! - შუბლზე მისივე იარაღს ადებს გვერდითა, - გინდა ეს შენი ცოლ-შვილი შენს თვალწინ, სულ ერთმანეთის მიყოლებით დაგიხვრიტო? ცოცხლებს გიშვებთ, მადლობა გვითხარი. მადლობა თქვი-მეთქი,შე ნაბოზარო!

მამა ხელს უშვებს და კისერდანითლებულიც ნიხლი აზელს. ძირს დაგდებულს ჯერ იარაღს უმიზნებს, მაგრამ მერე გადაიფიქრებს და ზედ დგება. გამეტებით ურტყამს. წაქცეულს ზედ აფურთხებს. მანქანას ქოქავენ და მიდიან.

მართალია მამა ოცი წლის მერე გერმანიაში, ჰამბურგის გარეუბანში ნაქირავებ, ვიწრო, არეულ ბინაში გარდაიცვალა, მაგრამ სინამდვილეში ის სწორედ იმ ღამით მოკვდა. ამიტომ მაშინაც, ჩემი ბავშვური და უტყუარი ინტუიციით, ვიგრძენი და დღემდე არ მეპარება ეჭვი, რომ ჯობდა მისთვის მაშინ ესროლათ. იქ მოეკლათ, ტყეში, წართმეული მანქანის წინ, დამცირებული ცოლ-შვილის თვალწინ. იქამდე მოეკლათ, ვიდრე მამა საკუთარ თავს ჰგავდა, ვიდრე კაცი იყო, ვიდრე ასე არ გატეხდნენ და მის საცოდავ ნამსხვრევებს ფეხებთან არ დაგვიყრიდნენ, რომლის გამთელებასაც შემდეგ, ოცი წლის განმავლობაში, ამაოდ ცდილობდა უტეხი დედაჩემი.

## კადრი 6

### *მალვა*

სიმინდის ყანაში ვიმალებით. მე, დედა, ნინო. ნინო კვნესის. ძალიან შია და სლუკუნებს. მეც ძალიან მშია. თავბრუ მეხვევა შიმშილისგან, ისე. ნინოს ვყვები. ორივე ვლნავით, უღონოდ, მაგრამ დაჟინებით. საიდანღაც სროლის ხმა ისმის. შეშინებული დედა პირზე ხელს მაფარებს. ჩემი ტირილის ხმა უნდა ჩაახშოს. მეორე ხელით ნინოს უკრავს პირს. ხმა იგუდება, მაგრამ თვალებიდან ცრემლი ისევ ჩამომდის. ტუჩებზე დედის ხელისგულის გემოს ვგრძნობ. დედას მარილიანი ხელისგული ჰქონია. ვლოკავ. ვჩერდები. ცაზე სავსე მთვარე ანათებს. ვხედავ, როგორ ტეხს სიმინდის ტაროს დედა, ჯერ უხეშ მწვანე ფოთლებს აცლის, მერე ნედლ ნაყოფს. სიმინდის თეთრ მარცვლებს ხელისგულზე იყრის და გვაწვდის.

- მოხარშული მინდა, - ვტირი მე.

- იხარშება, - დამაჯერებლად მეუბნება დედა, -

იქამდე ეს შევჭამეთ, ვიდრე მოიხარშება.

სიმინდის მარცვლებს პირში ვიყრით. რძიანია, მლაშე და უგემური. ვცდილობ დავღეჭო. რაღაცას რომ ვღეჭავ, უკეთ ვარ. ნინო ცდილობს მომბაძოს. გაჭირვებით ვყლაპავთ უმ სიმინდს.

- მაკარონი მინდა, - ამბობს ნინო, - ყველით და კვერცხით. სანდუ* აიდას გაკეთებული.

- მაკარონიც იხარშება, - აიმედებს დედა.

დედა, რა თქმა უნდა, ტყუის. აქ მხოლოდ სიმინდია. ისიც უმი. ცეცხლის დანთების გვეშინია. დაინახავენ, მოვლენ, გვიპოვნიან და მოგვკლავენ. გულრიფშის ზემოთ ვართ. დიდედას სოფლისკენ წამოვედით. თავის შესაფარებლად. მაგრამ სოფლამდე ვერ მივაღწიეთ. სოფლის შესასვლელთან შეიარაღებული მებრძოლები დავინახეთ, სახლებში შედიოდნენ და ისროდნენ. ალბათ დიდედას სახლშიც უკვე იყვნენ და შეიძლება იქაც ყველა მოკლეს. ვიდრე დაგვინახავდნენ, ტყისკენ გავიქეცით. დავიმალეთ. მაგრამ სროლა არ შემწყდარა. სოფლებში ისევ ხოცავენ ქართველებს. გზებზეც ვხედავთ იარაღიანებს. მამამ თქვა, რომ უნდა წავიდეს და ნათესავები ნახოს. უნდა გვიშველოს. აქ უნდა დაველოდოთ. ტყეში დავიმალოთ. სულ რამდენიმე საათით დაგვტოვებს და მალე მოვა.

ასე თქვა, მალეო, მაგრამ არ ჩანს, უკვე მესამე დღეა მამა არ ჩანს. დღისით - ტყეს, ღამით - სიმინდის ყანებს ვაფარებთ თავს. ღამე ტურების და მგლების კივილი ისმის და ტყეში ღამის გათევის გვეშინია. თუმცა კარგად ვერ ვხვდებით, ცხოველთა სამყაროსი უფრო უნდა გვეშინოდეს თუ ადამიანების. სიმინდის ყანების იქით ხანძარში გახვეული სოფელი ჩანს. სახლები უზარმაზარი სანთლებივით იწვის.

ნათესების ბოლოს წყაროს ვპოულობთ. დედას ძალიან უხარია წყაროს დანახვა. „მადლობა, ღმერთო!"- ჩურჩულებს. ღამით დღის სამყოფ წყალსაც ვიმარაგებთ. მხოლოდ უმ სიმინდს და ველურ ყურძენს ვჭამთ. პირდაპირ მიწაზე გვძინავს. ნინო ახველებს და დედას ეშინია ნინოს ხველების ხმა არ გაიგონონ, არ გვიპოვნონ, არ გვესროლონ.

- ყველას კლავენ? - მეკითხება ღამით ჩემზე ჩახუტებული ნინო.

- მარტო ქართველებს, - ჩურჩულით ვპასუხობ მე.

- მამა რადგან ქართველია, მოკლავენ? - სადაცაა ღრიალს მორთავს.

- არა! - მტკიცე ხმით ვპასუხობ. ზუსტად ვიცი, რომ მამას მეტად ველარ მოკლავენ. მან თავისი სიკვდილი უკვე გამოიარა. დედა კი რაღაცნაირად დაჭკნა და დაპატარავდა. არა, განა ტირის, ცრემლებს არ გვანახებს. მაგრამ ზოგჯერ მართლა მგონია, რომ გაგიჟდა. წამდაუწუმ გულში გვიკრავს და შეშლილივით გვიმეორებს.

- ძალიან გშიათ? ცოტა კიდევ გაუძელით. იხარშება... მაკარონი იხარშება...

ეს ყველაფერი დღემდე სიზმარსა და ცხადს შორის ჰკიდია. მაგრამ ამავე დროს თითქმის ხელშესახებად ნამდვილია. ის ტყე, სიმინდის სიყვითლეშეპარული ყანები, ცოტა მოშორებით, სახლებისგან აბრიალებული უზარმაზარი კოცონები. ცეცხლი. ცივი წყაროს წყალი. უმი სიმინდი, [illegible] შავი სილუეტები, სროლისა და ქალების კივილის ხმა. ეს ღამეც, მთვარის შუქით ისე განათებული, რომ სიმინდის ყანაში დამალვა ძნელია. დედის მარილიანი ხელისგულის გემო. ვიღაცის ნაბიჯების ხმა...

„ჩუუ, ვიღაც მოდის", - ამბობს ხმის კანკალით დედა. სიმინდის ყანას ფანრის შუქი ანათებს. ნაბიჯების ხმა უფრო და უფრო ახლოს ისმის. დედა ხელებს გვხვევს და სამივენი მიწაზე ვიცუცქებით, ვიხრებით, ვპატარავდებით. შესაძლებელი რომ იყოს, საერთოდ გავქრებოდით. მაგრამ აქ ვართ, ვარსებობთ! ნაბიჯის ხმა ახლოვდება. დედის გახშირებული სუნთქვა კეფას მიცხელებს. პატარა გული ძლიერად მიცემს. ძალიან მეშინია, მაგრამ თავს მაინც ვწევ. მინდა დავინახო როგორია ის, ვინც გვესვრის. ორნი არიან. ორი მაღალი, ბრგე სილუეტია. მგონია, რომ უზარმაზარები არიან. როგორც ბოროტი კაციაჭამია დევები. მთვარის შუქი კიდევ უფრო აგრძელებს მათ ლანდებს. მხარზე იარაღი აქვთ გადაკიდებული, სახეები - ნვერში, თვალები - ქუდში შეუმალავთ. ჩვენს წინ დგანან. გვიყურებენ. თვალებს ვხუჭავ.

- მშიბზია*, - გვესმის თავს ზემოთ, - ნუ გეშინიათ, ანა. ასტამური ვარ.

## კადრი 7

### *რატომ?*

დედის ბიძაშვილები ყოფილან. აფხაზი ნათესავებისა და მშველელის ძებნაში ზემო სოფლისკენ მიმავალ მამას გზაზევე გადაეყარნენ. კიდევ კარგი ჩვენ შევხვდითო, ამბობენ. ჩვენ რომ არა, მოკლავდნენო. ასტამურს და მის ძმებსაც იარაღი აქვთ ასხმული, ისინიც იბრძვიან.

ნაშიმშილები, დაოსებულები, გონდაკარგულები ზემო სოფელში თავიანთ სახლში მივყავართ. მამაც იქ გვხვდება. მე ისევ თავბრუ მესხმის და მამის სახეს ვერ აღვიქვამ, მაგრამ რომ გვეხვევა, აღარ გვიშვებს. და თან ისე მაგრად მიჭერს ხელებს, ზურგი და მხრები მტკივა.

რამდენიმე დღე მათთან ვართ. გონს მოვდივართ. ვსულიერდებით. ნინოც თითქოს უკეთაა. დიდხანს ვერ დაგვმალავენ. მათთვისაც სახიფათოა ჩვენი იქ ყოფნა. კიდევ ერთი გაუხუნარი კადრი - ჩვენი ბოლო საღამოა აფხაზურ ოჯახში, დედის ნათესავებში. ღარიბული, მაგრამ გემრიელი ვახშამი. ცოტა ღვინოც და დროდადრო სადღეგრძელოებიც. ნათესაობის, მშვიდობის, ჩვენი უკან დაბრუნების... ტკბილად ლაპარაკობენ და მას შემდეგ აღარც გამიგონია ენა, რომელიც ასე მიყვარს.

- ჰაიგამზა* - მამას ჭიქას უჭახუნებს ასტამური.

- ახლა ეს სიგიჟე დაწყნარდეს, ომი დამთავრდეს და მერე აუცილებლად უკან დაბრუნდებით, - ამბობს ასტამურის ძმა ბატალი.

- ვიდრე ჩამოხვალთ, სოხუმში სახლს ჩვენ მიგიხედავთ. ხომ მალე ჩამოხვალ, საყვარელო? - შუბლზე მკოცნის ბიცოლა.

უკვე აღარ მჯერა, რომ უკან დაბრუნებას შევძლებ. მე უკვე ვიცი, როგორი სასტიკია რეალობა. მცვლის და მიმორჩილებს. სიკვდილის შიშმა, შიმ-

ელექტრონული ბიბლიოთეკა



შილმა, ტკივილმა და გამოვლილმა განსაცდელმა ზრდასრულ ადამიანად მაქცია და გულს მირევს ეს ენამოჩლექილი ბავშვური ზღაპრები.

- სოხუმის სახლი ალბათ უკვე დაწვეს, - ვამბობ და ამ სიტყვებით თითქოს იმედის, ოცნების და ილუზიის ყველა აჩრდილს ვაქრობ, ჩემს მიწაზე უკან დაბრუნების ჩემსავე გზებს ვკეტავ, შერიგების შეუძლებლობას ვაღიარებ.

- არა, რას ამბობ? არ დაწვავდნენ! - ჩემი სიტყვების უარყოფას ცდილობს შეშფოთებული ბიცოლა.

- დაწვავდნენ. ყველაფერს წვავენ, ყველას კლავენ. თქვენც ხომ თოფები გაქვთ და თქვენც კლავთ, - ვჯიუტდები მე. მერე ასტამურს თვალებში ვუყურებ და ვეკითხები:

- იზბან? *

მძიმე სიჩუმე წვება. ახლა მე ვარ დიდი და ის მთასავით კაცი ჩემს წინ პატარა ბავშვივით თავჩახრილი დგას. ქართულად მპასუხობს:

- იმიტომ რომ ომია...

მერე გაბზარული ხმით ამატებს:

- ქართველებიც ასე მოიქცეოდნენ. დამარცხებულის მოშორება გამარჯვებულის წესია.

იზიდა ტირის. ბატალი გარეთ გადის. უჭირთ ცრემლის შეკავება. ჩემს მრავალრიცხოვან კითხვაზე პასუხის გამცემი არ მყავს და მამისკენ ვბრუნდები:

- მართლა ასეა? შენც ისროდი?

პასუხი არც მამას აქვს. არავინ იცის რას იზამდა მამა. მე ჯერ პატარა ვარ და რა თქმა უნდა, ვერ მივხვდები რას ნიშნავს იქცე გარემოების ტყვედ. იქცე ომის მძევლად. ამას ალბათ ვერც დამარცხებული მამა მიხვდება...

ყველაფერი უსაშველოდ ძნელია და დამთრგუნველი, შუაღამისას მეღვიძება და ყურს ჩემზე მოკრული ტყუპისცალი დის არათანაბარ სუნთქვას ვუგდებ, ვუყურებ, როგორ უფენია ერთადერთ და მთლიანად მისაკუთრებულ ბალიშზე ხაზი თმა, სუსტი პატარა თითები, როგორ გახვეულა ყვავილებით დაჩითულ სალამურში, რომელსაც ჯერ კიდევ ასდის ჩვენი სახლის, ზღვისა და ბედნიერი ბავშვობის სუნი... ჯერ კიდევ არ ვიცი, რომ ეს ჩვენი ერთობლივი და ოჯახური სიმშვიდის ნარჩენებში გატარებული ბოლო ღამეა. რომ აქ სამუდამოდ სრულდება ჩვენი ბავშვობა და წინ დიდების სამყაროს კიდევ უფრო რთული, კიდევ უფრო სასტიკი გზა გველის.

ძილი აღარ მეკარება. ვდგები და მეც, ისეთივე ყვავილებიან სალამურში გამოწყობილი გარეთ მივბანცალებ. ცაზე ვარსკვლავები ანთია. ქვემოთ ხეობა ჩანს. ხეობა ნისლითაა სავსე. ეზოში დედ-მამა დგანან. ერთმანეთს მიყრდნობილები. გარინდულები. სიჩუმეში ჩანთქმულები. იქით იყურებიან, სადაც, ჩემი აზრით, სოხუმია. მდუმარედ დგანან ერთმანეთის გვერდიგვერდ, ჩვენი ცხოვრების ყველაზე რთული და საშიში უღელტეხილის დასაწყისში და ძალებს იკრებენ. ცუდ ზღაპარში მოხვედრილ გზააბნეულ გმირებს ჰგვანან, სადაც ბოროტი ჯადოქარი მოდის და ამბობს: „უკან დასაბრუნებელი გზა აღარაა! ყველა გზა დაკეტილია. მარცხნივ წახვალთ, მოკვდებით, მარჯვნივ წახვალთ, მოკვდებით, წინ წახვალთ, უღელტეხილს შეხვდებით". რაც იგივეს ნიშნავს, მაგრამ გადარჩენის მცირედი შანსით. და მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით სიტყვა „უღელტეხილმა" უამრავი მნიშვნელობა შეიძინა, მის სინონიმად ყოველთვის დარჩა „სიკვდილი"...

---

* სან - დედა (აფხაზურად)
* სანდუ - შებია (აფხაზურად)
* მშიბზია - გამარჯობა (აფხაზურად)
* ჰაიგამზა - ჩვენ განუყოფელნი ვართ (აფხაზურად)
* იზბან - რატომ (აფხაზურად)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თემურ ჩხეტიანი

## მთელი 180 გრადუსით

*ჩემს ძმას - ზურაბს*

ღამის გზა, ცივი იანვარი...
მანქანის საჭე და მელოდია მანქანის რადიოდან -
თითქოს არსაიდან,
თითქოს არსაით -
მარტოს გზა, მარტოს სითბო, მარტოს მუსიკა.
და უცებ
გზაზე გადარბენილი რაღაც -
ძაღლი? კატა?..
და ინსტინქტურად - ტერფი მუხრუჭზე -
მკვეთრად და დაუფიქრებლად.
და მანქანა ეგრევე ცურდება მოყინულზე,
ერთბაშად ტრიალდება მთელი 180 გრადუსით
და უკუსვლით მიექანება გზიდან -
ხრამისკენ და გაურკვევლობისაკენ.
სულ ორიოდე წამში ხდება ეს
და რა ხდება, ცხადია, ვერ ხვდები.
ბოლოს რაღაც ძლიერი დარტყმა და მანქანა ჩერდება.
შენც ჩერდები, სულს ითქვამ და უკვე ხედავ:
გზის მეორე მხარეს ჩერდება მანქანა,
გადმოდის ვიღაც და შენკენ გამორბის,
და ამასობაში შენც აღებ კარს.
ის მოდის, გიყურებს, გეკითხება:
- როგორ ხარ? ხომ არაფერი გეტკინა?..
თავს გააქნევ,
გადმოდიხარ და ერთმანეთს გადაეხვევით,
მერე რა, თუ უცხო ხარ და შენთვისაც უცხოა !..
მიმოიხედავთ...
თითქოს ღმერთის დაკოჟრილი ხელიაო,
მანქანა გზისპირის ხეს შეუჩერებია
და ამის იქით აღარ გაუშვია.
მერე შენ და ის უცნობი სიგარეტს უკიდებთ -
შენსას თუ მისას, რა მნიშვნელობა აქვს?-
ეწევით სიგარეტს და გზისპირის სინათლეზე
ჩანს თქვენი სუნთქვა:
ორთქლად თუ კვამლად,
ორთქლად თუ კვამლად...



## მათიას უნგერს

ეს 20-22 წლის წინანდელი ამბავია,
გასული საუკუნის 90-იანი წლების ამბავი;
ამბავი იმ დროისა,
როცა ჩვენ ყველანაირად ღრმად ვიყავით ჩაფლულნი ცუდ ამბებში
და არც ვიცოდით,
იქიდან თავი რანაირად უნდა დაგვეღწია.
ყველგან შიში,
ყველგან უნდობლობა,
გაჭირვება -
სინათლე არ იყო, იმედიც არ ჩანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ შაბათ დილას გვესტუმრნენ ისინი,
სამნი:
ანდრეასი, პეტერი, იზო -
ორი გერმანელი ახალგაზრდა
(ერთი - მწითური, მეორე - ჩვენფერი),
მესამე კი ქართველი, ნაცნობი ქალიშვილი,
ამჯერად უცხოელთა გიდად თუ თანმხლებლად:



- დავით გარეჯისკენ გვაქვს გეზი,
აქეთკენ მოვხვდით
და თქვენთანაც შემოვიარეთო.
სტუმარი ყოველთვის გვიყვარდა და გვიხაროდა -
მივილეთ და გადავეხვიეთ.
იმ დროს სახლში ჩვენც სამნი ვიყავით.
დედა და მამა დაფაცურდნენ,
მე კი მეორე სართულზე ავიპატიჟე სტუმრები მცირე ხნით,
ვიდრე ჩემი მოხუცები სუფრის თადარიგს დაიჭერდნენ.
ჩემს ოთახში ვისხედით და ვლაპარაკობდით:
მე - ქართულად, ისინი - ინგლისურად.
იზო გვითარგმნიდა მეც და იმათაც,
და ჩემს ხუმრობაზე გულიანად იცინოდა,
ის ბიჭები კი მორიდებით ილიმებოდნენ.
მე კი იმაზე გამეცინა, როცა ახსენეს,
საქართველოში ჭაობებს ვიკვლევთ -
საინტერესო ჭაობებია თქვენს ქვეყანაშიო.
ვუთხარი, რასაც ვსაქმიანობდი.
დაინტერესდნენ - წაგვაკითხეო,
მაგრამ როგორ წავაკითხებდი? -
ჩემი ლექსები მხოლოდ ქართულად არსებობდნენ...
სუფრაზე ბევრი არც-რა გვქონდა:
ჩახოხბილი, ყველი, პური...
რაც მთავარია,
ოჯახის ღვინო და... გავხალისდით.
არ მოვერიდე და, ვამბობდი სადღეგრძელოებს -
ამას თუ იმას,
და ყველაფერს ისევ იზო უთარგმნიდა გერმანელ სტუმრებს.
„რაც მტრობას დაუქცევია..."
არც ამის თქმა დამვიწყებია,
ბოლოს,
დიდი გერმანიის
და პატარა საქართველოს სადღეგრძელოც ერთად ავწიეთ
და სუფრა ასე დავასრულეთ -
ეჩქარებოდათ.
ღვინით სავსე სამლიტრიანი მოვათავსეთ
ერთ-ერთის რიუკზაკში,
მათგან ერთმა „ჩესტერფილდის" ნაკლული კოლოფი დამიტოვა,
რომელსაც მერე კარგა ხანს ვინახავდი.
გადავეხვიეთ ერთმანეთს სტუმარ-მასპინძელი
და ასე დავშორდით.
...
ჩემო მათიას,
მიმიხვდები, რატომ გავიხსენე
და რატომ გიამბე.
იმ ბიჭებისა უკვე აღარაფერი ვიცი,
ის იზოლდაც, რა ხანია, აღარ მინახავს -
ტელეფონები მაშინ არ გვქონდა,
მათი მისამართებიც, უბრალოდ, მიმეკარგა.
მაგრამ ის დღე მახსოვს,
მახსოვს თანამესუფრეთა სახეები...
და ის ბიჭები ახლა რომ მსტუმრებოდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვიცი, სუფრას როგორ გავაწყობდი
(რა ხანია, აღარც დედა მყავს და აღარც მამა),
მაგრამ ჩემს ლექსებს
უკვე მათაც წავაკითხებდი
და ქართული პოეზიის წიგნსაც ვაჩუქებდი
მათსავე ენაზე -
გერმანულ ენაზე
თქვენს მიერ გამოცემულს.

## Full House *

მიტოვებული ქალები
წერენ ლექსებს და ხატავენ ნატურმორტებს;

მარტო დარჩენილი კაცები
სვამენ ლუდს და თამაშობენ შემორჩენილი გროშებით;

მარტო ბავშვები კი
წერენ საშინაო დავალებას,
ხატავენ სუპერმენებს,
სვამენ ჩაის ან კოკა-კოლას.
თამაშობენ კომპიუტერულ თამაშებს
და ასე ზრდიან თავიანთ პატარა აგრესიას
ხვალინდელ დღისთვის.

სახლი კი დგას,
ჯერ კიდევ დგას:
საძირკველით, კედლებით, ჭერით...

* სრული სახლი (პოკერის ტერმინი)

## ჟირაფები ღამეში

ჟირაფები ღამეში,
სადღაც ტანზანიაში,
მოაბიჯებდნენ როგორც ჩამქრალი შუქურები
და ჩემი სიზმრის გავლით
უჩინარდებოდნენ -
დეკემბრის მზიან და სუსხიან დილას.



## შედეგი

მარტო და მოწყენილი
გადახედავ საკუთარ ლექსებს,
გაუღიმებ
და თვალსაც ჩაუკრავ:
- რაღაც მაინც გამოგვივიდა,
ვიღაცამ მაინც დაგვიჯერა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯუანშერ ტიკარაძე

## კედელი

ქუჩას რამოდენიმე ქუჩით რომ გამოვცდი,
მაშინღა წარმომიდგა თვალწინ
(ისე მკვეთრად,
თითქოს კრატერიდან ამოხეთქილი ნიაღვარი
დამაყრუებელი მდუმარებით შეაწყდა უხილავ ბარიერს
და ატომებად დაიშალაო)
ქორონიკონის ყანგიანი ჩრჩილებით დაჭმული ქვაფენილი
და არყოფნისკენ გადაქანებული კედელი,
ზედ მიხატული სამი ფერადი ფანჯრით.
ძველთაძველი კედელი იყო,
ადამიანის დაუოკებელი უტიფრობიდან ამოზიდული.
Ⴕუჩაზე ძველიც უნდა ყოფილიყო,
როგორც ახლა ვატყობდი,
Ⴕალაქზეც ძველი.
შევტრიალდი,
ახლიდან კარგად შევათვალიერებ-მეთქი:
ოციოდე ნაბიჯი გავიარე,
ხელმარცხნივ, Ⴋოწელის ქუჩაზე ჩავუხვიე,
Ⴋუხაძის გამზირი განივად გადავჭერი,
Ⴖელისხიდზე გადავედი,
Ⴋადათოვის Ⴀალმართი ჩავიარე,
Ⴋატაბლიდან Ⴑამზეოს II შესახვევამდე პატარ-პატარა შუკებით ვიარე
და Ⴜლებისბალიდან Ⴕუჩაზე გავედი.
სამჯერ თუ ოთხჯერ
(ზუსტად აღარ მახსოვს)
ავიარე და უკანვე ჩამოვიარე Ⴕუჩა —
პირველი სახლიდან ბოლო სახლამდე —
მაგრამ კედელი ვეღარსად ვეღარ დავინახე,
აღარც მარჯვენა მხარეს აღარ იყო
და აღარც მარცხენა მხარეს.
ძალაგამოცლილი ჩამოვჯექი პირდაპირ ტროტუარზე
(წამით ვიგრძენი,
როგორ მიმალურსმნა Ⴀდამის მიწას ცამ,
რომელსაც ვეღარასდროს შევწვდებოდი),
კეფა მოვიქექე და ჩემს თავს ვუთხარი,
მოდი,
დროში უკნიდან დავუვლი-მეთქი.
ახეც მოვიქეცი.
მარჯვნივ,
Ⴑროკლე Ⴜეკელიძის ქუჩაზე ჩავუხვიე და მოვხაზე წრე;
ან, შეიძლება, ნახევარწრე;
ან, სულაც, კაუჭი:
Ⴑროკლე Ⴜეკელიძიდან Ⴂალქნების ქუჩაზე გადავედი,
ავიარე Ⴑევდის Ⴂორა,
Ⴋერცხლისციხის Ⴓბანი ქოშინით გადავსერე,
Ⴜორჯლლის ქუჩაზე რომელიღაც ეზოში წყალი მოვსვი და შუბლი გავიგრილე,
Ⴜაიაზეთის Ⴜიბეებით Ⴚალქალამანიძეზე ჩავირბინე,
Ⴋეცხრე Ⴚის სკვერი გადავჭერი,
აყრიამებულ Ⴎ Ⴋაისის გამზირზე შევუხვიე
და Ⴖებროთის Ⴐიხი გულის მხარეს მოვიტოვე.
აქედან პირდაპირ Ⴕუჩაზე უნდა გადავსულიყავი,
მაგრამ რატომღაც რომელიღაც უცხო მოედანზე აღმოვჩნდი —
იდეალური წრის ზუსტად შუაგულში
ოქროსფრად აბრჭყვიალებულ უზარმაზარ სვეტზე



ეროვნული ბიბლიოთეკა



ვიღაც უცნობი კერპი აღემართათ.
უკან გამოვბრუნდი,
Ⴋოჩვენებათა Ⴞეივანს გავუყევი,
Ⴟუანშერ Q4კულმართის მონუმენტთან Q4გროშოთა Ⴗაზრობისკენ გადაეუხვიე,
Ⴓნგალხანაც გავიარე და...
ვერა,
Ⴕუჩაზე მაინც ვერ მოვხვდი:
სულს წაეღო თუ ღულს,
აღარც კედელი იყო
და აღარც Ⴕუჩა.
იქვე,
ავტობუსის გაჩერებაზე სკამზე ჩამოვჯექი,
სიგარეტი ამოვიღე,
მოვუკიდე.
უცებ გამახსენდა
ლაბირინთში მომწყვდეული ვირთხის ოქროს კანონი:
თუ გინდა,
გარეთ გამოაღწიო,
ერთი მიმართულება უნდა აირჩიო
(ვთქვათ, მარჯვენა...
ან მარცხენა)
და ყოველ ჯერზე მხოლოდ არჩეულ მხარეს შეუხვიო
(ვთქვათ, მარჯვნივ...
ან მარცხნივ).
მონეტა ამოვიღე.
ავერსს მარჯვენა დავარქვი,
რევერსს — მარცხენა.
მერე მარჯვენა ხელის ცერა თითით ჰაერში ავაბზრიალე,
იმავე ხელით ჰაერშივე დავიჭირე,
მეორე ხელის ზურგზე დავიდე და დავხედე.
ავერსი ამოსულიყო.
მაინც გადავწყვიტე,
სულ მარცხნივ-მარცხნივ შევუხვევ-მეთქი.
ისე,
ბედისწერის ჯინაზე.
ანდა, რა ვიცი, სწორედ ეს იყო ეგებ ბედისწერა.
მარცხნივ შევტრიალდი,
Ⴗივჟივაძეზე ჩავუხვიე,
ოციოდე ნაბიჯი გავიარე,
კორპუსებს შორის გავძვერი,
Ⴗულვარზე გავედი
და Ⴔარნავაზის Ⴗლდეს Ⴂანძის Ⴋლვიმემდე მივყევი.
აქ Ⴗორნისბორანით Ⴕალაქის მარცხენა სანაპიროზე გადავედი,
Ⴈვილ Ⴋოწამეთა Ⴕვაფენილები ავიარე,
Ⴈაილურელების სასაფლაო ზურგს უკან მოვიტოვე,
ვარჯებით ერთმანეთს გადაწნულ ორ ძეწნას შუა გვერდულად გავსხლტი,
ფერადი კენჭებით მოხრეშილ ბილიკს შევყევი
და Ⴕალაქის სრულიად უცნობ ნაწილში მოვხვდი —
ერთმანეთს ენაცვლებოდნენ უცხო ქუჩები, შენობები, შესახვევები
(მხოლოდ რამდენიმე წამით დავლანდე ჰორიზონტზე
Ⴂოდლისწვეროს უსახური კორპუსები),
ჩიხები, სკვერები, მოედნები, ქანდაკებები, შადრევნები,
მიწისქვეშა გადასასვლელები, ტავერნები, კინოდარბაზები, გალავნები, ეკლესიები
და მე კი
სულმოუთქმელად მივერეკებოდი ჩემს თავს სულ მარცხნივ,
მარცხნივ, მარცხნივ, მარცხნივ, მარცხნივ, მარცხნივ...
ამასობაში მოიქუფრა ცა, საწვიმრად წამოუბერა,
Ⴕალაქისპირა ხრიოკი გორაკები ნისლმა შებუმბლა

პოეზია
ეროვნული ბიბლიოთეკა

და წამოუშინა უმალვე,
მსხვილი წვეთები დააყარა ახორკლილ ასფალტს
და მეც უნებლიეთ ავაჩქარე უკვე დამძიმებული ნაბიჯები
და ჯერ რომელილაც ბიჯგებშეყენებული ნახანძრალი სახლის
ციცქნა აივნის ქვეშ შევიყუჟე,
მერე ქუჩის მეორე მხარეს აგურით მოპირკეთებული მომცრო თაღი დავინახე.
არა,
გრძელი და ვიწრო ტალანი უფრო იყო,
ვიდრე თაღი.
მეტიც,
გვირაბი უფრო ეთქმოდა.
ძველებური ჩირაღდნების შემპარავ შუქში აზელილი ქვარტლისა და ნესტის სუნი
ხსოვნას სიზმრებში ჩარჩენილი თქმულებებით აბრუებდა,
ძგერდა გული მთელი სამყაროს მაგივრად
და ხერაქვით უხეშად გამოკვეთილი კედლებიდან მობრუნებულ ნაბიჯების ექოში
მოჩვენებების შრიალი,
საუკუნეების წინ გადახმაურებული ვნებების კაეშანი
და ღამის მახინჯი ფრინველების წრიპინი გაისმოდა.
დიდხანს მივდიოდი ასე.
შეიძლება რამდენიმე საათიც.
მერე აიწია თანდათან ჭერი
და დაშორდნენ ერთმანეთს კედლები.
აქეთა მხარეში აღარ წვიმდა.
გვირაბიდან გამოსული გზა
თვალუწვდენელ მინდორს ირიბად ჭრიდა
და სიმწვანეში იკარგებოდა.
მზე უკვე ჩასასვლელად გადახრილიყო
და ცის სიღრმეში ჯერაც უხილავი მთვარე და ვარსკვლავები იგრძნობოდა.
რამდენიმე წუთი კიდევ მივფლატუნობდი ინერციით
მოუხელთებელი ჯადოქრობით შესუდრულ გზაზე.
მერე გზიდან გადავედი,
მინდორზე წამოვწექი,
ხელები თავქვეშ ამოვიწყე
და ცას ავაჩერდი.
მერე ვიწექი ღამის სუნდაკრულ ბალახებში
და ვუყურებდი ფერგადასულ ცას,
ვიდრე თვალები დამეხუჭებოდა.
მერე კი,
როცა თვალები დამეხუჭა,
დახუჭული ქუთუთოების სიშავეში მე დავინახე სულ სხვანაირი ცა
და იმ ცაში მე დავინახე Ⴕალაქი
და Ⴕალაქში მე დავინახე Ⴕუჩა
და Ⴕუჩაზე მე დავინახე კედელი
და კედელზე მე დავინახე სამი ფერადი ფანჯარა:
ერთი მწვანე იყო, დარაბებჩამოფარებული,
მეორე — გამოღებული, მოიისფრო, სიფრიფანა ნატყვიარებით,
ხოლო მესამე კი — ცეცხლისფერი — ოდნავ მაღლა და დაფერდებულად მიეხატათ.



**ლექსში გამოყენებული ასომთავრული ასოები და ციფრები**

Ⴕ - ქ
Ⴛ - ძ
Ⴋ - მ
Ⴊ - ლ
Ⴃ - დ
Ⴑ - ს
Ⴁ - ბ
Ⴀ - ა

Ⴎ - პ
Ⴅ - ვ
Ⴈ - ი
Ⴂ - გ
ႭჃ - უ
Ⴚ - ც
ႨႢ - 13
Ⴌ - ნ

Ⴙ - ჩ
Ⴞ - ხ
Ⴟ - ჯ
Ⴏ - ჟ
Ⴔ - ფ
Ⴗ - ყ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიკა ლაშხია

## სახლი

მე შენი პატრიარქი ვარ.

ანუ პირველი, ვინც შენს ჩახლართულ საქმეებს აგვარებს
და შენი სულის სიღრმეებში ეფლობა.

ჩვენი ლოცვა ყალბია, როცა ლამპიონის ქვეშ
მშიერი ძაღლები დგანან და ჩამქრალი კორპუსის ფანჯრებს უმზერენ.

მე შენი პატრიარქი ვარ,
როცა იღვიძებ, და ონკანში ჩაყრილი თეფშების გასარეცხად ემზადები.
ჩვენი ყოფა მექანიკურია.
ტაძრის ჯვარი იმ კარის ღრიჭოა,
რომელიც გარე სამყაროსთან გვაკავშირებს,
სადაც ღმერთები იშვიათად აიტუზებიან,
ჩვენ კი, ძირითადად, ყავით ვუმასპინძლდებით.

არაფერს ვიტყვი უფრო დიდ ჯვრებზე,
რომელიც ჩვენი ტაძრის კედლებს აკავშირებს ორ ქუჩასათან;
ქუჩა კი, თავის მხრივ, ერთადერთი ადგილია,
სადაც შეგიძლია ბედნიერი იყო,
თუ, რა თქმა უნდა,
ნაცნობი არ შეგხვდა...
ჩვენი საგალობელი სიჩუმეა,
სექსი კი რიტუალი, რომელსაც საკმეველი არ სჭირდება.

მე შენი პატრიარქი ვარ,
რომელიც მოკვდება
და სასწაულებს ვერ მოასწრებს.

აანთე შუქი, სანამ ჩაგვიჭრიან!

დაკეტე კარი, სანამ ბანკის ანგელოზები არ შემოგვიწგრევენ!

ბრმად ნუ მენდობი.
შეისწავლე ჩემი უსაგნო მეტაფორები,
ჩემი მეტაფორული საგნები...

მე შენი პატრიარქი ვარ.

მოემზადე სიყვარულისთვის.



* * *

როგორც დამშვიდობებისას თვალის ჩაკვრა,
როგორც ხეზე დაკიდებული საქანელა,
როგორც წაშლილი ლექსები,
როგორც შიშველი ხერხემალი
და წვერის პარსვისას წაღიღინება რალაც სიმღერის,
ასე სხვადასხვა კადრებისგან შექმნილი ფილმივით
ვარსებობდით და მახსენდება,
რომ დარბაზში მე ვიჯექი მხოლოდ,
როგორც უშენობის ერთადერთი მოწმე,
რომლის დაკითხვა არ აინტერესებდა არავის:
არც წვერის პარსვისას წაღიღინებულ სიმღერას,
არც თვალსაწიერს,
არც ხეზე დაკიდებულ საქანელას,
რომელზეც დროგამოშვებით
ფიფქები ისხდნენ და ყიჟვას ნატრობდნენ.
მე და შენ სხვადასხვა ოთახში დავრჩით
და მაინც დარჩა მანძილი, რომელსაც ვეჭიდებით,
რომელიც უფრო ტკბილია,
როგორც წაშლილი ლექსები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კარნახი

ჩვენ, განურჩევლად სქესისა
და განურჩევლად მრწამსისა,
განურჩევლად ორიენტაციისა
და განურჩევლად მისწრაფებებისა,
გვკარნახობენ, როგორ ვიცხოვროთ,
როდის გავცუროთ, როდის შევტოპოთ,
როდის ვიბრუნოთ პირი ნაპირისკენ,
როდის შევიტანოთ პროცენტების ფული,
ელექტროენერგიის ფული,
წყალმომარაგების ფული,
ნაგვის ფული.
როდის ჩავაგდოთ შესაწირი ხურდები,
როდის გვიყვარდეს,
როდის გძულდეს,
ვისთან უნდა გვქონდეს სექსი,
როდის დავიბოლმოთ,
როდის მოვკლათ
და, ბოლოს და ბოლოს,
როდის ვილოცოთ!
ჩვენ გვკარნახობენ,
რა უფრო ფასეულია,
რა უფრო მორალურია,
რა უფრო მცდარია.
როდის დგება სიყვარული
და სიყვარულისგან გაჩენილი ტკივილების მოშუშება
როდის არის შესაძლებელი.
როდის შეიძლება მოვიგოთ ომი,
როდის უნდა გავიხლართოთ მავთულხლართებში,
როდის უნდა გავიდეთ გარეთ,
როდის უნდა ამოვიღოთ ხმა
და, ბოლოს და ბოლოს, როდის უნდა გვაკურთხონ.
გვკარნახობენ, მაგრამ ავიწყდებათ,
რომ ჩვენ ცუდი მოსწავლეები ვართ
და ვეცნობით კლასგარეშე ლიტერატურას...



## უ'მოძრაობა

პოლიტიკოსი დგას
ტელევიზორი დგას
მამაჩემი დგას
საქართველო დგას
ჩემი შვილები დარბიან

* * *

ვსხედვართ კაფეში, ჩაი და ყავა.
ეს ყველაფერი გადმონაშთია თითქოს წარსულის.
მხოლოდ ხელები იცავენ დისტანციას,
ხოლო თვალები გვამხელენ.
ჩვენ არ ვსაუბრობთ სიყვარულზე,
ჩვენ ერთმანეთის მოკითხვით ვტკბებით.
მხოლოდ დროდადრო, როცა თვალებს
თვალებში ვამწყვდევთ,
იმ ზღვაში ვხვდებით, სადაც ვარწევდით ამდენ იალქანს,
ველარ შევტოპეთ, ალბათ, ჩაყვინთვა დაგვაგვიანდა...
სხვა ნაპირს გავყევით, სხვა ნაპირს გავყევით,
ხულ სხვა ძეგლების მსხვერპლნი ვართ ახალი,
როცა ვსხედვართ და თვალები გვამხელს
და, რასაც ვამხელთ, თვალებით ვმარხავთ...



## მუშა

მზე ადრე გადის სამსახურში
მამაჩემი მზეზე ადრე გადის სამსახურში
მზე ყოველთვის უკან ბრუნდება
მამაჩემის დაბრუნება ყოველთვის საეჭვოა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისააკ ბეშევის ზინგერი

# მდგმური

*ინგლისურიდან თარგმნა ქეთი თევზაძემ*



ქუჩიდან სატვირთო ავტომანქანის ძრავის ხმა გაისმა. როგორც ჩანს, მძღოლს მისი ადგილიდან დაძვრა უჭირდა და ავტომანქანა ისე ხრიალებდა, თითქოს, საცაა, თავის ლითონის სულს დალევდა. იქვე ბავშვები ბეისბოლს თამაშობდნენ და ყვიროდნენ. ღია ფანჯრიდან მონაბერმა სიომ ბენზინის, ხახვის და ადრეული ზაფხულის სუნი შემოიტანა. ჭაღის ირგვლივ ბუზები ირეოდნენ და ზუზუნებდნენ. ფანჯარაში პეპელა შემოფრინდა, მაგიდაზე დაჯდა, ფრთები დაკეცა და დღემოკლე არსებებისთვის ჩვეული უდრტვინველი მორჩილებით გაიტრუნა. რებე ბერიშ ჟიჩლაინერმა, რომელსაც სალოცავი შარფი და ფილაქტერიები[1] ეკეთა, უკვე დაამთავრა ლოცვა, მაგრამ ახლა დამატებითი ლოცვებით მიმართავდა ღმერთს. ასე იქცევიან ხოლმე ძალზე ღვთისმოსავი ადამიანები და, აგრეთვე, ისინი, ვისაც ბევრი თავისუფალი დრო აქვს.

თეთრწვერა და სახელაჟღაჟა რებე ბერიშს ხშირი წარბები ჰქონდა. თვალის უპეები შეშუპებოდა. მხოლოდ ორი წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც შეწყვიტა მუშაობა -სამკერვალო ფაბრიკის საწარმოო ნარჩენებით ვაჭრობა. ორმოცი წლის განმავლობაში დააგორებდა ურიკას ხან ქვემო ისტ-საიდში, ხან კი აქ, უილიამსბურგში. ამ ხნის განმავლობაში გარდაიცვალნენ მისი ცოლი, ვაჟი და ქალიშვილი. მეორე ქალიშვილი, ქრისტიან ქმართან ერთად, სადღაც, კალიფორნიაში ცხოვრობდა. რებე ბერიშს არაფერი გააჩნდა, პენსიის, სასაფლაოზე გამოყოფილი ადგილისა და ბინის გარდა. მარტო რომ არ ეცხოვრა, მდგმური ჩაისახლა - დევნილი მამაკაცი, რომელმაც გარკვეული დრო საბჭოთა რუსეთის ბანაკებში გაატარა, შემდეგ კი სხვადასხვა ქვეყანაში იხეტიალა. მორის მელნიკი ერქვა. რებეს თვეში თხუთმეტ დოლარს უხდიდა. ამჟამად მელნიკს ჯერ კიდევ ეძინა თავის ოთახში, რომლის ფანჯარა სახანძრო კიბეზე გადიოდა.

რებე ბერიში ყოველთვიურ თხუთმეტ დოლარს როდი დახარბდა. მან მელნიკი თავის ბინაში სიბრალულის გამო შეიფარა - მორისს აღარ ჰყავდა არც მშობლები, არც და-ძმები, არც ცოლ-შვილი. მიუხედავად ამისა, რებე ბერიში ნანობდა, რომ ეს მდგმური თავის ბინაში ჩაისახლა, რადგან მელნიკი ურწმუნო და ზნეწამხდარიკაცი იყო. ღამღამობით მეზობელ ქალებთან დაძვრებოდა; ერთმანეთში ურევდა ხორცსა და რძეს[2]; შინ ღამის ორ საათზე მოდიოდა და შუადღემდე ეძინა; არ ლოცულობდა, შაბათს არ იცავდა. სწორედ მაშინ, როდესაც რებე ბერიშმა სარწმუნოების ცამეტი პრინციპის კითხვა დაიწყო, ოთახში მელნიკი შემოვიდა: ამ ჩია ტანის კაცს სახე ისე გაყვითლებოდა, თითქოს ზაფრა სჭირდა. თავზე მხოლოდ თმის რამდენიმე ღერი შერჩენოდა. წითელი პიჟამა და გაცრეცილი ჩუსტები ეცვა. წვერი ჯერ კიდევ არ გაეპარსა და ჩაცვენილ ლოყებზე შავი ჩრდილები ეფინა. სამკუთხა ნიკაპი და წვეტიანი ცხვირი ჰქონდა. პატარა თვალებზე ხშირი, დაფანჩული წარბები გადმოჰფენოდა. მდგმური რებე ბერიშს ზღარბს აგონებდა.

- ჯერ კიდევ ლოცულობთ, რებე ბერიშ? - მიმართა მელნიკმა.

- დიახ...

- ვის მიმართავთ ლოცვისას? ღმერთს, რომელმაც შექმნა ჰიტლერი და იმდენი ძალაუფლება მისცა, რომ ექვსი მილიონი ებრაელი მოეკლა? ღმერთს, რომელმაც შექმნა სტალინი, რომელსაც ათი მილიონი ადამიანი ემსხვერპლა? რებე ბერიშ, ნუთუ თქვენი ფილაქტერიებით შემოქმედის გულის მოგება გსურთ? ის ხომ ნამდვილი ნაძირალა და პირწავარდნილი ანტისემიტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ფუ! - დაიღრიჯა რებე ბერიში. - თავი დამანებეთ და აქედან გადით.

- რამდენ ხანს უნდა ვემონოთ? რამდენ ხანს უნდა ვუგალობოთ ფსალმუნები?- განაგრძობდა მელნიკი. - ჩემი თვალით ვნახე, როგორ ჩააგდეს ებრაელი, მისი სალოცავი შალითა და ფილაქტერიებითურთ, საკანალიზაციო ორმოში. ზუსტად ასე მოხდა.

რებე ბერიშს სახე კიდევ უფრო გაუწითლდა. მრწამსი სწრაფად წაიკითხა და ლოცვანი დახურა, მაგრამ საჩვენებელი თითი შიგ მოაყოლა, რათა - მას შემდეგ, რაც მელნიკს პასუხს გასცემდა - წიგნი იმავე გვერდზე გადაეშალა. შემდეგ ამოიოხრა და წაიბუზღუნა:

- როდის შეწყვეტთ ღვთის გმობას? მე ხომ არ გარიგებთ, როგორ უნდა მოიქცეთ. თქვენც ნუ ცდილობთ ჭკუა მასწავლოთ. იმისდა მიუხედავად, თუ რა ნახეთ და გადაიტანეთ, ღმერთი მაინც მოწყალეა. უცნობია გზანი მისნი. ღვთის ცნობა რომ შეგვეძლოს, მისი მსგავსნი ვიქნებოდით. ჩვენ, უბრალოდ, შეგვიძლია ავირჩიოთ, ღვთის გზას დავადგეთ თუ - ეშმაკისას. ისინი, ვინც ებრაელი ორმოში ჩააგდეს, სამარადისოდ ჯოჯოხეთში მოხვდებიან, ხოლო მისი ნეტარი სული დიდების ტახტზე განისვენებს.

- სისულელეა! უაზრობაა! სად არის სული? არავითარი სული არ არსებობს, რებე ბერიშ! სული კაბინეტებში მსხდომმა უსაქმურებმა გამოიგონეს. რუსეთში ცხოვრობდა უდიდესი მეცნიერი, პროფესორი პავლოვი, რომელმაც ძაღლს ტვინი ამოუღო და ვერავითარი სული ვერ ნახა. ტვინი მექანიზმია, ისეთივე, როგორც ავტომატი, რომელშიც სამ მონეტას თუ ჩააგდებ, სენდვიჩს გადმოგიგდებს. შეიძლება, მონეტების ნაცვლად, ღილი ჩააგდო.

- ადამიანს ძაღლს ან ავტომატს ადარებთ? უნდა გრცხვენოდეთ, მისტერ მელნიკ! მექანიზმი მექანიზმია, ადამიანი კი ღვთის ხატია.

- ღვთის ხატი! მოსკოვის ციხეში რაბინ ბლუდოვთან ერთად ვიჯექი. შვიდი კვირის განმავლობაში ვიყავით ერთად და მთელი ამ ხნის განმავლობაში თორას კითხულობდა. ჰემოროი აწუხებდა და როდესაც ქოთანზე ჯდებოდა, სისხლისგან იცლებოდა. შუალამისას აღვიძებდნენ და დასაკითხად გაჰქონდათ. მესმოდა, როგორ ყვიროდა ხოლმე. როდესაც ბრუნდებოდა, ფეხზე დგომის ძალა აღარ ჰქონდა. კამერაში შემოაგდებდნენ და იატაკზე ეცემოდა. როგორც შეგვეძლო, ვასულიერებდით. შვიდივე კვირის განმავლობაში ანამებდნენ. ერთ ღამეს გაიყვანეს და დახვრიტეს.

-მერე, ღვთის უსამართლობას უჩიოდა?

- არა, ბოლომდე რწმენისთვის არ უღალატია.

რებე ბერიში შეიჭმუხნა და შუბლი მოისრისა.

- ხომ გითხარით, თავისუფალი არჩევანის უფლება გვაქვს-მეთქი. ეს ნიშნავს, რომ ბოროტს შეუძლია ნებისმიერი ბოროტება ჩაიდინოს, თუკი მოისურვებს. განა მიწიერი ხელისუფლებაც თავისუფალ არჩევანს არ გვაძლევს? ყოველ განგსტერს შეუძლია ჩაიდინოს მკვლელობა, ქურდობა, ძარცვა, სანამ არ დაიჭერენ. მაგრამ როდესაც დაიჭერენ, შესაბამისი სასჯელი მიეზღვება.

- ნაცისტებს შესაბამისი სასჯელი არ მიეზღოთ, რებე ბერიშ. ომის შემდეგ მიუნხენში მოვხვდი. ერთ ლუდხანაში ლორებივით გასიებული და სახეაწითლებული ნაცისტები ისხდნენ, ლუდს სვამდნენ და ნაცისტურ სიმღერებს გაჰკიოდნენ.თან იმით ტრაბახობდნენ, თუ რამდენი ებრაელი დაწვეს, გაზის კამერებში ამოახრჩეს ან ცოცხლად დამარხეს, და რამდენი ებრაელი ქალიშვილი გააუპატიურეს. ერთ მოგესმინათ, როგორ ხარხარებდნენ. ამერიკა მათ მილიარდობით დოლარს უგზავნიდა და ისინიც ბავარიული ლუდით იჭყიპებოდნენ და იქაურ ძეხვს აყოლებდნენ. ლამის იყო, მუცლები გასკდომოდათ. როდესაც მიხვდნენ, რომ ებრაელი ვიყავი, კინაღამ იქვე მომკლეს.

- ასეთ ადგილას როგორ მოხვდით?

- გერმანელი შეყვარებული მყავდა. კონტრაბანდით ოქრო შევიტანე და იმ ქალთან ვმალავდი. მონაგებს ვიყოფდით. სხვა რამითაც ვვაჭრობდით.

-ფუ! გერმანელებზე უკეთესი როდი ხართ.

- რა მექნა? ებრაელი ქალიშვილები არ მიკარებდნენ და თუ მაინც დავუახლოვდებოდი,იმდენს წუწუნებდნენ, რომ ყურები მიგუბდებოდა. მხოლოდ გათხოვება სურდათ, მე კი ცოლის შერთვა არ მინდოდა. გერმანელი გოგონები კი ყველაფერზე თანახმანი იყვნენ. ამერიკული სიგარეტების სანაცვლოდ ჰიმლერის ქვრივიც კი დაგიწვებოდათ.

- გაჩუმდით, გთხოვთ. ან ლოცვის საშუალება მომეცით, ან აქედან მიბრძანდით.

- ნუ მეჩხუბებით, რებე ბერიშ. მე თუ მკითხავთ, შეგიძლიათ დილიდან საღამომდე ილოცოთ. თავი მოუქონეთ ღმერთს. უთხარით, როგორი დიადი და მოწყალეა, ის კი კიდევ ერთ ჰიტლერს გამოგვიგზავნის. ნიადაგი უკვე მზადდება. ამერიკამ მათ თვითმფრინავები გადასცა, ერთ მშვენიერ დღეს ატომურ ბომბსაც აჩუქებს. გერმანიის შეიარაღება თქვენი გადასახადების ხარჯზე ხდება, რებე ბერიშ. ჭეშმარიტებაზე თვალი არ უნდა დახუჭოთ.

რებე ბერიშმა წვერზე ხელი იტაცა.

- ეს სიცრუეა. გთხოვთ, თქვენს ოთახში წადით და ლოცვის დამთავრება მაცალეთ.

- განაგრძეთ, განაგრძეთ. კაცი არ ვიყო, თუ ხმა ამოვიღო.

ლოცვის შემდეგ რებე ბერიშმა საუზმის მომზადება დაიწყო. სამზარეულოს გადახედა და ამოიოხრა. ექიმმა აუკრძალა ყველაფერი, რაც უყვარდა: მარილი, წიწაკა, მჟავე კომბოსტო, ბოლოკი, მდოგვი, ქაშაყი, მჟავე კიტრი, კარაქი და არაჟანიც კი. რა დარჩენოდა? სოფლის ყველი, პური და ბაცი ჩაი. შეეძლო ეჭამა ისპანახი და ყვავილოვანი კომბოსტო, მაგრამ ამ პროდუქტებს ვერ შეეჩვია. ამერიკაში ხილიც კი განსხვავდებოდა გერმანული ხილისგან - თავისებური გემო ჰქონდა. მაგრამ, არსებითად, საქმე ის იყო, რომ რებეს ცოლის, ფეიგე მალკეს სიკვდილის შემდეგ ყველაფერმა დაკარგა აზრი: ძილმა, დილას ადგომამ, ძია სემისგან ჩეკის მიღებამ, შაბათმა და უქმე დღეებმაც კი. რებე ბერიში ხშირად ფიქრობდა, რომ აღარ უნდა დალაპარაკებოდა თავის მდგმურს - გაიძვერას, რომელიც გადატანილმა ჯოჯოხეთმა ცინიკოსად აქცია. მაგრამ მაგიდასთან მარტოდმარტო ჯდომა უმძიმდა. ამ ჭირვეული და ანჩხლი მდგმურის მკვახე სიტყვები ხახვის, პირშუშხას, ნივრის ან ერთი ჭიქა არყის მაგივრობას ასრულებდა. მათი ზეგავლენით რებეს გული უფრო სწრაფად უძგერდა, სისხლი კი უფრო სწრაფად მიე-

ეროვნული

დინებოდა ძარღვებში. რებე ბერიშმა დაიძახა:

- ჰეი, მისტერ მელნიკ, მოდით, ჩაი დავლიოთ.

მელნიკმა მაშინვე შემოაღო კარი. მელოტ თავზე შერჩენილი თმა დაევარცხნა და ბრიოლინი წაესვა. ვარდისფერი პერანგი ეცვა, შავკოპლებიანი ყვითელი ჰალსტუხი ეკეთა, ხაკისფერი შარვალი და სამხედრო ტიპის ფეხსაცმლები ეცვა. მარცხენა ხელის არათითზე ლალის ბეჭედი ეკეთა, მაჯას კი ოქროსსამაჯურიანი საათი უმშვენებდა. პერანგის გულისჯიბეში სამი კალამი და ორი ვერცხლის ფანქარი ენყო. პირის გაპარსვისა და ბანაობის შემდეგ უფრო გაახალგაზრდავებულიყო. რებე ბერიშმა გაოცებით შეავლო თვალი.

- მიირთვით რამე.

- ასეთი სუფრა ბანაკებში რომ გაგეშალათ, უსიამოვნება არ აგცდებოდათ. ერთი ებრაელი კარტოფილის მოპარვის გამო მოკლეს. ჩემი ნათესავი იყო. ჩვენს ბანაკში ერთი ყმაწვილი პროდუქტებით ვაჭრობდა, წარმოგიდგენიათ? ღამით ამ პროდუქტებს ბალიშქვეშ ინახავდა. რომ ეპოვათ, მყისვე დახვრეტდნენ. თუ გაუმართლებდა, მაშინვე დახვრეტდნენ,თუ არა, აწამებდნენ. მაგრამ კომერცია კომერციაა. მინახავს, როგორ აწამებდნენ ებრაელებსკომერციის გამო. ასე იყო გეტოებში და ასე იყო რუსეთშიც, სადაც რამდენიმე კოჭი ძაფის ან თორმეტიოდე ნემსის გამო ადამიანებს სიკვდილით სჯიდნენ. ბანაკში იმ ყმაწვილს ყოველთვის ჰქონდა კომბოსტოს რამდენიმე ფურცელი, კარტოფილის კანი და რამდენიმე დამჭკნარი ბოლოკი: მხოლოდ ამით ვაჭრობდა, მაგრამ - მომგებიანად, რადგან რუსეთის ბანაკებში პატიმრები სურავანდითა და ავიტამინოზით იტანჯებოდნენ. ამ დაავადებებისგან სრულიად მოულოდნელად იხოცებოდნენ. ერთ ასეთ შემთხვევას მეც შევესწარი.

- ერთი წუთით მოიცადეთ, მისტერ მელნიკ. ყველი და პური მიირთვით. ალუბალი დააყოლეთ.

- გმადლობთ. ერთ ზამთარს, ყაზახეთში, ვინექი და ველაპარაკებოდი პატიმარს, რომელიც ჩემ პირდაპირ იწვა. ისე ციოდა, რომ ვედროში წყალი იყინებოდა. მთელი ჩვენი ძონძები დავიხურეთ, რომ გავმთბარიყავით. გვშიოდა კიდეც, მაგრამ ვსაუბრობდით. რაზე ვსაუბრობდით? ცოლებსა და შვილებზე, რომლებიც გერმანიაში დარჩნენ, ასევე - ძველ დროებაზე და იმაზე, თუ რას მოგვიტანდა მშვიდობა. ძირითადად კი, გემრიელ საჭმელზე ვოცნებობდით. ეს იყო შემწვარი ხორცი და ნაირ-ნაირი ნამცხვრები, ქათმის წვნიანი ვერმიშელით, ძროხის ხორცის კუპატი, ქათმის ცხიმში მოშუშული ხახვი, შნიცელები და კატლეტები. ცოტა ხნით გავჩუმდით. შემდეგ ჩემს მეზობელს რაღაც ვკითხე, მაგრამ არაფერი მიპასუხა. ალბათ, ჩაეძინა-მეთქი, გავიფიქრე და მივაყურადე. ჩვეულებრივ, ხვრინავდა ხოლმე, რადგან ცხვირში პოლიპები ჰქონდა, მაგრამ ახლა მისი სუნთქვის ხმა არ ისმოდა. საწოლიდან წამოვხტი, რომ მისთვის დამეხედა. მომკვდარიყო. ერთი წამის წინ ცოცხალი იყო, ახლა კი აღარ სუნთქავდა.

- საშინელებაა, საშინელება.

- ნუ ტირით. ადამიანი - სამყაროს გვირგვინი - ასეთია. აქ ვერაფერს გააწყობ. ჩემი აზრით, ყველა ადამიანი ნაცისტია. მაგალითად, რატომ უნდა დავკლათ და შევჭამოთ ხბო? იმიტომ, რომ ვერ გაგვიმკლავდება? ჰიტლერიც ხომ სწორედ ძლიერის უფლებით სარგებლობდა! რაც შეეხება ღმერთს, ის ყველა ნაცისტზე უარესი ნაცისტია. ჰიტლერზე უარესი. მისი ძალაუფლება კაცობრიობის ძალაუფლებას აღემატება, ამიტომაც აწამებს ყველას. იცით, ათეისტი არა ვარ და ვაღიარებ, რომ ჯოჯოხეთი ნამდვილად არსებობს. მართლაც, რატომ უნდა ეწამონ ადამიანები მხოლოდ მიწაზე? მათი წამება საიქიოშიც უნდა გაგრძელდეს. ღმერთს საკუთარი ტრებლინკა აქვს მოწყობილი, სადაც უამრავი ეშმაკი, ჭინკა, დემონი და სიკვდილის ანგელოზია. ისინი საბრალო ცოდვილებს წვავენ, ან კიდევ - ენებით ან ძუძუებით ჰკიდებენ. მაგრამ საიქიოში სამოთხე არ არის. როდესაც საქმე სიკვდილს ეხება, ნამდვილ ერეტიკოსად ვიქცევი ხოლმე.

რებე ბერიშმა ლექვა შეწყვიტა,

- რატომ უნდა იყოს სამყაროს შემოქმედი ესოდენ სასტიკი?

- რატომ არ უნდა იყოს? მას აქვს ძალაუფლება, რომელსაც შესანიშნავად იყენებს. მან მოგვცა თორა, რომლის მცნებებს ყოველი რაბინი ახალ-ახალ კანონებს ამატებს ხოლმე და მათი დაცვა ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება. ქრისტიანული რელიგიის თანახმად კი, ღმერთმა ვერ შეძლო კაცობრიობის ცოდვათა გამოსყიდვა, სანამ მის ერთადერთ შვილს ჯვარს არ აცვამდნენ. ასეა თუ ისე, ის სისხლის მოყვარული ღმერთია

- გვეყო. ჯობია, რაიმე მიირთვათ.

- ვჭამ. სხვა რა უნდა ვქნა? ერთადერთი, რაც დამრჩენია, ჭამაა. ამერიკელი ქალები არ მომწონს. მგონი, მსოფლიოში კარგი ქალები აღარ დარჩნენ. ჩემს დროს ჯერ კიდევ იყვნენ ერთგული, ზნეობრივი ქალები, ახლა კი მათ ვეღარ იპოვით. რომ გენახათ ის, რაც მე ვნახე, ეგ თქვენი თეთრი წვერი გაგიშავდებოდათ.

- ამაზე არაფრის გაგონება არ მსურს.

- ბანაკებს არ ვგულისხმობ. იქ ქალი უუფლებო და უსუსური იყო. დაშინებულ ადამიანს ყველაფერზე დაიყოლიებ. ერთხელ გავიგონე, როგორ ურჩევდა დედა თავის ქალიშვილს, რომ დანებებოდა მუნიან უკრაინელს, რომელსაც შეეძლო, მეტი ბურღული ჩაედო გოგონას ულუფა წვნიანში. გოგონამ დაუჯერა. როდესაც ეს ნაცისტებმა შეიტყვეს, სამივე დახვრიტეს. ამას ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია - ასეთ რამეებს შეჩვეულნი ვიყავით. უარესიც მინახავს. მაგრამ განთავისუფლების შემდეგ, როდესაც არავინ არაფერს გვაიძულებდა, ადამიანები დიდად როდი შეცვლილან. ერთ ოთახში სამ ოჯახს გვეძინა. ერთ კუთხეში ქალი გლეხ კაცთან კოტრიალებდა, მეორე კუთხეში კი მისი და იმავეს სჩადიოდა. სირცხვილის გრძნობა დაკარგული ჰქონდათ. ტილებს ერთად იცილებდნენ და გარყვნილებასაც ერთად ეწეოდნენ.

- აღარ გაჩუმდებით? უკანასკნელად გაფრთხილებთ.

-სიმართლისა გეშინიათ?

- ეს სიმართლე არაა. ცოდვა ქაფს ჰგავს. როდესაც ჭიქაში ლუდს ასხამთ, გგონიათ, რომ ჭიქა სავსეა, მაგრამ მისი ორი მესამედი ქაფია. როდესაც ქაფი ქრება, ლუდი ჭიქის ერთი მესამედს ავსებს მხოლოდ. იგივე შეეხება ცოდვებს. ისინი ბუშტებივით სკდება.

- კარგი ნათქვამია. თქვენი აზრია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ეს ჩვენი რაბინისგან გავიგონე.

- კარგად უთქვამს, მაგრამ, ჩემი აზრით, ყველაფერი გარყვნილებაა, სისაძაგლეა, ყველაფერი ცოდვაა. ცოდვებისა და გარყვნილების გარდა, რეალური არაფერია. თქვენი რაბინიც გარყვნილი და ცოდვილია. წვერის, კიკინებისა და ფოჩიანი ტანსაცმლის მიუხედავად, ჩვეულებრივი ადამიანია და ქალები უყვარს. ლამაზი ცოლი რომ არ ჰყავდეს, მეძავებს ესტუმრებოდა.

- არამზადა! ისრაელის მოღალატე!

-არ ვამბობ, წმინდანი ვარ-მეთქი. შეძლებისდაგვარად, ღირსეულად ვიქცევი. ჩემგან რა გინდათ? მართლა, თქვენ რატომ არ თხოულობთ ცოლს? ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხართ. ქრისტიან ქალთან ერთი წუთითაც არ დაგტოვებდით მარტო.

რებე ბერიშმა ამოიკვნესა. მუშტი მაგიდაზე დადო. მეორე ხელით წვერიდან ნამცეცები ჩამოიბერტყა.

- სისულელეა! საშინლად ლანძღავთ ქალებს, მაგრამ ფეიგე მალკე, ღმერთმა აცხონოს მისი სული, ღვთისმოსავი ქალი იყო.უცხო მამაკაცს არც კი შეხედავდა. დედაჩემსა და ბებიაჩემს ჰგავდა. ძველად ქალები ზნეობრივნი და თავდაჭერილნი იყვნენ. ვარშავაში მკვლელებმა ხანდაზმული, მაღალზნეობრივი კაცის ცოლი ჩამოახრჩეს. როდესაც სახრჩობელისკენ მიათრევდნენ, შიშობდა, მუხლებზე კაბა არ აშენიოს და სირცხვილი არ ვჭამოო.

- იქ იყავით?

- სხვები იყვნენ. დეიდაჩემი დებორა ოცდასამი წლის ასაკში დაქვრივდა და აღარ გათხოვილა, ძალიან მდიდარ კაცს ურიგებდნენ, მაგრამ დებორამ თქვა, მინდა, რომ ჩემს ზორაჰს საიქიოში პირნათლად შევხვდეო.

- და გჯერათ, რომ იქ ქმართანაა?

- დიახ. მჯერა.

- იქ არც ზორაჰია და არც დებორა. მათგან, მტვრის გარდა, არაფერი დარჩა. ამაოდ იტანჯა - აი, ამას გეუბნებით მე, მორის მელნიკი. ჩვენს ქალაქში ცხოვრობდა მდიდარი კაცი, სნავლული - რებე ზადოკი. როდესაც გარდაიცვალა, ცოლს დიდძალი ქონება დაუტოვა. ნახევარი წლის შემდეგ ქალი ცოლად გაჰყვა უსწავლელ ყასაბს, სახელად ჩეზკელ სკაბს. ყასბის ჯირკი მოეწონა.

- ყველაფერი ხდება ხოლმე.

- ყოველგვარი სისაძაგლე.

მორის მელნიკი გაჩუმდა. ჩაის კოვზი აიღო და შეეცადა, თეფშის კიდეზე სწორად დაედო. კოვზის ტარი ძირს გადაიხარა. მელნიკმა კოვზის ჩაღრმავებულ ნაწილზე ცოტაოდენი მარილი დაყარა, რომ კოვზი გაეწონასწორებინა. ქვედა ტუჩი მოიკვნიტა, შემდეგ ცალი თვალი ფართოდ დააჭყიტა, მეორე კი მოჭუტა, თითქოს კოვზს თვალს უკრავდა. როგორც ჩანს, იმას, კოვზი მაგიდაზე ტარით დავარდებოდა თუ ჩაღრმავებული ნაწილით, მელნიკი სამყაროს მომავლის მომასწავებელ ნიშნად მიიჩნევდა.

რებე ბერიშმა ხელი ჩაავლო თავის წვერს და დააკვირდა, თითქოს სურდა დარწმუნებულიყო, რომ წვერი ჯერ კიდევ თეთრი იყო, შემდეგ კი თქვა:

- განა იცის მატლმა, რომელიც ნაგავში იკლაკნება, რომ არსებობს სასახლეები და ნალკოტები? ანდაზა გვეუბნება, კედელზე მიმავალი რწყილი მეჯლისზე როდი მიდისო. თქვენ მიწის შესახებ ლაპარაკობთ, მაგრამ არსებობს ზეცა, ვარსკვლავები, თანავარსკვლავედები. არსებობენ ანგელოზები, სერაფიმები, ქერუბიმები, ღვთის უზარმაზარი ეტლები. მათთან შედარებით ჩვენი სამყარო ქვიშის მარცვლის ოდენაა, ან კიდევ უფრო უმნიშვნელო ზომისააა. მაგრამ ტალახშიც კი შეიძლება ალმასი აღმოაჩინოთ. მთელ ამ სიბინძურესთან ერთად, არსებობდნენ ბაალ შემი, რაბინი ელიმელექი, ბერდიჩევერი, კოცკერი. ბაბუაჩემი, რებე ხაიმი, წმინდა კაცი იყო. ორმოცდაათი წლის განმავლობაში, ყოველ ორშაბათსა და ხუთშაბათს, მარხვას იცავდა.ზამთარზაფხულ ყოველ ღამე დგებოდა, რათა ტაძრის დანგრევა ეგლოვა. უკანასკნელი პენი საქველმოქმედო საქმეებს დაახარჯა. ეს საკუთარი თვალით ვიხილე.

რებე ბერიშმა ფოჩიანი ტანსაცმლით შემოსილ მკერდზე მუშტი დაიბრაგუნა.

- ცდებით, მისტერ მელნიკ. - დასძინა მან. - თუმცა, ძნელია განსაჯო ადამიანი, რომელმაც ამდენი განსაცდელი გადაიტანა. ვილოცებ!

მან ჭიქა აიღო, წყალი დაიპკურა ხელებზე და სუფრას გადაუსვა. შემდეგ ღმერთს შეჰღაღადა:

- მართალი ხარ, უფალო, და ყოველი შენი საქმე და ყოველი შენი გზა მოწყალებაა და ჭეშმარიტება; ჭეშმარიტი და მართალი სამართლით სჯი უკუნისამდე....

იმავე წუთს პატარა კოვზი თეფშში ჩავარდა. მორის მელნიკს გაეცინა, წამოდგა, კართან მივიდა და ჩაილაპარაკა:

- ახლა კი წავალ და ვნახავ, რას შვრებიან ქალები.

1. ფილაქტერიები - ტყავის ორი კოლოფი,რომელთაც იუდეველები დილის ლოცვის დროს იმაგრებენ ხოლმე შუბლსა და მარცხენა ხელზე. კოლოფებში ჩაწყობილ პერგამენტის ფურცლებზე დაწერილია ლოცვათა ტექსტები და ამონარიდები თორიდან.
2. იუდაიზმი ხორცისა და რძის კერძების შერევას კრძალავს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზედი სმითი

# ნელი მდინარე[1]

*ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ*



ჩვენ ყველანი ნელ მდინარეში ვიმყოფებით - შენ, მე, ჩვენი შვილები, ჩვენი მეგობრები, მათი შვილები და, საერთოდ, ყველანი. ზოგჯერ ცოტა ხნით ნაპირზე გამოვდივართ, რათა ვისადილოთ, ვიკითხოთ ან გავირუჯოთ, მაგრამ შემდეგ ყველანი ვბრუნდებით ამ მეტაფორულ მდინარეში. ნელი მდინარე - წრიული ფორმისაა. ხელიც რომ არ გაანძრიოთ, დინება წაგიღებთ, შემდეგ კი საწყის წერტილში დაგაბრუნებთ. თუკი შესაძლებელია მსჯელობა მეტაფორის სიღრმის შესახებ, მაშინ უნდა ითქვას, რომ ის სამი ფუტის სიღრმისაა, გარდა მოკლე პერიოდისა, როდესაც მდინარის სიღრმე ექვს ფუტსა და ოთხ დუიმს აღწევს. ამგვარი „წყალდიდობისას" ბავშვები ყვირიან და ებღაუჭებიან კედლებს ან ახლოს მდგარ მოზრდილ ადამიანს, მანამ, სანამ წყლის დონე კვლავ სამი ფუტის სიმაღლემდე არ დაიწევს. დინება წრიულად გვამოძრავებს. ცხოვრებაც ამგვარია - მიედინება და მიედინება!

ადამიანები სხვადასხვაგვარად იქცევიან. ჩვენი უმრავლესობა ტივტივებს და დინებას მიჰყვება, თუმცა, ზოგჯერ ცდილობს დამოუკიდებლად გაცუროს. ბევრი ადამიანი იყენებს ტივტივის სხვადასხვაგვარ საშუალებებს, მაგალითად, რეზინის კამერებს. ამ საგნებს ხელით, კისრით ან ზურგით ეყრდნობიან და ცხოვრებას იიოლებენ. მართალია, ცხოვრება ბრძოლაა, მაგრამ ჩვენ თავს ვარიდებთ ცხოვრებასაც და ბრძოლასაც - დინებას მივყვებით. როდესაც ნელ მდინარეში შევდივართ, უნდა გვქონდეს საცურაო აღჭურვილობა, მიუხედავად იმისა, რომ ვიცით - ხელოვნურ ნაკადში არ ჩავიძირებით. უმეტესწილად გვიზიდავს ძვირად ღირებული, დიდი და უჩვეულო ფორმის მქონე სატივტივო საშუალებები. ისინი ხომ მოდაშია! ისინი ფუფუნების საგნებია! მათი საშუალებით დრო უფრო სასიამოვნოდ გადის ხოლმე. მრავალი რევოლუციის მოწმენი გავხდებით, სანამ მათი სილამაზე გაცვდება - რამდენიმე ბედნიერი ადამიანისთვის ეს არასოდეს მოხდება, დანარჩენები კი დროთა განმავლობაში მიხვდებიან, რომ მაშველი არ ცდებოდა: ეს სატივტივო საშუალებებები ძალზე დიდია; მათი მართვა ძნელია. უტყუარი ფაქტი კი ისაა, რომ ყველას ნელი მდინარე გვატრიალებს, ერთი და იმავე სიჩქარით, ერთი და იმავე ულმობელი ესპანური მზის ქვეშ, სამუდამოდ, სანამ არ მოვკვდებით.

ტივტივის უნივერსალური პრინციპი ზოგიერთს უკიდურესობამდე მიჰყავს: წყალში უძრავად ტივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტივებენ და მოდუნებულ კიდურებს აქეთ-იქით არხევენ, მაგრამ ბოლოს ხვდებიან, რომ ნელი მდინარე თვით გვამსაც კი არ აჩერებს ერთ ადგილას და დინების მიმართულებით მიჰყავს. არიან ისეთებიც, რომლებიც ცდილობენ, დინების საწინააღმდეგო მიმართულებით გაცურონ. მართალია, წინ ვერ მიიწევენ, მაგრამ ერთ ადგილას მყარად დგანან ხოლმე. თუმცა, ეს მდგომარეობა, როგორც წესი, დიდხანს ვერ გრძელდება. ერთმა მოდურად თმაშეკრეჭილმა კაცმა დაიტრაბახა, შემიძლია დინების საწინააღმდეგოდ გავცურო და საწყის ადგილას დავბრუნდეო. მისმა ჰიპსტერმა ცოლმა ნააქეზა, სცადეო, მაგრამ როდესაც ეს კაცი შეტრიალდა და დინების საწინააღმდეგო მიმართულებით გაცურვა სცადა, არაფერი გამოუვიდა.

* * *

ნელი მდინარე მეტაფორაცაა და, იმავდროულად, წყლის ხელოვნური ნაკადიც ქ. ალმერიაში, სასტუმროს მახლობლად, სამხრეთ ესპანეთში. სასტუმროდან არ გამოვდივართ (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საცურაო ალჭურვილობებს ვყიდულობთ). აქ მუქთად შეგვიძლია დავლიოთ იმდენი ალკოჰოლური სასმელი, რომ სასტუმროში, ფაქტობრივად, უფასოდ ვცხოვრობთ (სასტუმროს მხოლოდ ყველაზე ვულგარული ბინადარნი ლაპარაკობენ ამის შესახებ ხმამაღლა, მაგრამ ფარულად ყველანი ვეთანხმებით ამ აზრს). სასტუმროში მხოლოდ ბრიტანელები ვართ, ამიტომ ჩვენს თავისუფლებას არაფერი ზღუდავს. აქ ვერც ერთი ფრანგი ან გერმანელი ვერ დაგვძრახავს იმის გამო, რომ უარს ვამბობთ პაელიასა და შიმშერზე და უპირატესობას ძეხვსა და ჩიფსებს ვანიჭებთ; ვერავინ გაგვკიცხავს იმის გამო, რომ, შეზლონგებზე ნამოწოლილებს, ლიტერატურის აბსტრაქტულ სამყაროს რეალური სუდოკუ გვირჩევნია. ერთ-ერთ ჩვენგანს - მოხუც ჯენტლმენს, ორივე წვივზე ემი უაინჰაუზის პორტრეტი აქვს ამოსვირინგებული, მაგრამ ამის გამო არ ვკიცხავთ. ან კი რატომ უნდა გავკიცხოთ? ემის მსგავსი არც ისე ბევრი კერპი დაგვრჩა და ვუფრთხილდებით მას. ემი ჩვენს ყველაზე სანუკვარ განცდებს გამოხატავდა, ისე, რომ არ დასცინოდა და არ აკნინებდა მათ. ამიტომ საღამოობით, როდესაც ნელი მდინარიდან გამოვდივართ, ვსვამთ, ვუსმენთ მის ცნობილ სიმღერებს, კარაოკეს დროს თვითონაც ვმღერით მათ და ვიცით, რომ დიდი ხნის შემდეგ, როდესაც ყოველივე დამთავრდება, ეს სიმღერები ჩვენი დაკრძალვის დროს გაიჟღერებს.

მაგრამ კარაოკეთი გასულ ღამეს გავერთეთ; ამ საღამოს კი სტუმრად ილუზიონისტი გვყავს, რომელსაც სრულიად მოულოდნელი ადგილებიდან ბოლვრები ამოჰყავს ხოლმე. შემდეგ დასაძინებლად ვწვებით და ბოცვრები გვესიზმრება. ვიღვიძებთ და კვლავ ნელ მდინარეში შევდივართ. გსმენიათ ცხოვრების ციკლურობის შესახებ? სწორედ ასეთი რამაა. განუწყვეტლივ ვუბრუნდებით ერთსა და იმავე ადგილს. არა, არ გვინახავს მავრიტანული შენობების ნანგრევები. და არ ავალთ შიშველ, გადახრუკულ მთებზე. არც ერთი ჩვენგანი არ წაიკითხავს რომანს, რომელშიც მოქმედება აქ, ალმერიაში ხდება და ამის გამო არავინ დაგვგმობს.

ნელი მდინარის მახლობლად მყოფთ სამართლიანობის ან უსამართლობის საკითხები არ გვაღელვებს, მაგრამ ბრმები როდი ვართ - აეროპორტიდან რომ მოვდიოდით, თვალი მოვკარით პომიდვრის სათბურებს - და დავინახეთ აფრიკელები, რომლებიც იქ თაკარა მზის ქვეშ მუშაობდნენ. როდესაც მათ ვაკვირდებოდი, ავტომანქანის ფანჯრის მინას თავით მივეყრდენი და თითქმის ისე, როგორც მოსემ აღმოდებული მაყვლოვანი დაინახა, მირაჟი ვიხილე. ეს იყო პატარა კალათი, რომელშიც ცელოფანში გახვეული პატარა პომიდვრები ეწყო. კალათი მავრიტანული შენობის ნანგრევთა შორის იდო. ეს სურათი ჩემთვის ისეთივე რეალური იყო, როგორც საკუთარი ხელი. ამ კალათის თავზე დავინახე შტრიხკოდი, ხოლო შტრიხკოდის ზემოთ ეწერა „ესპანური პროდუქტი - ალმერია". ხილვა გაქრა. პომიდვრების შესაძლო მითვისების გამო ვერც მე და ვერც ნებისმიერი სხვა ადამიანი, რომელიც იმხანად სამხრეთ ესპანეთში შვებულებას ატარებდა, აფრიკელების აუგს ვერ ვიტყოდით. რა უფლება აქვს ვინმეს, რომ პირველად ესროლოს ქვა...

* * *

სრული სიმართლეა, რომ ჩვენ, ინგლისელები, ესპანეთის რუკაზე ვერ მივუთითებთ ნელ მდინარეს, მაგრამ ეს არც გვჭირდება, რადგან გამუდმებით ამ მდინარეში ვიმყოფებით და წყლიდან მხოლოდ იმისთვის გამოვდივართ, რომ საცურაო აღჭურვილობა შევიძინოთ. როგორც ზემოთ ვთქვი, ისიც სიმართლეა, რომ ჩვენმა უმრავლესობამ ბრექსიტს მისცა ხმა და, მაშასადამე, არ ვიცით, მივიღებთ თუ არა ვიზას გაისად, რათა ნელ მდინარეში დავბრუნდეთ. ამაზე მომავალ ზაფხულს ვიზრუნებთ. ჩვენ შორის არის რამდენიმე განათლებული ლონდონელი პიროვნება, რომლებიც მეტაფორის არსში კარგად ერკვევიან, კონტინენტალურ ევროპაში რჩებიან და დინების საწინააღმდეგო მიმართულებით მიცურავენ. ყოველთვის, როდესაც ეს ადამიანები ნელ მდინარეში იმყოფებიან, ისინი აფრთხილებენ თავიანთ შვილებს, რომ არ ახრამუნონ უზომო რაოდენობის ჩიფსები და სპეციალური მალამოს საშუალებით თავი დაიცვან მზის ულმობელი სხივებისგან. ნელ მდინარეში ყოფნისას ეს ადამიანები მკაცრად იცავენ გარკვეულ წესებს - არ ცეკვავენ მაკარენას, არ სწავლობენ ზუმბას. ზოგიერთის შეხედულებით, მათ სიცოცხლის ხალისი აკლიათ, სხვების აზრით კი - ასეთი ქცევა დამამცირებლად მიაჩნიათ. გულწრფელად რომ გითხრათ, წყალში ცეკვა ძნელი საქმეა. ნებისმიერ შემთხვევაში, სადილობის ან საცურაო აღჭურვილობის (საფირმო ნიშნის გარეშე) შეძენის შემდეგ ისინი სხვებთან ერთად დაბრუნდებიან მეტაფორაში - ამ წყლოვან ურობოროსში, რომელიც, ჰერაკლიტეს მდინარისგან განსხვავებით, ყოველთვის ერთნაირია, მიუხედავად იმისა, თუ სად შეხვალთ მასში.

* * *

გუშინ ნელი მდინარე მწვანე იყო. არავინ იცის, რატომ. ამის შესახებ უამრავი თეორია არსებობს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ყველა თეორია ურინას უკავშირდება. როგორც ჩანს, წყლის ეს ფერი განპირობებულია ან თვით ურინით, ან იმ ქიმიური ნივთიერებით, რომელიც ურინისგან წარმოიქმნა. შესაძლოა, ის ქლორზე ან რომელიღაც სხვა ქიმიურ ნივთიერებაზე ურინის რეაქციის შედეგს წარმოადგენს. ჩემი აზრით, ურინაზე, ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული წყლის ფერის შეცვლა. თვითონაც მომიშარდავს ნელ მდინარეში. მაგრამ თვით ურინა როდი გვაშფოთებს, არამედ ხელოვნური მწვანე ნელი მდინარის ხატი, რომელსაც გონებიდან ველარ ვიშორებთ. ნელი მდინარის წრიული დინება, რაც სავსებით ბუნებრივ მოვლენად მიგვაჩნდა, ახლა თითქმის არაბუნებრივად და ძალზე უჩვეულოდ გვეჩვენება. ეს უკვე ცხოვრების მეტად საშიშარი მეტაფორაა. ნელი მდინარის შეცვლილი ფერი მხოლოდ მეტაფორათა მცირერიცხოვან თაყვანისმცემლებს როდი აფრთხობს. ამ გრძნობას ყველა იზიარებს. მას შევადარებდი სირცხვილს, რომელიც იგრძნეს ადამმა და ევამ, როდესაც ერთმანეთს შეხედეს და პირველად მიხვდნენ, რას ნიშნავდა სიშიშვლე.

* * *

რა არის ცხოვრების არსი? როგორ უნდა იცხოვრო „მართებულად"? ჩვენი შეზლონგების პირდაპირ ორ სავსემკერდიან გოგონას ვხედავთ ხოლმე. დები არიან. ყოველ დილას ძალზე ადრე მოდიან და ჩვეულებრივი პლასტმასის შეზლონგების ნაცვლად, თეთრ საწოლებს ამჯობინებენ. ერთი გოგონა თვრამეტი წლისაა, მეორე - ცხრამეტისა. მათ საწოლებზე ოთხსავე მხარეს თეთრი ფარდებია ჩამოფარებული მზის სხივებისგან დასაცავად. მაგრამ დები ფარდებს გადაწევენ ხოლმე (რის გამოც მათი საწოლები სცენას ემსგავსება) და მზეს ეფიცხებიან. ხშირ-ხშირად ამოწმებენ, რამდენად კარგად გაირუჯნენ და რამდენად განსხვავდება მათი ყავისფერი მუცლები ფერმკრთალი ბოქვენებისგან. გულდასმით ათვალიერებენ თავიანთ ბოქვენებს, სანამ წამოწვებიან.

დები ჩემს ყურადღებას თავიანთი უჩვეულო ფუსფუსით იპყრობენ. ნებისმიერ სხვა დამსვენებელზე მეტ ხანს ატარებენ ნაპირზე და, ძირითადად, იმით ერთობიან, რომ ერთმანეთს მობილური ტელეფონებით ფოტოსურათებს უღებენ. დებისთვის ფოტოსურათების გადაღება შრომის სახეობაა, რომელიც მთელ მათ დროს იკავებს, ისევე, როგორც ნელი მდინარე იკავებს ჩვენსას. ცხოვრების ამგვარ აღბეჭდვას იმდენივე დრო სჭირდება, რამდენიც - თვით ცხოვრებას. „ჩვენ შევდივართ და არც შევდივართ ერთსა და იმავე მდინარეებში. ვარსებობთ და არც ვარსებობთ" - თქვა ჰერაკლიტემ, და ამასვე ამბობენ დები, როდესაც ფოტოსურათებს იღებენ, აჩერებენ დროის მდინარებას და აღბეჭდავენ იმას, თუ როგორია დროის ესა თუ ის მომენტი და - როგორი არ არის. პირადად მე მათი საქმიანობა გულს მიჩუყებს. დებს შრომის საფასურს არავინ უხდის, მაგრამ ეს მათ არ ადარდებთ. ფოტოგრაფთა ასისტენტების მსგავსად (რეალური ფოტოსესიების დროს), ისინი თავდაპირველად ამზადებენ ადგილს, ასუფთავებენ მას, მსჯელობენ შუქის შესახებ და, თუ საჭიროა, სხვა ადგილას გადააქვთ საწოლი, რათა ფოტოსურათზე არ აღიბეჭდოს ნაგავი, დაცვენილი ფოთლები, მოხუცი დამსვენებლები. ადგილის მომზადებას გარკვეული დრო სჭირდება. გადასაღებ ადგილას კანფეტის ერთი ქაღალდიც კი არსად უნდა ეგდოს. შემდეგ დები ალაგებენ რეკვიზიტს: ვარდის ფურცლებს, უჩვეულოდ გაფორმებულ კოქტეილებს, ნაყინს (რომელსაც ფოტოსურათებს უღებენ, მაგრამ არ შეექცევიან) და ერთადერთ წიგნს, რომელიც მხოლოდ ფოტოსურათის გადაღების დროს გამოიყენება და (შესაძლოა, ეს მხოლოდ მე შევნიშნე) თავდაყირა დევს. მზადების ეტაპზე თითოეულ დას უკეთია უბრალო შავი სათვალე. როდესაც ერთ-ერთი მათგანი გადასაღებად მზადაა და გარკვეულ პოზას იღებს, ის თავის სათვალეს დას გადასცემს. განა მათი მუშაობა მძიმე შრომა არაა, თუნდაც მისი სირთულის ხარისხი სხვადასხვანაირი იყოს? ისინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ალბეჭდავენ თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებას,რომლის შეფასებას ან კომენტირებას მოგვიანებით შეძლებენ. ჩვენ რაღას ვაკეთებთ? ნელ მდინარეში დავცურავთ?

* * *

სასტუმროს უკანა კარის მახლობლად, სამი წუთის სავალზე, არის სასეირნო გზა, სადაც სალამოობით შეგვიძლია გავერთოთ რამდენიმე საათის განმავლობაში, სანამ ნელ მდინარეს ასუფთავებენ. ერთ-ერთი ამგვარი გასართობი, რა თქმა უნდა, ზღვაა, მაგრამ მათ, ვინც მიეჩვია ნელი მდინარის ქლორიან, მაგრამ რბილ წყალს და სწრაფ, მაგრამ მართვად დინებას, უჭირთ ზღვასთან შეგუება, ეუცხოებათ მისი მლაშე წყალი და გრეხილი ფორმის კუნძულები, რომ არაფერი ვთქვათ თევზებსა და უსაზღვრო ჰორიზონტებზე, რომლებიც ზღვის სიღრმეზე მიგვანიშნებს. ზღვის სანაპიროს არ ვეკარებით - ვსეირნობთ. ჩვენ წინ მიდის ორი ქალი, რომლებიც მსურველებს - გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ - თმას უწნავენ ხოლმე. რამდენიმე წუთის შემდეგ ბატუტებამდე მივდივართ. დღეს ყველაზე გრძელი მანძილი გავიარეთ მას შემდეგ, რაც ჩვენი არდადეგები დაიწყო. ასე „ბავშვების ხათრით" მოვიქეცით. ვუყურებთ, როგორ დახტიან ისინი ზემოთ-ქვემოთ მეტაფორაზე, ჩვენ კი დაბალ კედელზე ვსხედვართ (პირით ზღვისკენ) და სასტუმროდან მოტანილ არაყს შევექცევით. ალბათ, ბატუტი ნელ მდინარეებზე უფრო ტევადი მეტაფორაა. ცხოვრება სწორედ რომ ზევით-ქვევით ხტუნვაა, თუმცა, ბავშვებს ქვევით ვარდნა განსაკუთრებით აღაფრთოვანებთ - მაშინ, როდესაც ჩვენ ზევით ატყორცნა რამდენადმე აბსურდულად და დაუჯერებლად წარმოგვიდგება ხოლმე; მას ცხოვრების მაცდურ, ეშმაკურ ფანდად მივიჩნევთ, რაც უფრო იშვიათია, ვიდრე - სისხლისფერი მთვარე...

ჰო, მართლა, იმ ღამეს სისხლისფერი მთვარე იყო. დამიჯერეთ: სამხრეთ ესპანეთი უფრო მეტაფორულად მიემართება რეალობას, ვიდრე - ყველა ის ადგილი, სადაც კი ვყოფილვარ. სისხლისფერ მთვარეს - 2017 წლის იმ საოცარ მთვარეს - ვუყურებდით და იმ მომენტში ყოველი ჩვენგანი ხვდებოდა, რომ ამგვარი შეგრძნება არასოდეს გვქონია. ყველაფერი მშვენიერი იყო. მთვარე ბავშვებს თავის წითელ სხივებში აბანავებდა და ზღვას ცეცხლს უკიდებდა.

* * *

შემდეგ ბატუტზე ხტუნვის დრო დასრულდა. ბავშვები გაშმაგდნენ. როდესაც ბატუტიდან გადმოგვყავდა, წიხლებს გვირტყამდნენ და გვკაწრავდნენ, მაგრამ ჩვენ არ ვუთმობდით. ვაკავებდით და არ ვეწინააღმდეგებოდით მათ ჟინიანობას, ისევე, როგორც არ ვეწინააღმდეგებოდით ხოლმე მათ ბავშვურ ისტერიკებს - იმ ჭეშმარიტი აღშფოთების სუბსტიტუტებს, რომელიც მათთვის, რა თქმა უნდა, ჯერ უცნობი იყო. ერთ მშვენიერ დღეს - დაახლოებით 2050 წელს, წინასწარმეტყველთა თანახმად - ისინი წაიკითხავენ (მაგალითად, ვებ-გვერდზე) ახლანდელი დროის შესახებ. იმ წელს ისინი დაახლოებით ჩვენი ასაკისანი იქნებიან და შეიტყობენ, რომ ყველაფერი როდი ტრიალებს. ზოგიერთი რამ ვერტიკალურად, ზევით-ქვევით მოძრაობს. სასტუმროსკენ მიმავალნი, ვჩერდებით ქალებთან, რომლებიც თმას წნავენ - ერთი სენეგალიდანაა, მეორე კი - გამბიიდან. სისხლისფერი მთვარის ქვეშ, რომელიც კინემატოგრაფიულ სხივებს აფრქვევს, ჩვენ მათი კონტინენტის ნაპირს ვხედავთ. ამ ქალებს ეტყობათ, რომ ნელ მდინარეში დინების საწინააღმდეგო მიმართულებით ცურვა შეუძლიათ. და განა ასე არ იქცევიან? ერთ მათგანს მარიატუ ჰქვია, მეორეს - სინტია. ათ ევროდ ისინი სენეგალურ ყაიდაზე დაგიწნავენ თმას ან ბრედებს გაგიკეთებენ. სამ ჩვენგანს თმის დაწნა სურს. ქალები მუშაობას იწყებენ. მამაკაცები სათბურებში არიან. პომიდვრები მალაზიებშია. მთვარე ცაზეა. ბრიტები ევროპას ტოვებენ. „ესპანეთში ცხოვრება ძნელია", გვეუბნება მარიატუ, - „ძალიან ძნელი". „კარგად რომ იცხოვრო," - დასძენს სინტია და ჩვენს ქალიშვილს უნებურად თმას წიწკნის, რის გამოც გოგონა კრუსუნებს, - „ბევრი უნდა იწვალო".

როდესაც სასტუმროს ჭიშკართან მივდივართ, უკვე ბნელა. ოცი წლის ტყუპებს - რიკოს და როკოს, რომელთაც ხუჭუჭი თმა უბზინავთ, ვიწრო თეთრი ჯინსები აცვიათ და შარვლების ჯიბეეში ერთნაირი აიფონები უწყვიათ - თავიანთი საქმიანობა დაუმთავრებიათ და ყუთში რეკვიზიტს აწყობენ. „იქსფაქტორის შოუზე მეორე ადგილი დავიკავეთ ესპანეთში", გვეუბნებიან ისინი ჩვენი შეკითხვების პასუხად. ღამე მშვიდობისას ვუსურვებთ და ვცდილობთ, ჩვენმა გოგონებმა არ დაინახონ ძმების შარვლების ამონაბურცები, რომელთა შესახებ მათ კიდევ მრავალი წლის განმავლობაში არაფერი უნდა იცოდნენ (ყოველ შემთხვევაში, სანამ თორმეტი წელი არ შეუსრულდებათ). ლიფტებში მეგობრებს ვშორდებით და ავდივართ ჩვენს ოთახში, რომელიც არაფრით განსხვავდება ამ სასტუმროს სხვა ოთახებისგან. შვილებს საწოლებში ვაწვენთ დაჩვენ0 ლეპტოპებითა და ტელეფონებითურთ აივანზე ვსხდებით. ჩემი ქმრის ტვიტერს ვათვალიერებ, ისე, როგორც ვიქცევი ყოველ ღამე, იანერიდან მოყოლებული. სხვა აივნებზეც სხედან მამაკაცები და ქალები, რომლებიც იმავე საქმიანობით იქცევენ თავს. ქვემოთ მიედინება ნეონისფრად ლურჯი, თვალისმომჭრელად ლურჯი, ფეისბუქურად ლურჯი ნელი მდინარე. მასში მდგარი მამაკაცი ჯაგრისიანი გრძელი ჯოხით ასუფთავებს ნელი მდინარის ფსკერსა და ნაპირებს ჩვენ მიერ დატოვებული ნაგვისგან.

© The New Yorker,
2017, 18 & 25 დეკემბერი

1. ნელი ანუ „ზარმაცი" მდინარე - გასართობი ინფრასტრუქტურის პოპულარული ელემენტი ნებისმიერ აკვაპარკში. ესაა აუზი, რომელიც გაფორმებულია რამდენიმე ათეული (ზოგჯერ რამდენიმე ასეული) მეტრის სიგრძის მდინარის სახით. საგანგებო ტუმბოების მეშვეობით წყლის ნაკადი წამში 0,5-1,5 მ სიჩქარით მოძრაობს. ნელი მდინარის სიღრმე 0,8-1,2 მეტრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აკირა მიკიტო

თარგმნა ბექა ბარქაია



მართალია, კომპიუტერული პროგრამების მიერ შექმნილი პოეზია აღარავის უკვირს და ერთმანეთისგან სულ უფრო რთული გასარჩევი ხდება ადამიანის მიერ დაწერილი და კომპიუტერული პროგრამებით გენერირებული ლექსები, მაგრამ არიან პოეტები, რომლებიც ინტენსიურად ექსპერიმენტირებენ არა მაინც და მაინც პოეტური შთაგონების პირობითობის ან მისი დასასრულის ხაზგასასმელად, არამედ - ახალი ტექნოლოგიების ზეგავლენით შექმნილ ახალ კონტექსტში პოეტური ტექსტის აქამდე ნაკლებად აქცენტირებული შესაძლებლობების წარმოსაჩენად. მათ შორის არის იაპონური პოეზიის ახალი თაობის წარმომადგენელი აკირა მიკიტო (დ. 1984), რომელიც თავის თავს იაპონური პოეზიის კლასიკოსთა, ტანიკავა შუნტაროსა (რომელიც ტარიელ ჭანტურიამ გასული საუკუნის 80-იან წლებში თარგმნა ქართულად) და მაკოტო ოოკას მოწაფედ მიიჩნევს. ის ჰაიკუს არაორთოდოქსული, თავისუფალი ფორმის მიმდევარია, იმავდროულად კი ტრადიციული ესთეტიკისა და ლოგიკური ენის შეერთებას ცდილობს.

მიკიტოს პოეზია, ავტორის თანახმად, ხელოვნური ინტელექტის კონტექსტში, მაგრამ აუცილებლად ხელით იწერება, ანუ ეს არ არის კომპიუტერული პოეზია გავრცელებული გაგებით, არამედ ტრადიციულ პოეზიაში ლოგიკურ-მათემატიკური ინსტრუმენტების ინტეგრირებით და კომპიუტერული პროგრამების ეპოქის გათვალისწინებით შექმნილი ლირიკაა. აქ საქმე ეხება არა კომპიუტერის მიერ გენერირებულ, ლოგიკურად საზრისიან და შინაარსობრივად უსაზრისო ტროპებს, არამედ - შინაარსობრივადაც და ფორმალურადაც გასაზრისიანებულ ტექსტებს. საქმე ის არის, თუ რა მექანიზმით ხდება მათი ამუშავება. მიკიტოს ხელოვნების ფუნქციონირების სწორედ ეს ასპექტი აინტერესებს. მისთვის ნებისმიერი პოეტური ტექსტი მკითხველში ინდივიდუალური საზრისის მწარმოებელი არაინდივიდუალური მანქანაა, რომელიც გვიბიძგებს, ყურადღება გავამახვილოთ ლექსის ინსტრუმენტულ დანიშნულებაზე.

თვით პოეტი, მიკიტოს აზრით, მხოლოდ კარგი ხელოსანი უნდა იყოს და მკითხველში ემოციური და ინტელექტუალური ტკბობის გამომწვევ პოეტურ-მუსიკალურ ნარდახშებს ამზადებდეს. ავტორის ასეთი ფილოსოფია საქმეში ჩახედულ მკითხველს, ცხადია, ედგარ პოს „ყორნის" ავტოანალიზს, ფრანგი სიმბოლისტების ესთეტიკას, მაიაკოვსკის ლექსის კეთების აპოლოგიას, მაქს ბენზეს და შტუტტგარტის სკოლის ძიებებს, ექსპერიმენტული პოეზიის უკვე გახალხურებულ ვარიანტებს და უამრავ სხვა მსგავს ტრადიციას გაახსენებს, საჭადრაკო კომბინატორიკაზე რომ აღარაფერი ითქვას. როგორც ამ ტრადიციის ადრეულ ნიმუშებში, იაპონელი ავტორის პოეზიაშიც შთაგონების ფსიქოლოგიასა და ლექსის კეთების ლოგიკას შორის მარადიული კონფლიქტი პროგრამულად შიშვლდება თვით პოეტური არტეფაქტის რეპრეზენტირების პროცესში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ ინტერვიუში პოეტმა აღნიშნა, რომ ის წერს არა ლექსებს, არამედ - მინიმალისტურ სტრუქტურებს; რომ უკვე დადგა დრო, როცა პოეტებმა ლექსების მიღმა უნდა გადაიხედონ და ის ერთი შეხედვით აბსტრაქტული მთლიანობები გამოიძიონ, რომლებიც ყოველთვის იგულისხმებოდნენ პოეტური ტექსტების უკან და მათ პოეტურ ონტოლოგიას უზრუნველყოფდნენ. მიკიტო აღნიშნავს: „შედით იმ ბაღში, სადაც შთაგონების წარმომქმნელი ლოგიკური სტრუქტურები ხარობენ. ყველა ეს სტრუქტურა ინდივიდუალურ ფორმას, ფერს და მოძრაობის უნარს ფლობს. კომბინატორიკის უკვე დაძველებული და ინერციით შენარჩუნებული ფორმების მიღმა კომბინატორიკის ახალ-ახალი შრეები იმალება. ხოლო თუ მაინც და მაინც შთაგონების კლასიკური და პოსტკლასიკური კანონებით წერას, კოლაჟის თუ ალუზიის, რემინისცენციის თუ მოდიდან გადასული პოსტმოდერნული იდეების გამოყენებას თავს ვერ ანებებთ, ადექით და უბრალოდ სიამოვნებით იკითხეთ ეს ძველი ტექსტები, მათ გაუთავებელ დუბლირებას კი თავი ანებეთ".

აღსანიშნავია, რომ მიკიტო თავისი ჰაიკუების თითოეულ ციკლს, სონეტების გვირგვინის ანალოგიით, ჰაიკუების გვირგვინს უწოდებს, რომელშიც, მისივე სიტყვებით, „ერთმანეთს ხვდებიან ენის, ლოგიკის, ფსიქოლოგიის და კოსმიური ლტოლვების ყველაზე უფრო ბნელი და საშიში დემონები და ყველაზე უფრო კაშკაშა ანგელოზები, და მათთვის შთაგონება სიცრუეა, პოეტური ენერგიის, საბედისწერო პოეტური გადაწყვეტილებების სტენოგრაფია და მეტიც არაფერი". პოეტი ასეთი გვირგვინების აგებისთვის საუკეთესო, ოპტიმალურ თემატურ სქემად ტრიადულ კარკასს მიიჩნევს, თუმცა იგი თავის შემოქმედებაში ბინარული, კვარტეტული და კვინტეტური სქემებითაც ექსპერიმენტირებს.

რაც შეეხება ამა თუ იმ თემით შეკრული და კომბინირებული თითოეული გვირგვინის შემადგენელ ჰაიკუებს, ისინი ერთდროულად ჩაკეტილ, ავტონომიურ მონადებსაც განასახიერებენ და ლოგიკური დერეფნებით ერთმანეთსაც უკავშირდებიან, რათა ერთმანეთი განმარტონ ან უარყონ, დააზუსტონ ან გაამწვავონ. პირველ რიგში კი, ისინი განუწყვეტლივ მოძრაობენ ერთმანეთთან დიალოგის მრავალი მიმართულებით დაქსაქსული პროცესით და არა უბრალო ვარიაციებით, არამედ ვეგეტატიური გამრავლების მოულოდნელობებით ტკბობისკენ უბიძგებენ მკითხველს. ამ უკანასკნელს არ უნდა გამოეპაროს მიკიტოს ტექსტების სპეციფიკური იუმორი და თვითირონია, რომელიც განსაკუთრებით იქ შლის ფრთებს, სადაც სერიოზულობა თავის პიკს აღწევს.

ჰაიკუების წინამდებარე ციკლი თარგმნილია გერმანულიდან, გამომცემლობა „ანგკორის" თავაზიანი ნებართვით. თარგმანში ნაცადია ყველა იმ პოეტური ნიუანსის შენარჩუნება (ზოგჯერ გაქართულებაც კი), რომელზეც ჩემმა მეგობარმა იაპონელმა გერმანისტებმა მიმითითეს. მათვე ვუხდი მადლობას ამ ავტორის პოეზიით ჩემი დაინტერესებისთვის.

***მთარგმნელი***

# ღრუბელი და ქალი და ქოლგა

## *ტემპორალურ-კომბინატორული ანალიზი*



**1.**

როცა ღრუბელი დასავლეთის ძლიერმა ქარმა უკუაქცია,
ქალის თავზემოთ ქოლგა ჰგავდა
გლოვის ნიშნად დაშვებულ ალამს.

**2.**

ქალს თითქოს რაღაც გაახსენდა
და მეყვსეულად
ღრუბელი ქოლგით მოიგერია.

**3.**

მძიმე ღრუბელი
თვალს არ აშორებს
ქალის მკლავზე დარწეულ ქოლგას.

**4.**

როცა ღრუბელი გამოჩნდება,
ქალიც და ქოლგაც
რეალობის გრძნობას კარგავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**5.**

ქალი
ქოლგის სიმაღლიდან
უღიმის ღრუბელს.

**6.**

ქალი არ ჩქარობს ქოლგის დაკეცვას:
დაღლილ ღრუბელს
რა ხანია ჩამოეძინა.

**7.**

ნუთუ მზე იყო,
რასაც ღრუბელს ქალის თვალში უმალავდა
ერთგული ქოლგა?!



**8.**

ქოლგას არ ეცნო ის ღრუბელი,
რომელიც ქალმა
მაშინვე იცნო.

**9.**

ქალის ნაბიჯთა სიმსუბუქესთან
ღრუბლის სიმძიმის ჰარმონიას
უზრუნველყოფს გაშლილი ქოლგა.

**10.**

ღრუბელს
სახლისკენ მიუძღვიან
ქოლგა და ქალი.

**11.**

ღრუბლის ჩრდილი და ქოლგის ჩრდილი
ქალის ჩრდილმა
ერთურთს წაჰკიდა.

**12.**

როცა ღრუბელმა
ქოლგიან ქალს თვალი შეავლო,
სულ იოლად გამოიცნო მისი ფიქრის მიმართულება.

**13.**

როცა ტუია უკან დარჩა,
ღრუბელი მიხვდა:
ქალს ქოლგის ქვეშ მხარი ოდნავ დამძიმებოდა.

**14.**

ქალმა
ღრუბელთან საპაექროდ
ქოლგას მოუხმო.

**15.**

ქალის და ღრუბლის ჩუმ დიალოგს
ყურს უგდებს ქოლგა,
ვიდრე სრულად დაიკეცება.

**16.**

ღრუბელი უფრო ადრე მივიდა
აყვავებული ალუბლის ხესთან,
ქალმა და ქოლგამ პაემანი სადაც დაუთქვეს.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

**17.**

ქალის ხელისგულს
ქოლგა სითბოს უცვლიდა და ასე ფიქრობდა:
„ცვალებადი გული აქვს ღრუბელს".

**18.**

ქოლგას ალუბლის ყვავილებმა შეახსენეს
ძველისძველი ჭეშმარიტება:
ქალი ღრუბლით შეიცნობა, ღრუბელი - ქალით.

**19.**

ქალმა
ღრუბლის გასაგონად
დაკეცა ქოლგა.

**20.**

ქალმა იხილა:
ტყუპი ძმებივით ჰგავდნენ ერთურთს
ღრუბელი და გაშლილი ქოლგა.

**21.**

ამჯერადაც ხიდია ქოლგა,
სადაც ერთმანეთს უნდა შეხვდნენ
ქალის მსუბუქი ნაბიჯი და მძიმე ღრუბელი.

**22.**

ქოლგას არ სურდა გაშლილიყო,
ქალის თვალებში
ღრუბელი რომ აღმოაჩინა.

**23.**

როცა ქალს ხელში ქოლგა უჭირავს,
მისი გულისთქმა
ნატრობს დარდით აღსავსე ღრუბელს.

**24.**

ქოლგა ღრუბლისგან
ქალის თვალებს
ერთგულად იცავს.

**25.**

ნაცნობ სახლს თვალი როცა მოკრა,
ქალმა ისე დაკეცა ქოლგა,
თითქოს საშველად ღრუბელს უხმობდა.

**26.**

ნაღვლიანი ღრუბელი ხედავს:
სახლის კუთხესთან ქალი უკვე გაუჩინარდა,
ქოლგა - ჯერ არა.



**27.**

ქალი და ქოლგა
აყვავებული ალუბლის ხესთან
ღრუბელს ელიან.

**28.**

როცა ღრუბელი
ქოლგამ ავად მოიხსენია,
ქალმა იგი უმალ დაკეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**29.**

ტუიას ხეს არც ამჯერად გამოპარვია:
ღრუბელს კვალში ჩადგომოდნენ
ქალი და ქოლგა.

**30.**

გაზაფხულისკენ აჩქარებულ ქალის თვალებში
მოგზაურ ღრუბელს
ისევ ჯიუტად არ იმჩნევს ქოლგა.

**31.**

ქოლგას და ღრუბელს
ერთადერთი არჩევანი დაუტოვა ქალის სურვილმა:
მათ ერთმანეთს სამუდამო მტრობა შეჰფიცეს.



**32.**

ღრუბელს ალუბლის ყვავილებმა შეახსენეს
ძველისძველი ჭეშმარიტება:
ქოლგა ქალით შეიცნობა, ქალი კი - ქოლგით.

**33.**

რას ედავება ქალი ღრუბელს
თავის სიზმარში,
ქოლგის მეტმა არავინ იცის.

**34.**

როცა ღრუბელმა აყვავებული ალუბლების ხეივანში
ქალის გვერდით მიმავალი ქოლგა შენიშნა,
მის ღიმილში ღიმილი გაკრთა.

**35.**

ქალმა
ქოლგასთან საპაექროდ
ღრუბელს მოუხმო.

**36.**

მზერის არიდან გაუქრნენ ღრუბელს
ალუბლის ხესთან მოწრიალე
ქალი და ქოლგა.

**37.**

დასავლეთის ქარს როცა ებრძვის გაშლილი ქოლგა,
ქალის ღიმილს და მძიმე ღრუბელს
ერთი წონა აქვთ.

**38.**

ქოლგამ იხილა:
ქალს ის სახლში დარჩენოდა,
რაც ღრუბელმა არ შეიმჩნია.

**39.**

ქალის ღიმილმა
ქოლგა სწორედ მაშინ გაშალა,
როცა ღრუბელს მის თვალებში ჩახედვა სურდა.

**40.**

აღელვებული ქალის სუნთქვასთან
შემხვედრი ღრუბლის ჰარმონიას
კვლავ მორჩილად უზრუნველყოფს გაშლილი ქოლგა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

41.

რას ედავება ქოლგა ღრუბელს
მისივ სიზმარში,
ქალის მეტმა არავინ იცის.

42.

ღრუბელი ნატრობს -
დაეხანა დარჩეს ქალის თვალებში,
მაგრამ აქ ქოლგა ფრთებს შლის ლონივრად.

43.

ქალი და ქოლგა
მძიმე ღრუბელს მთისკენ ისე მიაცილებენ,
ვით მასპინძლები - სასურველ სტუმარს.

44.

როცა ქალი თვალს შეავლებს კრიალა ზეცას,
ქოლგის წონა
ღრუბლის წონას აღემატება.

45.

„ქალის მფარველი ანგელოზი რომელია:
ღრუბელი? ქოლგა?" -
ტუიას ხეს მოსვენება დაუკარგა ამაზე ფიქრმა.

46.

ღრუბელს ხილვისთვის დრო არ ეყო:
სახლის კარმა გაიჭრიალა
და გამოვიდნენ ქალი და ქოლგა.

47.

ქალს და ქოლგას
როცა არსად ეჩქარებათ,
ჩქარობს ღრუბელი.

48.

როცა ქალი თვალს უსწორებს ღრუბლის სიმძიმეს,
ქოლგა ფერს იცვლის,
მაგრამ - რომელს ან მერამდენეს?

49.

ყვავილებისგან განძარცული ალუბლის ხესთან
ქალი და ქოლგა ყურს უგდებდნენ
ღრუბლის სიჩუმეს.

50.

მსუბუქ ქოლგას და ღრუბლის სიმძიმეს
ქალის ღიმილი
კიდევ ერთხელ აწონასწორებს.

51.

ქალით და ქოლგით ტკბობის სურვილმა
სულ მცირე ხნით გამოსტაცა
ელჭექს ღრუბელი.

52.

ქალმა
ღრუბლის სიმაღლიდან
დახედა ქოლგას.



ეროვნული ბიბლიოთეკა

**53.**

ნუთუ მზე იყო,
რაც ქოლგამ ღრუბელს ნიშნისმოგებით
ქალის თვალში გამოუჩინა?!

**54.**

ქალს ალუბლის ყვავილებმა შეახსენეს
ძველისძველი ჭეშმარიტება:
ქოლგა ღრუბლით შეიცნობა, ღრუბელი - ქოლგით.

**55.**

ქალის ქოლგაზე გამობმული
ღრუბელი ფიქრობს:
„მე ღრუბელი ვარ?"

**56.**

დაღლილი ქალი მძიმედ სუნთქავს,
ქოლგა ამშვიდებს.
ღრუბელი ქალაქს ეს-ესაა დაემშვიდობა.

**57.**

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გაშლილ ქოლგას უტვირთია
შავი ღრუბლის მთელი სიმძიმე,
რათა ქალმა მოკირწყლული ხეივანი მსუბუქად განვლოს.

**58.**

ქარით ნაცემ ალუბლის ხესთან,
მძიმე ღრუბელზე დამიზნებული
ქოლგა ქალის გულს დამიზნებია.

**59.**

„ეს პოეტური ღრუბელი იყო", - ასე თქვა ქალმა.
„ეს ღრუბელი ჩვენ დავკრძალეთ", - ასე თქვა ქოლგამ.
„ყველა ღრუბელი ეს ღრუბელია", - ამბობს პოეტი.

**60.**

ღრუბელს ღიმილმა უცვალა ფერი,
როცა ქალმა
ქოლგას რაღაც უხმოდ უბრძანა.

**61.**

როცა სახლიდან
თეთრ ღრუბელთან შესახვედრად გამოდის ქალი,
გულისცემა უჩქარდება დაკეცილ ქოლგას.

**62.**

ერთგული ქოლგით თანხლებული
ქალი უმზერდა
თავის თვალებში მოგზაურ ღრუბელს.

**63.**

ამღვრეულ ტბაში
ქალის ქოლგით დაჩხვლეტილი
ღრუბელი გდია.



**64.**

და
ასე
შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იენ ბურუმა

# ვ.ს. ნაიპოლი - ემიგრანტთა პოეტი

*ინგლისურიდან თარგმნა თინათინ ფალიაშვილმა*



ნაიპოლის ჭირვეული ხასიათის შესახებ ლეგენდები დადიოდა. მწერალი პირველად 1991 წელს ვნახე, ბერლინში, საზეიმო შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა გერმანიაში მისი ბოლო წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით. მომლიმარმა ოფიციანტმა გოგონამ ნაიპოლს კარგი თეთრი ღვინო შესთავაზა. მწერალმა ბოთლი გამოართვა, ერთხანს ეტიკეტს ისე ათვალიერებდა, როგორც ფერწერული ტილოებით მოვაჭრე ათვალიერებს ხოლმე საეჭვო სურათს, შემდეგ ბოთლი დააბრუნა და ჩაიბუზღუნა, მოგვიანებით დავლევ, მოგვიანებით დავლევო (ნაიპოლს ფრაზების განმეორება სჩვეოდა).

ნაიპოლის ჭირვეულობას მწერლის სამგზაო ჩანაწერებიც ადასტურებს. მას შეეძლო სკანდალი აეტეხა ნებისმიერი მიზეზის - უსუფთაო პირსახოცების, თვითმფრინავში - არასათანადო მომსახურების, რესტორანში კი - უხარისხო კერძების გამო, და ყოველივე ამას პირად შეურაცხყოფად მიიჩნევდა.

ნაიპოლისთვის დამახასიათებელი იყო გამძაფრებული თვითცნობიერება. მის პირველ სამოგზაურო ჩანაწერებში ინდოეთის შესახებ, სახელწოდებით „წყვდიადის ტერიტორია“ (1964), მოთხრობილია, როგორ მოინახულა მან თავისი სოფელი უტარპრადეშის ღარიბულ რაიონში, სადაც ვიღაც დედაბერმა ხელი სტაცა ნაიპოლის მბზინვარე ინგლისურ ფეხსაცმელს. ნაიპოლი იმდენად დათრგუნული იყო ნანახით, რომ მოინდომა, რაც შეიძლება სწრაფად გაცლოდა ამ მიყრუებულ სოფელს, რომელიც ბაბუამისმა მრავალი წლის წინ დატოვა. ეს ვიზიტი უსარგებლო აღმოჩნდა და მქენჯნავი ფიქრების გარდა, არაფერი მოუტანა მწერალს.

იქნებ, ნაიპოლი ქედმაღალი, გოროზი ადამიანი იყო, რომელიც ბაძავდა ინგლისელი სნობების მანერებს? ან, შესაძლოა, მას, როგორც ბრაჰმანთა შთამომავალს, არ სურდა თავი გაეყადრებინა დაბალი კასტების წარმომადგენლებისათვის? ორივე ვარაუდი არასწორია. ნაიპოლის ჭირვეულობა უფრო იმ თვისებას ნაავავს, რომელსაც თვით მწერალი კოლონიური ქვეყნიდან ადგილგადანაცვლებული ადამიანის „გაშიშვლებულ ნერვებს“ - მძაფრ მგრძნობიარობას უწოდებდა, ეს კი იმით აიხსნება, რომ ნაიპოლი იმპერიის პროვინციულ შორეულ კუთხეში დაიბადა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდა რასობრივი ცრურწმენების წინააღმდეგ, იმისთვის, რომ ყოფილიყო მწერალი, რომ თავისი წვლილი შეეტანა იმაში, რასაც გლობალურ ცივილიზაციას უწოდებდა. ბინძური პირსახოცები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხეირო მომსახურება და მისი სამშობლოს სილატაკე შეურაცხყოფდა მწერლის ღირსებას.

გაშიშვლებულმა ნერვებმა ნაიპოლი იმპერიის აპოლოგეტად როდი აქცია. ის ვერ ივიწყებდა ბოროტმოქმედებებს, რომლებიც თეთრკანიანმა ევროპელებმა ჩაიდინეს მის სამშობლოში. მწერალი იმპერიას ყოფილი კოლონიების დაპყრობაში ადანაშაულებდა. მოთხრობაში „ელდორადოს დაკარგვა" (1969), რომელშიც საუბარია მისი მშობლიური ტრინიდადის შესახებ, ნაიპოლი დეტალურად აღწერს, როგორ გაანადგურა დამპყრობელთა თავდასხმებმა მთელი ხალხები და მათი კულტურები. მათი თარეშის შედეგად ამ ქვეყნების მოსახლეობა დღესაც ჩამორჩენილი და დაბეჩავებულია. მათ დაკარგეს ის, რასაც ნაიპოლი ერის, კულტურის მონოლითურობას უწოდებს, და, შედეგად, რევოლუციური ფანტაზიებისა და რელიგიური ფანატიზმის ჭაობში გადავარდნენ.

ნაიპოლი მონოლითურობას უდიდეს როლს ანიჭებდა. ამ ცნებაში ის გულისხმობდა კულტურულ მეხსიერებას, სივრცისა და იდენტობის მყარ შეგრძნებას. მისთვის მნიშვნელოვანი იყო ისტორია, ისევე, როგორც ლიტერატურული ტრადიციები, რომლებზეც ამოიზრდებოდა მწერალთა ახალი თაობები. ნაიპოლი წუხდა, რომ ტრინიდადი ვერ მისცემდა მას საშუალებას, დაყრდნობოდა იქაურ ტრადიციებს, გარდა მოგონებისა რამდენიმე ბრაჰმანული რიტუალის შესახებ და, ასევე, წიგნებიდან შორეული ევროპული ქვეყნის შესახებ, სადაც განუწყვეტლივ წვიმდა - ამ ქვეყნის შესახებ მას ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. ნაიპოლის წარმოდგენით, ინგლისი მონოლითური (კულტურულ თვალსაზრისით) ქვეყანა იყო. ბავშვობისას მას ასეთივე ქვეყნად ესახებოდა ინდოეთი (ფაქტობრივად, სამხრეთამერიკელი პედაგოგის წყალობით, რომელიც ნაიპოლს ტრინიდადის სკოლაში ასწავლიდა, მან გაცილებით მეტი რამ იცოდა ძველი რომის, ვიდრე - ნებისმიერი სხვა ქვეყნის შესახებ).

როდესაც მწერალმა, ბოლოს და ბოლოს, ინდოეთის მონახულება შეძლო, იმედები გაუცრუვდა. ინდოეთი „დაკნინებული ცივილიზაციის ქვეყანა" იყო, რომელიც გააჩანაგა და გამოფიტა მაჰმადიანთა თავდასხმებმა და ევროპულმა კოლონიალიზმმა. ნაიპოლი მიხვდა, რომ ინდოეთი მისთვის ისევე უცხო იყო, როგორც - ტრინიდადი ან ინგლისი. ამიტომ მოინდომა ეპოვა თავისი ადგილი ლიტერატურის სამყაროში, სადაც წიგნები იხსნიდა მიუსაფრობის განცდისგან. მწერლის მამა, სიპერსად ნაიპოლი, ცდილობდა ამაღლებულიყო თავის სოციალურ წრეზე ჟურნალისტური საქმიანობის წყალობით. ის, ასევე, წერდა მოთხრობებს, რომლებიც (როგორც სიპერსადი ამაოდ იმედოვნებდა), შესაძლოა, ინგლისში გამოექვეყნებინათ. მწერლობა მამა-შვილისთვის პროფესიაზე მეტი რამ იყო. ეს გან-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლდათ მოწოდება, რომელიც, ამასთან, ერთგვარ სოციალურ უპირატესობას ანიჭებდა ამ პროფესიის წარმომადგენლებს .

ნაიპოლის ყველაზე ცნობილ რომანში - „სახლი მისტერ ბისვასისთვის“ (1961) - აისახა მწერლის მოგონებები მამამისის ჟურნალისტური საქმიანობისა და გაცრუებული იმედების შესახებ. თავისი ბავშვობის სამყაროს ასახვის მეშვეობით ნაიპოლმა შეძლო, შეექმნა საკუთარი ნიშა მსოფლიო ლიტერატურულ ცივილიზაციაში. ის ხშირად ეუბნებოდა ჟურნალისტებს, რომ მისი რეალური ცხოვრება მხოლოდ მისსავე წიგნებში მიმდინარეობდა.

მართალია, გამიშვლებული ნერვების გამო ნაიპოლი ხშირად იტანჯებოდა, მაგრამ ისინი, აგრეთვე, ამკვეთრებდნენ მის თვალთახედვას. მწერალს კარგად ესმოდა, რას განიცდიდნენ ადამიანები, რომლებიც, კულტურული თვალსაზრისით, ემიგრაციაში იმყოფებოდნენ და ცდილობდნენ თავი ენუგეშებინათ რელიგიური ან პოლიტიკური ფანტაზიებით. ამ ფანტაზიებს ისინი ხშირად სხვა კულტურებიდან სესხულობდნენ და მათ ულაზათო იმიტირებას ახდენდნენ. ასეთ მცდარ ნაბიჯებს ნაიპოლი ზუსტად, და ხშირად კომიკურად აღწერდა თავის ნაწარმოებებში. მისი იუმორი ულმობელი იყო და ინტერვიუებში ლიბერალურად განწყობილ ჟურნალისტებთან ხშირად გამიზნული პროვოკაციის ფორმასაც იღებდა. საყურადღებოა, რომ მწერალი პოსტკოლონიურ საზოგადოებათა მოუშუშებელი ჭრილობების სენტიმენტალიზაციას არ ახდენდა და მათი აწმყოსა და მომავლის შესახებ საღად მსჯელობდა.

ნაიპოლის ნაწარმოებებს შორის ყველაზე მეტად მიყვარს არა „მისტერ ბისვასის სახლი“ ან გვიანდელი რომანი „მდინარის კლაკნილი“ (1979), არც - წიგნები ინდოეთის შესახებ ან 1987 წელს დაწერილი შედევრი „გამოჩენის საიდუმლო“, არამედ თხელტანიანი წიგნი, სახელწოდებით „ცენტრის ძიება“ (1984). ის შედგება ორი ვრცელი ესესგან, რომელთაგან ერთში აღწერილია ნაიპოლის როგორც მწერლის ჩამოყალიბებისა და მის მიერ საკუთარი სტილის ძიების პროცესი, მეორეში კი - სპილოს ძვლის ნაპირზე მოგზაურობა 1982 წელს. პირველ თხზულებაში ის მკაფიოდ ახასიათებს თავის მსოფლხედვას. მწერლის მიზანია, შეიმეცნოს საკუთარი თავი და, ასევე, იმ ქვეყნების პოლიტიკა და ისტორია, რომლებშიც მოგზაურობს. საინტერესო ადამიანებთან შეხვედრებისას მწერალი ცდილობს ჩასწვდეს იმას, თუ როგორ მოიაზრებენ ისინი თავიანთ თავს იმ სამყაროსთან მიმართებაში, რომელშიც ცხოვრობენ.

„ცენტრის ძიების“ მეორე ნაწილს ეწოდება „იამასუკროს ნიანგები“. აქ საინტერესოდაა აღწერილი მჭიდროდ დასახლებული აფრიკული ქვეყანა. წიგნში გადმოცემულ მრავალფეროვან ისტორიებში (ზოგიერთი მათგანი ფანტასტიკურია) უცხოელები, და, ასევე, ადგილობრივი მცხოვრებნი ფიგურირებენ.

აფროამერიკელები აფრიკაში წარმოსახულ აფრიკას ეძიებენ. შავკანიანი მარტინიკელი ქალი გაურბის კვაზიფრანგული სნობიზმის სამყაროს, ხოლო თვით აფრიკელების მონოლითური კულტურა, ნაიპოლის აზრით, ცოცხლობს და ვითარდება მიმიკრიის თხელი შრის ქვეშ. წინაპართა კულტურა ცოცხლდება ხოლმე ღამით, როდესაც დავიწყებას ეძლევა თანამედროვე ყოველდღიური ქალაქური ყოფა.

აფრიკაში ცხოვრება ნაიპოლს აგონებს ტრინიდადზე გატარებულ ბავშვობას, როდესაც კარნავალის დროს თეთრკანიან მჩაგვრელთა სამყაროს ენაცვლებოდა ამობრუნებული მსოფლწესრიგი და მონების შთამომავლები აფრიკელ მეფეებად და დედოფლებად იქცეოდნენ. აქ თავს იჩენს აფრიკული ცხოვრების უჩვეულო, რომანტიკული ხედვა, წარმოდგენა, რომ იძულებით დამკვიდრებული ცივილიზაციის საფარქვეშ იმალება მონოლითური კულტურა. შესაძლოა, აქ ნაიპოლის ფანტაზიები უფრო აისახა, ვიდრე - ცხოვრებისეული რეალობა. მართალია, ნაიპოლი ყოველთვის ფხიზლად მსჯელობს რელიგიურ ფანატიკოსთა მიზნების, მესამე სამყაროს ადამიანთა მიმიკრიისა და ეგრეთ წოდებული პოლიტიკური ფიგურების შესახებ, მაგრამ მისი წარმოდგენა მონოლითურობის შესახებ, ერთგვარად, სენტიმენტალურია.

მახსოვს, ზაფხულის ერთ დღეს, ინგლისში, უილტშირში, ნაიპოლთან ერთად ავტომანქანით მივემგზავრებოდი. მწერალი მიამბობდა თავისი მძღოლის - ადგილობრივი მცხოვრების შესახებ. მისი თქმით, მძღოლს განსაკუთრებით უყვარდა თავისი სამშობლო და ის მიწა, სადაც მისი წინაპრები იყვნენ დაკრძალული. ამ მიწის პირმშო იყო, და გრძნობდა, რაოდენ მყარი კავშირი ჰქონდა წინაპრებთან, ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ნაიპოლისთვის. „წარმოგიდგენია? წარმოგიდგენია?“, მეკითხებოდა ის.

დარწმუნებული არა ვარ, რომ ნაიპოლის მძღოლი მართლა ასე ფიქრობდა, მაგრამ ის ამგვარად წარმოუდგებოდა მწერალს. ნაიპოლს აღელვებდა ემიგრანტთა ნოსტალგია და სულიერი ტკივილები. ის ემიგრანტთა უდიდესი პოეტი იყო.

ცივილიზაციათა წარმოსახულ მონოლითურობას მწერალი ზოგჯერ ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. ალბათ, ამიტომაც თანაუგრძნობდა ინდურ ნაციონალიზმს. მისი აზრით, ამჟამად მთელი ინდური ცივილიზაცია აღმავლობას განიცდის მაჰმადიანური ან დასავლური თავდასხმებისა და ექსპლუატაციის შემდეგ.

არ არსებობს არავითარი მონოლითური ცივილიზაცია. მაგრამ ნაიპოლის ზოგიერთი შესანიშნავი ქმნილება გამსჭვალულია ნოსტალგიით მის მიმართ. თუმცა მწერალი წარმოდგენას მონოლითური ცივილიზაციის შესახებ ინდოეთს ან ინგლისს უკავშირებდა, მაგრამ ამგვარი წარმოსახული ცივილიზაცია არც ერთი ერის დამახასიათებელი არაა. ესაა ოდენ ლიტერატურული, სეკულარული, განმანათლებლური იდეა, რომელიც ასახულია ნაიპოლის ნაწარმოებებში. სწორედ ის იყო ნაიპოლის „სამშობლო“ და საარსებო სივრცე.

*© The New York Review of Books,*
*13 აგვისტო, 2018*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ვ.ს. ნაიპოლი

# მწერლის არსის შესახებ

*ინგლისურიდან თარგმნა თინათინ ფალიაშვილმა*



მართალი გითხრათ, თვითონაც არ ვიცი, როგორ გავხდი მწერალი. შემიძლია დავასახელო რამდენიმე თარიღი და ჩემი ლიტერატურული კარიერის ზოგიერთი ფაქტი, მაგრამ თვით ეს პროცესი ჩემთვის ახლაც იდუმალია. მაგალითად, გაუგებარია, რატომ დავისახე მიზნად მწერლობა, თანაც, ეს მიზანი დავისახე გაცილებით ადრე, სანამ მოვიფიქრებდი თემებსა და სიუჟეტებს, რომლებზეც უნდა ამეგო ჩემი ნაწარმოებები.

მახსენდება, რომ 1950 წელს, როდესაც ოქსფორდში სწავლა დავიწყე, დიდხანს ვსეირნობდი ხოლმე. მახსოვს გზები, ავტომანქანები, რომელთა ბორბლებისგან მონაბერი ქარი შემოდგომის ფოთლებს აფრიალებდა. თავს ვეკითხებოდი, რაზე უნდა ვწერო-მეთქი. მანამდე ძალ-ღონე არ დამიშურებია, რომ სახელმწიფო სტიპენდია მიმეღო, ოქსფორდში მესწავლა და მწერალი გავმხდარიყავი. მაგრამ ახლა, ოქსფორდში, წარმოდგენა არ მქონდა, რაზე უნდა მეწერა. და რომ არა მწვავე მოთხოვნილება, - თითქმის პანიკა, - ალბათ, წერას ვერასოდეს დავიწყებდი. ძალზე მაცდუნებელი იყო აზრი იმის შესახებ, რომ შემეძლო ამ მიზნის განხორციელება გაურკვეველი დროით გადამევადებინა, ისე, როგორც მოსკოვიდან უკან დახევის დროს ნაპოლეონის ჯარისკაცები სამომავლოდ გადადებდნენ ხოლმე ნანატრ ძილს.

ვფიქრობდი, დაჯდომა და ნაწარმოების წერა არაბუნებრივი, ხელოვნური საქმიანობაა-მეთქი. ამ გრძნობას კვლავაც განვიცდი მრავალი წლის შემდეგ, როდესაც წიგნის დაწერის სურვილი მიჩნდება (შემოქმედებით მუშაობას ვგულისხმობ). ვერავითარ მიმზიდველ თემას ან სიუჟეტს ვერ ვპოულობ ხოლმე. ასე რომ, ბევრი რამ უცვლელი დარჩა. თავდაპირველად ვწერ ნაწარმოების შესავალი ნაწილის რამდენიმე უხეირო ვარიანტს, სანამ, ბოლოს, ჭეშმარიტი იმპულსის კარნახით, ერთი წლის განმავლობაში ჩავუჯდებოდე სამუშაოს. მაგრამ ესეც იდუმალია - როგორ ხდება, რომ ადამიანი (ყოველგვარი საგანგებო მცდელობის გარეშე) სწვდება საკუთარი სულისა და შინაგანი გამოცდილების ყველაზე ღრმა შრეებს?

ზოგადად, ლიტერატურული ფორმები ხელოვნური ხასიათისაა. კულტურის ევოლუციასთან, ახალი სტილებისა და მიმართულებების წარმოშობას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ერთად, ეს ფორმებიც იცვლება. მაგალითად, გარკვეულ ეპოქებში მწერლები ძირითადად თეატრისთვის წერენ; დრამატული ფორმით - სცენებისა და მოქმედებების სახით - წარმოადგენენ მასალას (რაც ჩემს შესაძლებლობებს აღემატება); წერენ „როლებს" მსახიობებისთვის და - როგორც ერთმა დრამატურგმა მითხრა - წერის პროცესის გასაადვილებლად წარმოიდგენენ ხოლმე, რომ პარტერიდან უცქერენ სცენაზე მიმდინარე მოქმედებას.

სხვა პერიოდებში, როდესაც ჯერ არ არსებობდა რადიო ან აუდიოჩაწერის ტექნიკა, მაგრამ გავრცელებული იყო ინფორმაციის გადაცემის ბეჭდვითი საშუალებები, მწერლის მიერ შექმნილი თხრობითი ნაწარმოების გამოქვეყნება შეიძლებოდა გაგრძელებულიყო თანმიმდევრულად, მცირე ნაწილების ან რამდენიმე ტომის სახით. ზოგჯერ მწერალი თხრობით ნაწარმოებებს ლექსითი ფორმით ან გალექსილი დრამის სახით წერდა,იყენებდა (ან არ იყენებდა) რითმას; ის ლექსითი ეპოსის ფორმასაც მიმართავდა.

ამჟამად ყველა ეს ფორმა არაბუნებრივია და იშვიათად გამოიყენება, მაგრამ ისინი ისეთივე ბუნებრივი და ადეკვატური იყო შესაბამის ეპოქებში, როგორიც დღეს რომანია. თუმცა, რომანიც აუცილებლად მოითხოვს გარკვეული იდეებისა ან მოვლენების გამარტივებასა და გაყალბებას და არაბუნებრივ სცენებსაც მოიცავს. აქ ძალზე ზოგადად ვახასიათებ ლიტერატურული ფორმის ხელოვნურობის შეგრძნებას, რომელიც მქონდა ჩემი ლიტერატურული საქმიანობის დასაწყისში. ვფიქმანობდი - ვერ გადამეწყვიტა, ჩემი გამოცდილების რომელი ნაწილი შეესაბამებოდა რომანის ფორმას და მაინტერესებდა, როგორ უნდა მიმესადაგებინა ან შემეცვალა ჩემი გამოცდილება ისე, რომ ის მსხვილი ფორმის შესაბამისი ყოფილიყო.

ლიტერატურული ფორმები აუცილებელია: გამოცდილება უნდა გადაიცეს საყოველთაოდ გავრცელებული ან აღქმადი ფორმით. მაგრამ ხდება ხოლმე, რომ ფორმა, ზოგჯერ აღიქმება, როგორც მიუღებელი ან ზედმეტი რამ. როდესაც ტროლოპი, - რომლის ცოდნა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და შრომითი სამყაროს შესახებ გაცილებით აღემატებოდა დიკენსისას - გვიხატავს ზოგად სიტუაციას, ის ძალზე მიმზიდველი და საინტერესოა. მაგრამ ტროლოპი ძალზე ნელავს ხოლმე სიუჟეტს და ვინაიდან მისი ძირითადი სოციალური ან ფილოსოფიური იდეები გადმოცემულია მისივე რომანების პირველსავე გვერდებზე, ამდენად, ეს ნაწარმოებები ინტერესს არ იწვევს. იგივე შეგრძნება მიჩნდება თეკერეის კითხვისას: ვგრძნობ, რომ მწერალს უმძიმს თხრობა და სიუჟეტის გაშლა.

ჩვენი წარმოდგენა ლიტერატურული ნარატივებისა და ლიტერატურით ტკბობის შესახებ ბოლო ასი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. გასული საუკუნის ლიტერატურამ, კინომ და ტელევიზიამ უფრო სწრაფ აზროვნებას მიგვაჩვია. მეცხრამეტე საუკუნის ის ინგლისელი მწერლები, რომლებიც ახლა ყველაზე უფრო „რომანულ" სიამოვნებას განიჭებენ - „შიგნიდან" გვიჩვენებენ ადამიანთა ცხოვრებას, ხელს უწყობენ რეფლექსიას - მათ ეპოქაში საერთოდ არ მიიჩნეოდნენ რომანისტებად.

მახსენდება მწერალი რიჩარდ ჯეფერი, რომლის ესეებში ფერმერთა ცხოვრების შესახებ თავს იჩენს უდიდესი ცოდნა და გამოცდილება. ან უილიამ ჰეზლიტი. ან მგზნებარე და მელანქოლიური ჩარლზ ლემი (რომელიც სულაც არ გახლდათ ნაზი და მეოცნებე ესეისტი, როგორსაც ლეგენდა გვიხატავს). ან ჟურნალისტი და პამფლეტისტი უილიამ კობეტი, რომელიც თავის ბრწყინვალე პროზაში აღწერდა სოფელს და დაგვიტოვა გზებისა და მინდვრების, ადამიანების, სასტუმროებისა და საკვების ყველაზე ზუსტი და მკაფიო სურათები. ყველა ამ ავტორს შეეძლო მიესადაგებინა - ესე იგი, განაზავებინა ან გაეყალბებინა - თავიანთი სათქმელი რომანის იმდროინდელ ფორმის შესაბამისად. და ყველა მათგანმა იპოვა გამოხატვის საკუთარი ფორმები.

ყოველი სერიოზული მწერალი ორიგინალური უნდა იყოს; ის არ უნდა დაკმაყოფილდეს მიღწეულით და არ უნდა გაიმეოროს ის, რაც უკვე დაწერილია. ამასთან, ყოველი სერიოზული მწერალი გაიაზრებს ფორმის საკითხს, რადგან, განურჩევლად იმისა, თუ რამდენ აფასებს ის წინამორბედ მწერლებს, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ ამ მწერალთა მიერ გამოყენებული ფორმები შეესაბამება მათ გამოცდილებას და არა - მის საკუთარ გამოცდილებას.

ძალზე ორიგინალური (განსაკუთრებით - გვიანდელ შემოქმედებაში) მწერალი, განსვენებული ფილიპ ლარკინი ფიქრობდა, რომ ფორმა და შინაარსი განუყოფელია. ლარკინის თქმით, ის ნელა მუშაობდა, რადგან „ბევრი დრო სჭირდება იმის განსაზღვრას, თუ რა და როგორ უნდა დაწერო". ამ ამოცანის გადაჭრა, ერთი შეხედვით, თითქოს ძნელი არ უნდა იყოს, რეალურად კი მეტად რთული პროცესია. ლიტერატურა მუსიკას არ ჰგავს. ის ახალგაზრდებისთვის არაა განკუთვნილი. ლიტერატურაში ვუნდერკინდებს არაფერი ესაქმებათ. ცოდნა ან გამოცდილება, რომლის ასახვასაც ცდილობს მწერალი, სოციალური ან ემოციური ხასიათისაა; ამ გამოცდილების დამუშავებას და გააზრებას სჭირდება დრო, სჭირდება მრავალი წელი, და, ასევე, საჭიროა სიფრთხილე და ტაქტი, რათა არ დაიკარგოს გამოცდილების არსი, არ განზავდეს ის შეუსაბამო ფორმებში. კვლავ შეგახსენებთ, რომ ნებისმიერი მწერლის მიერ გამოყენებული ფორმები ემსახურება სწორედ ამ ავტორის აზრების გადმოცემას და არა სხვისას.

ყოველთვის მაღელვებდა ფორმისა და სიტყვიერი მარაგის პრობლემაც, რადგან საკმაოდ სწრაფად მივხვდი, რომ ჩემ მიერ წაკითხულ ლიტერატურასა და ჩემ მიერ დასაწერ ლიტერატურას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება იყო. და მაშინვე მივხვდი, რომ, უბრალოდ, ლიტერატურული ფორმების მიმიკრია საქმეს არ უშველიდა.

თავის ერთ-ერთ ადრეულ წიგნში ჯეიმს ჯოისი წერდა იმ სიძნელეების შესახებ, რომლებიც ნამოიჭრებოდა მის წინაშე - ისევე, როგორც მისი გმირის წინაშე - ინგლისურ ენასთან დაკავშირებით. „ენა, რომელზეც ჩვენ ვმეტყველებთ, თავდაპირვე-

ლად მისია და შემდეგ - ჩემი. როგორ განსხვავდება მის მიერ წარმოთქმული სიტყვები home, Christ, ale, master, ჩემ მიერ წარმოთქმული ამავე სიტყვებისგან! სულიერი მღელვარების გარეშემათ ვერ გამოვთქვამ და ვერ დავწერ... ჩემი სული მძვინვარებს მისი ენის წყვდიადში".

ჯეიმს ჯოისის ექსპერიმენტები ფორმის სფეროს ეხებოდა. მისი დამოკიდებულება ენისადმი არსებითად განსხვავდება ჩემი დამოკიდებულებისგან. მე მაღელვებდა ლექსიკა, სიტყვების სხვადასხვაგვარი მნიშვნელობები ან ასოციაციები. Garden, house, plantation, gardener, estate - ამ სიტყვებს ერთი მნიშვნელობა აქვს ინგლისში და სრულიად სხვა - ტრინიდადში, აგრარულ კოლონიაში. ჰოდა, როგორ უნდა მეწერა, თუკი ჩემ მიერ გამოყენებულ სიტყვებს მკითხველი ძველი ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ასოციაციების საფუძველზე აღიქვამდა? ვგრძნობდი, რომ უნდა განმესაზღვრა ჩემი, როგორც მწერლის ან მთხრობლის კონკრეტული იერსახე; უნდა გადამეაზრებინა - ჩემს სამწერლო სტილთან დაკავშირებით - ყოველივე. სამწერლო მოღვაწეობის განმავლობაში ამას სხვადასხვანაირად ვახორციელებდი. ახლახან, ორი წლის მუშაობის შემდეგ, დავასრულე წიგნი, რომელშიც, ჩემი აზრით, შევძელი ამ ამოცანის გადაჭრა და ჩემი ნარატივის გადააზრება.

მსურდა გავრკვეულიყავი ჩემი კერძო გამოცდილების არსშიც, რაც გულისხმობდა ჩემივე ლიტერატურული „მე"-ს დეფინიციასაც. მიუხედავად ამისა, წიგნის წერის დასასრულს შემოქმედებით პროცესს თავისი იდუმალება არ დაუკარგავს.

ფრანგი კრიტიკოსი სენტ-ბევი ფიქრობდა, რომ მწერლის პირადი ცხოვრების დეტალები ნათელს ჰფენს მისი შემოქმედების ფაქტებს. სენტ-ბევის ეს მეთოდი გააკრიტიკა პრუსტმა თავის უჩვეულო თხზულებაში, რომლის უცნაური, ორიგინალური და მშვენიერი ფორმა ნაწილობრივ ავტობიოგრაფიულია, ნაწილობრივ - კრიტიკული და ნაწილობრივ - მხატვრული. ამ თხზულებას ეწოდება „სენტ-ბევის წინააღმდეგ". კრიტიკოსისა და მისი მეთოდის კრიტიკის დროს იგრძნობა პრუსტის ღრმა სიყვარული ლიტერატურისადმი და, ასევე, თავისი თხზულების ავტობიოგრაფიული და გამოგონილი ელემენტები.

„ეს მეთოდი, - წერს პრუსტი და გულისხმობს სენტ-ბევის მეთოდს, - ეწინააღმდეგება იმას, რასაც შეიძლება ჩავწვდეთ უფრო ღრმა თვითშემეცნების საფუძველზე, რომლის თანახმად, ნაწარმოებს ქმნის ის „მე", რომელიც განსხვავდება ჩვენი ჩვევების, ჩვენი სოციალური ცხოვრების, ჩვენი ნაკლოვანებების განმაპირობებელი „მესგან". ცოტათი ქვემოთ პრუსტი განმარტავს: „სინამდვილეში საზოგადოებას წარედგინება მარტოობაში, საკუთარი თავისთვის დაწერილი, ესე იგი, ჭეშმარიტად პირადული ქმნილება... ხოლო ურთიერთობისას, ესე იგი, საუბრისას -როგორი დახვეწილიც უნდა იყოს ეს საუბარი... - თავს იჩენს გარეგნული „მე"და არა სიღრმისეული, რომელიც შეიძლება აღმოაჩინო, თუკი მოახდენ აბსტრაჰირებას სხვებისგან და იმ „მესგან", რომელსაც ეს სხვები იცნობენ".

საინტერესოა - მაგრამ არა გასაკვირი, - რომ თითქმის იგივე შეხედულება მწერლობის შესახებ გამოთქვა სრულიად სხვა ყაიდის მწერალმა, სომერსეტ მოემმა. რომანში „ღვეზელები და ლუდი" მან შექმნა ტომას ჰარდის შესანიშნავი მხატვრული პორტრეტი (რის გამოც მოემს ბევრი შეურაცხყოფის ატანა მოუხდა) და გვიჩვენა, რომ ტრაგიკული რომანების უესქესელი ავტორი პირად ცხოვრებაში ძალზე ორდინარული იყო და, ამის გამო, იდუმალიც. „გავიფიქრე, - ასკვნის მოემი, - რომ ჭეშმარიტი, რეალური, ყველასთვის უცნობი და მარტოსული „მე" მდუმარე აჩრდილის სახით უჩინრად არსებობდა მწერალსა და იმ ადამიანს შორის, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, და მას ირონიულად ელიმებოდა ამ ორ მარიონეტზე..."

*THE NEW YORK REVIEW OF BOOKS,*
*1987, 23 აპრილი*



ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ შეიძლება ყოფილიყო
თქვენი რეკლამა

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

